# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 10 მარტი 1999 №42 (815) | ფასი 1 ლარი


4

## ნუ გეშინიათ, მშვიდად გაიხარეთ



ეროვნული სტადიონი გაახლდა

8

## კრუიფი გაწამაწიაშია

„ბარსელონასა" და მსოფლიოს ნაკრების დღევანდელ შეხვედრაში მონაწილეობაზე იოჰან კრუიფს რონალდომ და საკუთარმა შვილმა უთხრეს უარი. სამაგიეროდ...



10

## დინამოელ ირაკლი მაისურაძეს თამაში აუკრძალეს

**აზოტი 76:69 დინამო**
**ასკ 66:68 მაკაბი**

14

## ის, რაც ჯერ სხვებს არ აულიათ, სალუქვაძეს ორი აქვს



რაც უნდა მოხდეს, თემურ მახარაძეს ამას ვერავინ დაუვიწყებს. მისმა გაწვრთნილმა „ლოკომოტივმა" საქართველოს თასის ორი ეტაპი ისე გაიარა, გოლი არ გაუტანია და, ცხადია, არც გაუშვია. ორი ეტაპი იოლი სათქმელია, მაგრამ ჯერ ქვეყნის ჩემპიონ „დინამოსა" და მერე თას-სუპერთასის მფლობელ „ბათუმის" გაძევება რა ძნელია, იოლი მისახვედრია. საქართველოს ორმა საუკეთესო მწვრთნელმა, მურთაზ ხურცილავამ და შოთა ჭეიშვილმა ვერ ამოხსნეს თემურ მახარაძის საიდუმლო — ნებსითი თუ უნებლიე დაცვა. გუშინ „ლოკომოტივმა" მთელი 94 წუთი კაცნაკლულმა გაძლო, მერე კი, 118-ეზე, ისევე, როგორც „დინამოსთან, მახარაძემ პენალტთმცოდნე მეკარის კოზირი გამოიყენა. ლევან დოლაბერიძემ ამჯერად ერთი დარტყმა უკუაგდო, მაგრამ ესეც საკმარისი გამოდგა საიმისოდ, რომ გვეთქვა:

# საქართველოს თასი ახალ პატრონს ჩაბარდება

რეპორტაჟი ბათუმიდან იხილეთ მეორე გვერდზე

## თემურ მახარაძემ, ლევან დოლაბერიძემ და „ლოკომოტივმა" თასის გათამაშებიდან ნიგერიელი უჩე უკაკვეთი გაძლიერებული „ბათუმიც" დაითხოვეს



გუშინ ბათუმში. „ბათუმი" — „ლოკომოტივი":
ზურაბ არჩვაძესთან ბრძოლაში წაგებულ ივანე მახარაძეს (№22) აშკარად არ გაუმართლა, „ლოკომოტივს" მერვედფინალში დინამოელად ემსხვერპლა, მეოთხედფინალში კი ბათუმელად



ჩვენი პირველი ზანგი უჩე უვაკვე

**საქართველოს თასი**
**მეოთხედფინალის საპასუხო მატჩი**

9 მარტი, სამშაბათი

| | |
|---|---|
| **ბათუმი** | **0 (2)** |
| **ლოკომოტივი** | **0 (3)** |

პირველი მატჩი 0:0

**ნახევარფინალისტები**
*„არსენალი", „ლოკომოტივი", „სამგურალი", „ტორპედო"*

# ბურძგლა აქა, ფული იქა

## ფიჯელებმა გურამ მოდებაძე 12 900 დოლარად გაათავისუფლეს



გურამ მოდებაძე შინისაკენ მოეშურება

რა ქვისა უნდა ყოფილიყო ის გული, საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის გურამ მოდებაძის იმ ფიჯურ თავგადასავალს არ შეეტოკებინა, გუშინდელ „სარბიელში" რომ მოგითხრეთ. ამიტომაც ვჩქარობთ გაუწყოთ, რომ ძია ბურძგლა თავისუფალია უცხოობაში, თანაც როგორში წყნარ ოკეანეში ჩაკარგულ კუნძულზე დაგირავებულ-გამძევლებული ქართველი მწვრთნელი გუშინ ფიჯიდან სამშობლოში გამოემგზავრა.

ნუ ღელავთ, თქვენს კაცს აღარას ვერჩით, უკვე გავუშვით და დილაუთენიავე აეროპორტში გაიქცა ტონგიდან მომავალი თავისი გუნდის დასახვედრად და მასთან ერთად შინ გამოსაფრენად მოწყალედ დაგვამშვიდა მოდებაძისთვის წყეულ სასტუმრო „მუკამბას" პერსონალმა. რომ ვიცოდით, რა ჩიტებიც იყვნენ, უმალ ვიგუმანეთ, „მუკამბას ტყვის" გამოსასყიდი ანუ ქართველთა მათ სასტუმროში ბინადრობის საზღაური ჩასვლოდათ და ამასაც დავეკითხეთ. კი, როგორ არა, რაც გვერგებოდა 12900 დოლარი დაგვიჯდა ანგარიშზე, ასე რომ, „ნო პრობლემო", გვითხრეს და ყურმილიც დაგვიკიდეს. ეს ცნობა ჩვენი რაგბის კავშირის უფროსობამაც დაგვიდასტურა.

ტანჯულ ქართველ მწვრთნელს თბილისში ორ დღეში ვიხილავთ.

საქართველოს თასი მეოთხედფინალის საპასუხო მატჩი

# მახარაძის ათი სხვათა თერთმეტს ჯობია

ბათუმი
9 მარტი
15 საათი
დინამო
10 000 (ტევადობა 20 000)

**ბათუმი 0:0 ლოკომოტივი**

დამატებითი დრო 0:0
პენალტები 2:3

პირველი მატჩი 0:0

0:0 მ. მახარაძე (ააცილა), 0:1 კ. მელქაძე, 1:1 ჭიჭველიშვილი, 1:1 ბალაშვილი (ააცილა), 2:1 ი. მახარაძე, 2:2 მარლიშვილი, 2:2 სიჭინავა (ძელი), 2:2 ნ. მინდიაშვილი (ააცილა), 2:2 კანტიძე (მეკარე), 2:3 გოგობერიშვილი

**ბათუმი:** ტოგონიძე, პაპიძე, მ. მახარაძე, სიჭინავა, მინდაძე, გუჯაბიძე, ჭიჭველიშვილი, მაქაცარია (კანტიძე 71), ი. მახარაძე, მაჭუტაძე, რუსია (უვაკვე 91)
*სათადარიგონი:* მალაყმაძე; გადელია, ვერემჩუკი, რომანაძე, თორლაშვილი

**ლოკომოტივი:** დ. ჯანელიძე (დოლაბერიძე 118), ბალაშვილი, ბარნოვი, ზ. არჩვაძე, გოგობერიშვილი, კაციაშვილი, ვ. კილასონია (მარლიშვილი 15), შ. ხუჯაძე, კ. მელქაძე, დ. გოდერძიშვილი, წივწივაძე (ნ. მინდიაშვილი 81)
*სათადარიგონი:* ხორგუაშვილი, ბაქრაძე, გილაური

**გაფრთხილება:** ბარნოვი (20), მაჭუტაძე (23), გოდერძიშვილი (26), კაციაშვილი (77), გოგობერიშვილი (115)

**გაძევება:** გოდერძიშვილი (26)

**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი); ს. კახიანი (თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ს. შალამბერიძე (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

**სფფ-ის დელეგატი:** მ. ანჯაფარიძე

**ხვიჩა სანიკიძე ბათუმიდან**

ეს მატჩი აუცილებლად უნდა ენახა ქართველ ტელემაყურებელს. არა იმიტომ, რომ კარგი და ოსტატური ფეხბურთი ითამაშეს გუნდებმა, უბრალოდ, მსგავსი ინტრიგით აღსავსე მატჩები, სამწუხაროდ, თითებზე ჩამოსათვლელია ჩვენში.

საქართველოს თასის მფლობელი წლევანდელი გათამაშებიდან თვით „დინამოს" გამომგდებ „ლოკომოტივს" მასპინძლობდა, „ლოკომოტივს", რომელსაც 7 თვეა, ერთი შეხვედრაც არ წაუგია არცერთ დონეზე.

ის, რაც გუშინ ბათუმში მოხდა, პატარა საფეხბურთო სასწაული იყო. კაცნაკლულმა სტუმრებმა მთელ 94 წუთს გაუძლეს მრისხანე მასპინძლებს და ღირსეული გამარჯვება მოიპოვეს.

ყველაფერი ისეთივე სცენარით წარიმართა, როგორც „ლოკომოტივ" — „დინამოს" მერვედფინალურ საპასუხო შეხვედრაში. აქაც უგოლო ფრე. ზედ პენალტების სერიის წინ შეცვლილი მეკარე და სიხარული... თანაგუნდელთა მიერ გაგუდუვას ერთხელაც გადარჩენილი ლევან დოლაბერიძე და მაყურებელთა ოვაცია — ალალი, დამსახურებული გამარჯვების საფასურად.

„ლოკომოტივი" მეათე ეროვნულის აღმოჩენაა. მიუხედავად უამრავი კრიტიკული შენიშვნისა ამ გუნდს ბრძოლისუნარიანობაში ბადალი ნაკლებად მოეძებნება ქართულ საფეხბურთო სამყაროში.

ეს გუნდი უჩვეულოდ თამაშობს...

ჩამშლელი, მოწინააღმდეგეთა შეტევების უზადოდ დამანგრეველი ფეხბურთი და, რაც მთავარია, ავტორიტეტთა შიშისგან თავისუფლება — აი, მისი სავიზიტო ბარათი და უპირველესი მიზეზი „ბათუმზე" გუშინდელი აღმატებისა.

მოუგეთ საქართველოს თასის მფლობელებს და 500-500 დოლარი ფეშქაშად მოგვიციაო — უთქვამთ შეხვედრამდე რკინიგზელთა კლუბის მესვეურებს. მოუგეს კიდეც, მაგრამ აქ ფული არაფერ შუაშია, ფული ყველაზე ბოლოს იდგა. მით უმეტეს, რომ არც აჭარელთა გუნდი განიცდის ფინანსურ სიდუხჭირეს.

ერთსულოვნებამ მოიგო...

თემურ მახარაძემ შეძლო ბიჭები საბრძოლო სულისკვეთებით განეწყო, ათი კაცი ერთიან ორგანიზმად გარდაისახა. ერთი ათისთვის, ათი ერთისთვის — ამ პრინციპმა იმოქმედა.

მატჩი კი ისეთი გამოდგა, როგორსაც ველოდით. საერთოდ ასეთ შეხვედრებში ლალი ფეხბურთის ხილვის სურვილი, ყოველთვის სურვილად რჩება. ყველამ იცოდა — ვინც პირველი გაიტანდა, მერე შანსს ხელიდან აღარ გაუშვებდა.

შეხვედრაც სანახაობრივად კარგი ვერ გამოდგა, მაგრამ რაც მთავარია — ბრძოლა იყო. ბრძოლა მოედნის ყოველ გოჯზე.

შოთა ჭეიშვილმა 3-5-2 სქემით გაამწესა ფეხბურთელები მინდორზე. თემურ მახარაძემ კი 4-4-2 არჩია, თუმცა ნახევარდაცვის ოთხეულიდან და თავდამსხმელთა დუეტიდან თითო ფეხბურთელი ყოველთვის უკან იხევდა და დამატებით ბარიერად იქცეოდა ხოლმე ბათუმელთათვის.

თავიდანვე გეტყვით, რომ მიუხედავად მასპინძელთა სრული ტერიტორიული უპირატესობისა, მათ ნაღდი საგოლე მომენტი არ ჰქონიათ. შეხვედრის პირველ ნახევარში ორი სადავო ეპიზოდი თუ ასხამდა მათ წისქვილზე წყალს.

პირველი: მე-7 წუთზე რუსია საჯარიმოში შეჭრისას მეურვე კაციაშვილმა მოცელა. „ბათუმმა" ამაოდ მოითხოვა პენალტი.

მეორე: 26-ე წუთზე მასპინძლები საჯარიმოს ურტყამდნენ. სტუმრებმა ორკაციანი კედელი აღმართეს. მსაჯი ცხრამეტრიანი დისტანციის დაცვას ითხოვდა. რკინიგზელთა თავდამსხმელი გოდერძიშვილი თამაზ ლაცაბიძეს შეელაპარაკა და გაფრთხილებამ არ დაახანა. ორიოდ წამში ლაცაბიძემ წითელიც აუფრიალა ფეხბურთელს და ლოკომოტიველებიც გარს შემოეხვივნენ. მეკარე დავით ჯანელიძეს დიდი ძალისხმევა დასჭირდა თანაგუნდელების დასაშოშმინებლად.

ორთავე ეპიზოდზე მატჩის შემდეგ თამაზ ლაცაბიძეს ვთხოვე კომენტარი:

— რუსიას წაქცევა ჩვეულებრივი საბრძოლო მომენტი გახლდათ და წესის დარღვევა არ ყოფილა. რაც შეეხება გოდერძიშვილის გაძევებას, ფეხბურთელი ბილწსიტყვაობის გამო დავსაჯე — თქვა მატჩის არბიტრმა.

ბათუმელთა შეტევები ძირითადად ცენტრიდან ვითარდებოდა. შოთა ჭეიშვილის შეგირდები ფლანგურ გარღვევებს რატომღაც ერიდებოდნენ და „ლოკომოტივმაც" ამას თავიდანვე აუღო ალღო.

გოდერძიშვილის გაძევების მერე წივწივაძემ დაიხია უკან და სტუმრები ყრუ დაცვაზე გადავიდნენ, მასპინძლები კი კვლავ ერთფეროვნად უტევდნენ და ვერა და ვერ აზერხებდნენ სახიფათო მომენტის შექმნას.

პირველ ტაიმში მხოლოდ ჭიჭველიშვილმა შეძლო ორჯერ დამუქრებოდა ჯანელიძის კარს: 31-ე წუთზე მაქაცარიას ჩამოწოდებულზე ოდნავ ააცილა მიზანს თავური. 3 წუთში კი მარჯვენა ფლანგიდან ჩააგდო ბურთი სტუმართა საჯარიმოში და ჯანელიძემ მხოლოდ თვალი გააყოლა ხარიხაზე ზემოდან დაცემულ ბურთს.

„ლოკომოტივმა" მხოლოდ ერთხელ ააღელვა მასპინძელთა გოლკიპერი. გოგობერიშვილმა ოსტატურად დაარტყა საჯარიმო: ბურთი „კედელს" გაეხახუნა და ტოგონიძის კარს სანტიმეტრებში ჩაუქროლა.

მეორე ნახევარიც პირველის მსგავსი გამოდგა. თუმც ამჯერად მასპინძლებმა მარჯვენა, ივანე მახარაძის, ფლანგი აამოქმედეს.

„ლოკომოტივი" კვლავ ჩაშლაზე და ბურთის მოშორებაზე ზრუნავდა.

67-ე წუთზე ბათუმელებმა საჯარიმოს მარჯვენა ფლანგიდან დარტყმის უფლება მოიპოვეს. ბურთთან მათი გამოცდილი ლიბერო მალხაზ მახარაძე მივიდა. ყველას ეგონა, მალხაზი საჯარიმოში ჩააწვდიდა, მაგრამ მახარაძემ მოჭრილად დაარტყა ბურთი კარის მიმართულებით და ჯანელიძემ სიმწრით მოიგერია კუთხურზე.

დრო გადიოდა. სტადიონზე მოსული მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი კანტიძისა და „ბათუმის" ზანგი ახალწვეულის უჩე უვაკვეს მინდორზე გამოჩენას ელოდა. ჭეიშვილმა შედარებით პასიური მაქაცარიას ნაცვლად გამოცდილი კანტიძე გაამწესა გამთამაშებლად, მაგრამ „ლოკომოტივი" კვლავ გაუტეხელი რჩებოდა.

რკინიგზელები ისე დინჯად და აუღელვებლად მოქმედებდნენ საკუთარ ნახევარზე, გეგონებოდათ წინასწარ იცოდნენ, როგორ განვითარდებოდა მოვლენები. თემურ მახარაძეც არ ჩქარობდა მესამე მოთამაშის შეცვლას.

მოედნიდან ფეხმტკივანი ვარლამ კილასონიას ნაადრევად გაყვანის და მატჩის მიწურულში დაღლილი წივწივაძის ნაცვლად ნუკრი მინდიაშვილის გამწესების მერე რკინიგზელთა თავკაცი „ოქროს შეცვლას" არ აკეთებდა. ეტყობა, ხვდებოდა გამოცდილი მწვრთნელი, რომ „ბათუმი" გამტანი ვერ იყო. პენალტებისკენ მიჰყავდა საქმე.

...85-ე წუთზე კი გაირინდა მთელი სტადიონი. შალვა ხუჯაძემ მარცხნივ კარგად მოძებნა გოგობერიშვილი, რომლის დაბალ ჩაწოდებას, ტოგონიძის კარის სიახლოვეს, მინდიაშვილი გამოეხმაურა ძლიერი დარტყმით... მასპინძელთა ქომაგებმა შვებით ამოისუნთქეს აცილებული ბურთის დანახვისას...

დამატებით დროც დაიწყო და მოედანზე „შავი ზმანება" გამოჩნდა — ნიგერიელი უჩე უვაკვე, ყოფილი ბათუმელის ირაკლი ნადირაძის №21 მაისურით წარსდგა მაყურებელთა წინაშე.

— აბა შენ იცი, უჩა — ისმოდა ტრიბუნებიდან.

უვაკვეს გამოჩენა და ამინდის არევა ერთი იყო. მზე, მთელ 90 წუთს რომ გვწვავდა მხურვალე სხივებით, ღრუბლებს მიეფარა. სადღაც გაქრა მისი ბრწყინვალება...

ნიგერიელს თავიდან გაუჭირდა. აუტიდანაც არასწორად მიაწოდა თანაგუნდელს ბურთი და ხალხმაც იგრიალა — ეს ვინ შემოგვაპარესო. მერე კი იმგვარი რეიდი განახორციელა უვაკვემ, პუბლიკა სახტად დარჩა.

დამატებით თხუთმეტწუთიანებში ცალკარა თამაში ვიხილეთ. მეოთხე ტაიმში კი ქარიშხალიც ამოვარდა. საშინელი მტვერი და ქარი დაჰქროდა მინდორზე, სარეკლამო ფარები ძირს დააფინა.

იმძლავრა კიდევ ერთხელ „ბათუმმა". კიდევ ერთხელ სცადა შტურმის მოწყობა, მაგრამ „ლოკომოტივმა" გაძლო. ფორტუნამაც ზურგი არ აქცია ათ მებრძოლს და...

118-ე წუთი. მოედანზე ლევან დოლაბერიძე შევიდა. დავით ჯანელიძემ, როგორც „დინამოსთან" მატჩისას ხოტორა თავზე აკოცა ლევანს.

პენალტების სერია — საფეხბურთო ლატარეა ჩაერთო საქმეში. ბათუმი იწყებს. მალხაზ მახარაძე დაბალ კუთხეში ურტყამს, ბურთი მიზანს ცდება.

შემდეგ კოტე მელქაძეს და დავით ჭიჭველიშვილს გააქვთ — 1:1.

მერე რკინიგზელი გიორგი ბალაშვილი აცილებს. ბათუმი წინ ვანო მახარაძის ზუსტი პენალტით გადის, თუმცა მარლიშვილი უმალ ათანაბრებს ანგარიშს 2:2.

სიჭინავამ მეკარისგან მარჯვენა ძელს მოახვედრა, მაგრამ ნუკრი მინდიაშვილმაც ბალაშვილივით უხეიროდ დაარტყა.

დარჩა თითო ფეხბურთელი. ალექსანდრე კანტიძემ დოლაბერიძეს მისგან მარცხენა კუთხეში დაურტყა და მეკარე მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა...

გოგობერიშვილმა კი ცხრიანში გაიტანა.

„ლოკომოტივის" სათადარიგოთა სკამი ცარიელი იყო. ყველანი ფეხზე იდგნენ, ისე როგორც ყველა გულშემატკივარი. თბილისელთა სახეებზე აღუწერელი სიხარული ვნახეთ, დამწუხრებულმა მაყურებელმა კი მაინც ტაშის გრიალით გააცილა გამარჯვებული...

გუშინდელმა მატჩმა დაადგინა ჭეშმარიტება — საქართველოს თასს ახალი, მეოთხე მეპატრონე ეყოლება...

„ლოკომოტივის" ტრიუმფატორი თავკაცი *თემურ მახარაძე* ემოციებს ვერ მალავდა:

— უზომოდ გახარებულები ვართ. იმედები გავამართლეთ. მეტს ვერაფერს გეტყვით.

— *გოდერძიშვილის გაძევების მერე მატჩის ასეთ მსვლელობას ელოდით?*

— ჩვენ სხვა გზა არ გვქონდა. უნდა გვებრძოლა. ისე, ხუმრობით გეტყვით, რომ „ლოკომოტივს" ფრე ყველა შეხვედრაში აქვს განაღდებული და თავიდანვე მოგებაზე ვფიქრობთ. მაპატიეთ, ძალიან აღელვებული ვარ...

თემურ მახარაძეს რა გაემტყუნება.


მამუკა დარჩიას ფოტო

უჩე უვაკვესა და გენადი კაციაშვილის ბრძოლაში მალხაზ მახარაძე ჩაერია


მამუკა დარჩიას ფოტო

თბილისელებმა ბოლო პენალტის გამტან ალექსანდრე გოგობერიშვილის (№3) სიხარული გაიზიარეს

## ლოკომოტივი

### გზა ნახევარფინალამდე

| | | |
|---|---|---|
| | **მეთექვსმეტედფინალი** | |
| 08.10.98 | ლოკომოტივი — ივერია | 4:0 |
| 12.10.98 | ივერია — ლოკომოტივი | 0:2 |
| | **მერვედფინალი** | |
| 11.11.98 | დინამო — ლოკომოტივი | 0:0 |
| 26.11.98 | ლოკომოტივი — დინამო | 0:0 |
| | დამატებითი დრო 0:0; პენალტებით 4:2 | |
| | **მეოთხედფინალი** | |
| 20.02.99 | ლოკომოტივი — ბათუმი | 0:0 |
| 09.03.99 | ბათუმი — ლოკომოტივი | 0:0 |
| | დამატებითი დრო 0:0; პენალტებით 2:3 | |

საქართველოს ჩემპიონატი

# 17 ტური

# ვაჰ, ტორპედოს ბრახაბრუხი

## ჩემპიონატი გამოლოკომოტივდა?

ერიჰაა! ეგენი ნაღდად აღარ ხუმრობენ. თუ აქამდე კიდევ არსებობდა ერთი-ორი ურწმუნო თომა, ვისაც ქუთაისელთა სიძლიერეში ეჭვი ეპარებოდა, მეათე ეროვნული ჩემპიონატის მეჩვიდმეტე ტურიდან კეთილი ინებონ და ენას კბილი დააჭირონ — „ტორპედოს“ პირველობა არა და მეორეობა უკვე თითქმის განაღდებული აქვს.

ახლა იმერლებსა და „ლოკომოტივს“ შორის ათქულიანი სხვაობაა და ისე ეროვნულ ჩემპიონატს არ ეტკინოს არაფერი, როგორც რკინიგზის დეპარტამენტის საშეფო გუნდი კონკურენტს ვერ დაეწიოს.

მეჩვიდმეტე ტური იმითაც გახლავთ აღსანიშნავი, რომ 7:1-ები და 8:0-ები აღარ მორჩენილა — ყველა თამაში იმგვარი ღირსეული და სოლიდური ანგარიშებით დასრულდა, ბუნდესლიგა გაგახსენდება კაცს (ფუი, ეშმაკს და ჯვარი აქაურობას).

მთავარზე თავიდანვე ვთქვით და ახლა ქართული ფეხბურთის ერთ დროს მშვენება და ახლა ოდენ ისტორიულ რელიქვიად ქცეული ლანჩხუთის „გურია“ მოვიხსენიოთ. გურულებმა ეს ტურიც გახსნეს და მეორე წრის მეორე მატჩში მეორე ფრესაც გამოჰკრეს ხელი. ამ შეხვედრაზე ბევრს არ გავაგრძელებთ, სუპერუსახური სანახაობა იყო, ეროვნულისთვის დამახასიათებელი საცოდაობებით და 0:0-იც ყველაფერზე მეტყველებს.

არა და არ გაიკარა მარადმა ჩემპიონმა მდევარი, მოუგო „მერანს“, ძველებურად შეინარჩუნა ოთხქულიანი მარაგი და ამათი გარჯის შემყურეთ პესიმისტური ფიქრებიც გვეპარება — ერთი შანსიღა დარჩა მეორეადგილოსან „ტორპედოს“ — 9 მაისს, პირად ბრძოლაში უნდა მოუგოს ჩემპიონს, თორემ ხურცილავას გუნდი ისე ჰაიჰარად უგებს მეტოქეებს, უკეთესი არ იქნება.

ახლანდელი „დინამო“ ცოტათი იმ „დინამოსაც“ ჰგავს, ხომ იცით. მაშინდელივით ახლაც მთელი საქართველოდან მოიკრიბა საუკეთესო ქართველი ფეხბურთელები (თითქმის და ვინც დარჩა), „დინამო“ აღარ არის 20 წელს გადაცილებული „ნორჩი დინამოელი“, და თუ ფეხბურთში გუნდი დიდი რამეა, მარადი ჩემპიონი წელს ყველაზე მეტად ჰგავს გუნდს.

ძველებურად ცოტა გააქვს და უფრო ცოტას უშვებს თბილისის „ლოკომოტივი“. ახლაც ოდიშარებს ერთადერთი კინკილა ბურთიღა აკადრეს თემურის რაზმელებმა.

„ლოკომოტივმა“ გოდერძიშვილის პენალტით (77-ე წუთზე) მეშვიდე გამარჯვება მოიპოვა (შვიდიანი ბედნიერი ციფრია) და მესამე ადგილზე მინიმუმ ერთი ტურით გაინაღდა ყოფნა. ისე, გოლებს რაც შეეხებათ, საოცარი ბედი დაებედათ რკინიგზელებს — ვინ არ აიყვანეს, რომელ თავდამსხმელს არ დაუდეს კონტრაქტი, მაინც არაფერი შველით და, მგონი, ამათ რიგებში გაბრიელ ბატისტუტასაც გაუჭირდებოდა გოლების გატანა.

უსახურად აგორეს ბურთი ბათუმელებმა და სამტრედიელებმა. რომ მოვყვეთ ახლა და იმაზე ვისაუბროთ — „ბათუმი“ ძალებს ზოგავდა თასის ნახევარფინალისთვისო, „იბერიამაც“ აღარ გაუჯანჯლაო და ა.შ. და ამისთანები, ვიღაც დაგვცინებს. სხვა თუ არაფერი, იმ 3500 მაყურებელის (ტურის რეკორდი) რიდსა და პატივისცემას ხომ მაინც უნდა შეეფხიზლებინა სტუმარ-მასპინძელი. არა, არ მოხდა ასე, რაც ძალიან დასანანია. ამ მატჩში სეზონის მეორე პენალტი აილო გუბაზ დოლიძემ და მესამე და სამართალიო, ხომ გაგიგიათ. მე შენ გეტყვი და ვერ ჩაიდენს „იბერიის“ დაცვა ამგვარ საქციელს. ტყუილად კი არ გაუშვიათ 17 მატჩში 32 გოლი. ისე ამ პენალტზე „ბოროტი ენები“ ცუდად ალაპარაკდნენ. აქაოდა, თერთმეტმეტრიანის დამრტყმელ ივანე მახარაძეს მოგერიებულზე დამატებისას მამუკა რუსიამ გვარიანად გაასწროო. რუსია სწრაფი კია, მაგრამ პენალტის დარტყმის მომენტში 9-მეტრიან დისტანციას არ იცავდაო და მისთანები.

„სიონი“ — „დილა“. ახტა „სიონი“, დახტა და მერვე ადგილზე ამოყო თავი. მართალია, დიდი სიმჭიდროვეა სატურნირო ცხრილის შუაგულში, მაგრამ აქამდე ბოლნისლებს ყველა აშკარა აუტსაიდერის იარლიყს აწებებდა და ცხრილის შუაგულში, ნამდვილ სამზეოზე ყოფნა, აშკარა ვაჟკაცობაა, მათმა მზემ. აღდგომა და ხვალეო, ვნახოთ, როგორ გააგრძელებენ სპარტაკ არჩვაძის შეგირდები.

„დილა“ კი... „დილა“ ათგზის ნაცად და გაკვალულ ბილიკს მიჰყვება, პირველი წრის ნაოფლარს მეორე წრეში ატანს ქარს. ოღონდ ისე ბრძნულად — არც სხვა გუნდებს აწყენინოს, არც მაყურებელს და პირველ ჯგუფშიც ადგილი შეინარჩუნოს.

„გორდამაც“ კარგა ზევით აინაცვლა ცხრილში. ამისთვის რუსთაველებს ავარიანაწვნევი წყალტუბოელების 2:0-ზე დამარცხება ეყოთ. კი ვამბობთ გაიოზ დარსაძე თავის გუნდს სწორ და გამართულ ფეხბურთს ათამაშებსო, მაგრამ აგერ პირველი წრის აშკარა აუტსაიდერთან დამარცხდა „სამგურალი“ და გვარიან საფრთხესაც უსწორებს თვალს.

ამ მატჩს ერთი უხერხულობაც სდევდა თან — მთავარი მსაჯი შეცვალეს მატჩის წინ და, როგორც შეხვედრის მსვლელობამ დაგვანახა, არცთუ იღბლიანად „გორდა“ — „სამგურალის“ შედეგზე გარკვეულწილად მსაჯის შეცდომამაც იქონია გავლენა.

ტური „ვიტ ჯორჯიამ“ და „არსენალმა“ დაასრულეს. ეს შეხვედრაც 0:0 მორჩა. ასე რომ, სალაპარაკოც აღარაფერი იქნებოდა, ამ საყაიმო შედეგს ვიტელთა მთავარი მწვრთნელი ჯემალ მახარაშვილი რომ არ შეწირვოდა. მახარაშვილი „ვიტ ჯორჯიას“ მეორე მწვრთნელია ვინც ამ სეზონში დაითხოვეს..

ახლა ტურის სტატისტიკაზეც. სასიხარულოა, რომ მატჩების უმრავლესობას 2000-2500 კაცი ესწრებოდა საშუალოდ. ერთადერთი, თსუ — „გურიას“ შეხვედრა შერცხვა და 300 კაცი „დაისწრო“. სტუმრებმა ტოლი არაფერში დაუდეს მასპინძლებს და თუ სამი წააგეს, მოგებასაც სამს გამორჩნენ და ფრეც ორად ორი გაგორდა.

დაბოლოს, ერთი გულსატკენიც უნდა აღინიშნოს — ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს მეჩვიდმეტე ტურში მეათე ეროვნული ჩემპიონატი „გამოლოკომოტივდა“ — რვა მატჩში რომ ათი გოლი გავა, საქმეა ეს?

„ტორპედოზე“ კი იმას ვიტყვით, რომ არნახულად ხმაურობს და ვინ იცის...

**კონსტანტინე გოგიშვილი**

### XVIII ტური

12 მარტი, პარასკევი
არსენალი — მერანი (0:0)
სამგურალი — სიონი (0:4)
დილა — თსუ (1:0)

13 მარტი, შაბათი
დინამო — გორდა (0:0)
გურია — კოლხეთი (0:3)
ტორპედო — ოდიში (3:1)
ლოკომოტივი — ბათუმი (1:1)
იბერია — ვიტ ჯორჯია (1:4)

ფრჩხილებში — პირველი წრის შედეგები

---

თბილისი
4 მარტი
15 საათი
შევარდენი
300 (ტევადობა 10 000)

### თსუ 0:0 გურია

**თსუ:** გაბელია, გ. ილურიძე, შაშიაშვილი, კობიაშვილი, ზამთარაძე, ბუკია, ნინუა, მაღრაძე, დეკანოსიძე, ჭუმბურიძე, როსტიაშვილი
*სათადარიგონი:* მერლანი; ინწკირველი, ვ. ღუდუშაური, თოლორაია, სვანაძე
**გურია:** ნიკურაძე, თ. ჩხაიძე, ზ. კვეკვესკირი, შ. მახარაძე, ფირცხალაიშვილი, ჭიაბრიშვილი (ლ. ჩხაიძე 86), შავშიშვილი, სვანიძე, გულორდავა (ბოლქვაძე 53), ენუქიძე (ბერძენიშვილი 90), ძოძუაშვილი
*სათადარიგონი:* გოგუა, მაჩიტიძე
**გაფრთხილება:** მახარაძე (64)
**მსაჯები:** ვ. ელოევი (ცხინვალი); ა. ორდენიძე (ონი), ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ჭელიძე

ბოლნისი
5 მარტი
15 საათი
თემურ სტეფანია
2 500 (ტევადობა 3 000)

### სიონი 1:0 დილა

1:0 მოსეშვილი (27)
**სიონი:** დალაქიშვილი, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, ლ. ამბიძე (გ. ჩალაძე 65), მ. სამხარაძე, ე. ჯაფარიძე, გოგოლაძე, გაგუა, სულთანოვი (დ. ჯაფარიძე 75), მოსეშვილი
*სათადარიგონი:* ხარებაშვილი, დ. სვანიძე, ფ. არჩვაძე, ნ. ჩალაძე
**დილა:** სოლოლაშვილი, ფეხუაშვილი, განიძე, ვლ. სამხარაძე, აკოფიანი, ლ. გოჩაშვილი, მარესაშვილი, შატაკიშვილი, ახალკაცი, ლომიძე, მ. მინდიაშვილი
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე; კარელიძე, ხიხალაშვილი, ციცქიშვილი, სულთანიშვილი, არუთინიანი, გუდურაშვილი
**გაფრთხილება:** მ. სამხარაძე (38), გაგუა (60), ე. ჯაფარიძე (82)
**მსაჯები:** ს. კახიანი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ი. გოგოლაძე (ბორჯომი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. ამირეჯიბი

თბილისი
5 მარტი
15.30 საათი
სინათლე
2 000 (ტევადობა 2 000)

### მერანი 0:2 დინამო

0:1 ჩომახიძე (37), 0:2 წიტაიშვილი (54)
**მერანი:** ლომაია, ე. ალადაშვილი (თოლორდავა 66), ასპინძელაშვილი, დავითიძე, ჭინჭარაული, გელა ქორიძე, ჯიშკარიანი, დანელია (დევიძე 44), ჩუხუა, ხუციშვილი, ს. დავითაშვილი
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; დ. ჭელიძე, ჩანადირი, ცქიფურიშვილი
**დინამო:** გვარამაძე, ლ. მიქაძე, ვაშაკიძე, მ. მაჭავარიანი, გუჩუა, ხიზანეიშვილი, ჩომახიძე, ქებაძე, ალექსიძე, აშვეთია, წიტაიშვილი (კვარაცხელია 85)
*სათადარიგონი:* ბათიაშვილი; რუხაძე, ა. სახვაძე, პ. ჯინჭარაძე
**გაფრთხილება:** წიტაიშვილი (4), ჯიშკარიანი (24), დავითიძე (61), ალექსიძე (86)
**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი; მ. მაისურაძე, ლ. სილაგავა; ზ. ჯვარიძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

ბათუმი
5 მარტი
15 საათი
დინამო
3 500 (ტევადობა 20 000)

### ბათუმი 1:0 იბერია

1:0 რუსია (52)
ივანე მახარაძემ ვერ გაიტანა პენალტი (52, მეკარე)
**ბათუმი:** ტოგონიძე, პაპიძე, გუჯაბიძე, სიჭინავა, მინდაძე, თორღაშვილი, მ. მახარაძე, ი. მახარაძე, მაჭუტაძე, კანტიძე (გადელია 70), რუსია (რომანაძე 78)
*სათადარიგონი:* მალაყმაძე; მაქაცარია, ქუტიძე, ვერემჩუკი
**იბერია:** გ. დოლიძე, მიქელთაძე, ქველაძე, გეგეშიძე, თოდუა, ვარდიაშვილი (ფილიპაშვილი 65), ს. გიგიაძე, ხუჭუა, მუმლაძე, გ. ლურსმანაშვილი, ივეჩიანი (ზ. ფხაკაძე 80)
*სათადარიგონი:* ვარდანიძე; მესიაჩენკო, გ. ნიკოლაიშვილი, ნ. გიორგაძე, ცომაია
**გაფრთხილება:** ქველაძე (16), ი. მახარაძე (28), ლურსმანაშვილი (59), თოდუა (43)
**მსაჯები:** ს. შალამბერიძე (თბილისი); გ. კიკაჩეიშვილი, კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. მიმინოშვილი

რუსთავი
5 მარტი
15 საათი
ფოლადი
1 000 (ტევადობა 10 700)

### გორდა 2:0 სამგურალი

1:0 მელაძე (72), 2:0 მიშველიძე (73)
**გორდა:** ბედიაშვილი, კედელაშვილი, ბექაური, სიდამონიძე, მ. სახვაძე (ბერიძე 35), ინასარიძე, მ. მელაძე, ზირაქაძე, კიტეიშვილი (ლაბაძე 88), ლ. ალადაშვილი (კ. ჩიგოშვილი 87), მიშველიძე
*სათადარიგონი:* მ. ქორიძე; კალმახელიძე, ტარტარაშვილი, მენთეშაშვილი
**სამგურალი:** ხაჩირაშვილი, ჯავახაძე (ფრანგიშვილი 47), ბურნაძე, ლ. ქობულაძე, სუხიაშვილი, ძაგნიძე (ახალაძე 74), მახვილაძე, გ. კილასონია, გიორგობიანი, მ. ჯინჭარაძე (დარსაძე 75), გ. შენგელია
*სათადარიგონი:* ბობოხიძე; კობერიძე, ლ. გიორგაძე
**გაფრთხილება:** ბექაური (18), კილასონია (26), მელაძე (28), ბურნაძე (28), ზირაქაძე (50), მახვილაძე (66), შენგელია (71)
**გაძევება:** ბურნაძე (46)
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), კ. მესხი (ზუგდიდი); თ. ზანდარაშვილი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

ფოთი
5 მარტი
15 საათი
ფაზისი
2 000 (ტევადობა 6 300)

### კოლხეთი 1:2 ტორპედო

0:1 იონანიძე (19), 1:1 შავგულიძე (26), 1:2 მეგრელაძე (64)
**კოლხეთი:** მ. გვასალია, გ. გიორგაძე, ტორჩინავა, მ. ქობულაძე, ჩადუნელი, ამაშუკელი, ღლონიძე, კალანდაძე, ე. გვასალია, შავგულიძე, ტრაპაიძე
*სათადარიგონი:* ჩემია; ბულუხია, ბურკვაძე, ებრალიძე, ანჯაფარიძე, კრასოვსკი, ბაჩილავა
**ტორპედო:** ჭანტურია, ახვლედიანი, ჩხაბერიძე, შეყრილაძე, ხვადაგიანი, კ. კვეტენაძე, ჩხეტიანი, იმედაძე (კ. მეტრეველი 61), დ. ჯანაშია (ვაჩიბერაძე 82), მეგრელაძე, იონანიძე
*სათადარიგონი:* სტურუა; თურმანიძე, მაზანიშვილი, მაღლაკელიძე, კ. ჯანაშია
**გაფრთხილება:** ღლონიძე (21), იონანიძე (50), ხვადაგიანი (54), ვაჩიბერაძე (86)
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი); ა. მეშკოვი, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი); თ. გიორგაძე (სამტრედია)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი

ზუგდიდი
5 მარტი
15 საათი
ცენტრალური
2 000 (ტევადობა 7 500)

### ოდიში 0:1 ლოკომოტივი

0:1 გოდერძიშვილი (77პ)
**ოდიში:** ნაყოფია, ღურწკაია (ჭურღულია 53), კ. კვეკვესკირი, აფაქიძე, ჯავაშვილი, აკობია, ტაბაღუა, კუტალია (ალანია 57), მარკოზია, გოგოხია, გვიჩია
*სათადარიგონი:* გოგია; მებონია, ცაცუა
**ლოკომოტივი:** დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, ნ. მინდიაშვილი (კ. მელქაძე 78), ბარნოვი, ზ. არჩვაძე, გოგობერიშვილი (მარღიშვილი 67), კაციაშვილი, შ. ხუჯაძე, ხორგუაშვილი (ვ. კილასონია 24), დ. გოდერძიშვილი, წივწივაძე
*სათადარიგონი:* დოლაბერიძე; ბაქრაძე, გილაური
**გაფრთხილება:** მარკოზია (40), აფაქიძე (52), გოგობერიშვილი (57), ტაბაღუა (75) გოდერძიშვილი (78)
**მსაჯები:** გ. ასკაროღლი (ქარელი); დ. სანაია; (სოხუმი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ვ. ელოევი (ცხინვალი)
**სფფ-ის დელეგატი:** ა. დურსუნიში

მცხეთა
6 მარტი
15 საათი
არმაზი
2 000 (ტევადობა 3 000)

### ვიტ ჯორჯია 0:0 არსენალი

**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ვ. მაისურაძე, ჭანკოტაძე, ერაძე, ქემოკლიძე, ზ. გვაზავა, კ. ალადაშვილი (ნოზაძე 84), გიორგი ქორიძე, ი. კაპანაძე, ვ. გოჩაშვილი, გ. გვაზავა (გვირჯიშვილი 85)
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; თ. ბოკერია, მაზიაშვილი, ჭოხონელიძე, ვ. ქუთათელაძე
**არსენალი:** ჩლაიძე, ცოტაძე, ჩიქოვანი, ვ. გველესიანი, ყოლბაია, მ. მაისურაძე, ლაცაბიძე, კაკუბავა, ამირიძე (აბაზაძე 65), ა. კაკაშვილი (თვალაბეიშვილი 75), ტარიელაშვილი
*სათადარიგონი:* კუპატაძე; კვირკველია, გ. სულაძე, დ. კაპანაძე, ყუფარაძე
**გაფრთხილება:** გველესიანი (17), ზ. გვაზავა (35)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ა. ქარქაშაძე; ე. სულთანიშვილი (ორივე თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** შ. ხანიაშვილი

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 15 | აშვეთია | დინამო |
| 14 | იონანიძე | ტორპედო |
| 11 | წივწივაძე | ლოკომოტივი |
| 9 | კაიდარაშვილი | დილა |
| | დ. მახარაძე | გურია |
| 8 | ალექსიძე | დინამო |
| | ე. გვასალია | კოლხეთი |
| | მეგრელაძე | ტორპედო |
| | ხომერიკი | დინამო |
| | დ. ჯანაშია | ტორპედო |
| 7 | ზირაქიშვილი | არსენალი |
| | მაჭუტაძე | ბათუმი |

### სიმბოლური ნაკრები

ზურაბ იონანიძე — ტორპედო
გიორგი მეგრელაძე — ტორპედო
ლავრენტი გაგუა — სიონი
ზვიად გვაზავა — ვიტ ჯორჯია
შოთა ჩომახიძე — დინამო
გოჩა ტრაპაიძე — კოლხეთი
კობა ნინუა — თსუ
გიორგი დავითნიძე — მერანი
გიორგი ჭანკოტაძე — ვიტ ჯორჯია
ოთარ ხიზანეიშვილი — დინამო
დავით გვარამაძე — დინამო

გუნდი ტორპედო

მწვრთნელი ჯემალ ხერხაძე ტორპედო

| № | # | სულ თ | სულ მ | სულ ფ | სულ წ | სულ ბ | სულ ს | სულ ქ | შინ თ | შინ მ | შინ ფ | შინ წ | შინ ბ | შინ ს | შინ ქ | სტუმრად თ | სტუმრად მ | სტუმრად ფ | სტუმრად წ | სტუმრად ბ | სტუმრად ს | სტუმრად ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 დინამო (1) | 1 | 17 | 14 | 3 | 0 | 59:9 | +50 | 45 | 8 | 7 | 1 | 0 | 37:7 | +30 | 22 | 9 | 7 | 2 | 0 | 22:2 | +20 | 23 |
| 2 ტორპედო (4) | 2 | 17 | 13 | 2 | 2 | 45:15 | +30 | 41 | 8 | 7 | 1 | 0 | 25:5 | +20 | 22 | 9 | 6 | 1 | 2 | 20:10 | +10 | 19 |
| 3 ლოკომოტივი (6) | 4 | 17 | 7 | 10 | 0 | 20:7 | +13 | 31 | 8 | 3 | 5 | 0 | 9:3 | +6 | 14 | 9 | 4 | 5 | 0 | 11:4 | +7 | 17 |
| 4 კოლხეთი (3) | 3 | 17 | 8 | 4 | 5 | 36:28 | +8 | 28 | 9 | 7 | 1 | 1 | 25:8 | +17 | 22 | 8 | 1 | 3 | 4 | 11:20 | -9 | 6 |
| 5 ბათუმი (2) | 6 | 17 | 7 | 7 | 3 | 24:14 | +10 | 28 | 9 | 5 | 3 | 1 | 16:5 | +11 | 18 | 8 | 2 | 4 | 2 | 8:9 | -1 | 10 |
| 6 დილა (9) | 5 | 17 | 7 | 4 | 6 | 24:22 | +2 | 25 | 8 | 5 | 1 | 2 | 15:7 | +8 | 16 | 9 | 2 | 3 | 4 | 9:15 | -6 | 9 |
| 7 მერანი (7) | 7 | 17 | 4 | 8 | 5 | 15:19 | -4 | 20 | 9 | 2 | 5 | 2 | 5:4 | +1 | 11 | 8 | 2 | 3 | 3 | 10:15 | -5 | 9 |
| 8 იბერია (დ) | 8 | 17 | 5 | 4 | 8 | 26:32 | -6 | 19 | 8 | 3 | 3 | 2 | 15:10 | +5 | 12 | 9 | 2 | 1 | 6 | 11:22 | -11 | 7 |
| 9 სიონი (13) | 11 | 17 | 5 | 4 | 8 | 17:33 | -16 | 19 | 9 | 4 | 3 | 2 | 12:9 | +3 | 15 | 8 | 1 | 1 | 6 | 5:24 | -19 | 4 |
| 10 გორდა (11) | 12 | 17 | 4 | 7 | 6 | 14:21 | -7 | 19 | 9 | 3 | 4 | 2 | 8:10 | -2 | 13 | 8 | 1 | 3 | 4 | 6:11 | -5 | 6 |
| 11 არსენალი (დ) | 9 | 17 | 4 | 7 | 6 | 20:32 | -12 | 19 | 8 | 1 | 4 | 3 | 11:18 | -7 | 7 | 9 | 3 | 3 | 3 | 9:14 | -5 | 12 |
| 12 ოდიში (5) | 10 | 17 | 5 | 2 | 10 | 12:26 | -14 | 17 | 9 | 3 | 1 | 5 | 8:14 | -6 | 10 | 8 | 2 | 1 | 5 | 4:12 | -8 | 7 |
| 13 ვიტ ჯორჯია (10) | 13 | 17 | 5 | 4 | 8 | 15:17 | -2 | 16 | 9 | 3 | 2 | 4 | 9:9 | 0 | 11 | 8 | 2 | 2 | 4 | 6:8 | -2 | 8 |
| 14 სამგურალი (12) | 14 | 17 | 4 | 2 | 11 | 14:35 | -21 | 14 | 8 | 3 | 0 | 5 | 7:12 | -5 | 9 | 9 | 1 | 2 | 6 | 7:23 | -16 | 5 |
| 15 თსუ (8) | 15 | 17 | 3 | 5 | 9 | 14:23 | -9 | 14 | 9 | 1 | 3 | 5 | 9:14 | -5 | 6 | 8 | 2 | 2 | 4 | 5:9 | -4 | 8 |
| 16 გურია (14) | 16 | 17 | 3 | 3 | 11 | 18:40 | -22 | 12 | 8 | 3 | 1 | 4 | 13:14 | -1 | 10 | 9 | 0 | 2 | 7 | 5:26 | -21 | 2 |

(?) — ადგილი წინა ჩემპიონატში. # — ადგილი წინა ტურში ! — ვიტ ჯორჯიას დაკლებული აქვს 3 ქულა

# ვახტანგ კოპალეიშვილი: მინდა, იცოდეს ქართველმა ხალხმა


ბადრი ქეთილაძის ფოტო

ფეხბურთი იმადაც არის კარგი, რომ კაცს ხანდახან სიამაყის გრძნობასაც გაზიარებს. სხვისი არ ვიცი და პირადად ასეთი რამ ამ სამიოდე წლის წინ განვიცადე. მაშინ თითქოს ბევრიც არაფერი მომხდარა, საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრებმა მსოფლიოს ახალგაზრდულ თამაშებზე, პორტუგალიაში პირველი ადგილი და უძლიერესის სახელი მოიპოვა. მერე რა, რომ ლისაბონი მოკრძალებულ და ნაკლებად პრესტიჟულ ტურნირს მასპინძლობდა და ქართველ ჭაბუკებსაც პირველობამდე მხოლოდ სამი მეტოქის ძლევა დასჭირდათ. საქმე ამაში როდია, მთავარია, ამ გამარჯვებით ქართველებმა თავიანთი მოკრძალებული, მაგრამ ქართული სიტყვა თქვეს. განა რამდენი ასეთი ქართული სიტყვა თქმულა ეროვნული ფეხბურთის დამოუკიდებლობის დღიდან... მაშინ ამ გამარჯვების თაოსანი ვახტანგ კოპალეიშვილი იყო. იმ დღიდან კაცი მუხლჩაუხრელად მუშაობს, თაობები იცვლება, ზოგი მიდის, ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გამოდის ასპარეზზე, საფეხბურთო ცხოვრება გრძელდება, ყველაფერს თავის ჩარჩოში სჭირდება მოქცევა, მოწესრიგება. ყველას ხომ კარგად მოეხსენება, რომ შედეგი ჰაერზე არ მოდის.

საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრების შედეგებზე არ შევჩერდები. ამაზე აქამდე მრავალჯერ დაწერილა. დღეს ისეა საქმე, ნაკრებს ერთი ნაბიჯიღა აშორებს მიზნისგან. კოპალეიშვილის შეგირდებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად ჩეხური ბარიერის დაძლევა მოუწევთ. ჩეხებთან ორრაუნდიან ბრძოლამდე ჯერაც საკმაო დროა (პირველი შეხვედრა ოპავაში 21 აპრილს გაიმართება), მაგრამ, წესით და რიგით, მსგავს სიტუაციაში გუნდი გაცილებით ადრე უნდა იწყებდეს მზადებას. შორს არ წავალ და ჩვენი თვრამეტწლამდელების მეტოქე უკვე კარგა ხანია, ქართველებთან შესახვედრად ემზადება. ჩეხებს უკვე მოუსწრიათ იანვარ-თებერვალში სამი სრულფასოვანი შეკრების გავლა, რამდენიმე ამხანაგური მატჩიც ჩაუტარებიათ და მარტის საკონტროლო თამაშების კალენდარიც კარგა ხნის წინ შეუმუშავებიათ. ორ უახლოეს შეხვედრაში, ჩვიდმეტ და თვრამეტ მარტს, ჩეხები პოლონელ თანატოლებს გაეჯიბრებიან. მზადებით ქართველებიც ემზადებიან. ოღონდ ეგ არის, მეტოქის პირობებთან მათი წვრთნის პროცესი ახლოსაც ვერ მივა. რატომ? ამას დიდი დაფიქრება არ სჭირდება. ჩეხეთი ჩეხეთია, ჩვენ კი...

**— ბატონო ვახტანგ, მაშინ, როდესაც ჩეხები გამალებულ სამზადისში არიან, ჩვენს თვრამეტწლამდელებს დღემდე კონცად საკონტროლო შეხვედრაც კი არ ჩაუტარებიათ...**

— ეს მართლაც საწუხაროა. როცა თავს ზემოთ ძალა არ არის, ძნელია... ჩვენი დღევანდელობიდან გამომდინარე, ამას შევეგუებულივართ. გუნდს შეძლებისდაგვარად ადგილზე ვამზადებთ. ეს, რა თქმა უნდა, ზღვაში წვეთია, მაგრამ საწუწუნო მაინც არაფერი მაქვს. მით უმეტეს, პრინციპულ მატჩებამდე ჯერაც საკმაო დროა და ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის წყალობით უცხოეთში მომზადების პერსპექტივაც გამოიკვეთა.

**— ცნობილია, რომ ოპავის მატჩამდე გერმანიაში გაივლით შეკრებას.**

— შეკრების რა მოგახსენოთ, გერმანიაში 14-დან 18 აპრილამდე მოვემზადებით. ეს კი ერთობ მცირე მონაკვეთია, იმდენად მცირე, რომ სრულფასოვან შეკრებას ვერ დაარქმევ. თუმცა „გერმანული დღეების“ ორგანიზატორებს თანადგომისთვის უღრმეს მადლობას ვუხდი. დიდია ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის, ვალერი ჩოლარიას წვლილი ამ საქმეში.

**— თუ არ ვცდები, საზღვარგარეთ შეკრების მოწყობას აპრილამდე ვარაუდობთ.**

— სიმართლე გითხრათ, თურქეთში მომზადების პერსპექტივაც უფრო მიიმედება. პრაქტიკულად გადაწყვეტილია, 14-დან 26 მარტამდე ნაკრები ანტალიაში გაივლის შეკრებას. სწორედ იქ ვეცდებით, საბოლოო კონდიციამდე მივიყვანოთ გუნდის სათამაშო სქემა.

**— თურქეთსა და გერმანიაში საკონტროლო შეხვედრების გამართვა გეგმებით დაგეგმილი.**

— ანტალიაში ჯერ იქაური [illegible] ლიგის წარმომადგენელს დავუპირისპირდებით, მერე კი თურქეთის ახალგაზრდულ ნაკრებს შევხვდებით. ეს, ალბათ, საუკეთესო გამოცდა იქნება ჩვენთვის. საკონტროლო მატჩს გერმანიაშიც ჩავატარებთ, მაგრამ რადგან ამ თამაშის შემდეგ მცირე დრო გვექნება დარჩენილი ოპავის მატჩამდე, [illegible] — გერმანიის სამოყვარულო ლიგის გუნდი შევარჩიეთ. მას 17 აპრილს შევხვდებით, ხოლო მეორე დღეს ჩეხეთს გავემგზავრებით.

**— კარგია, როცა ნაკრებს ამგვარი შეკრებები ელის, მაგრამ აქამდე გაცდენილი პერიოდიც ხომ უნდა გაგეთვალისწინებინათ. შესაძლებელია კი ასეთი მომზადებით ჩეხებთან წარმატებაზე ფიქრი?**

— გეთანხმებით, რომ წარმატების მიღწევამდე [illegible] გზა უნდა გაიარო. [illegible]

**— ვიცით, რომ ნაკრებში ბევრი ახალწვეული გყავთ...**

— გუნდის ძირითადი ბირთვი უკვე გამოკვეთილია. [illegible]

**— თვრამეტწლამდელებში ლეგიონერებიც მოგვევლინებიან. თურქულ-გერმანულ შეკრებებში თუ იახლებით მათ?**

— ლაშა ჯაკობიას ანთალიაში გუნდთან ერთად მომზადება პრაქტიკულად გამორიცხულია. მას, ალბათ, გიგლა იმნაძე გამოიძახებს და სავარაუდოდ, ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში უკრაინელებისა და სლოვენიელების წინააღმდეგ ათამაშებს. მისი თურქეთში არყოფნა ჩვენთვის გარკვეულწილად დანაკლისი იქნება, თუმცა ლაშა გერმანიაში ჩასვლის პირველივე დღიდან შემოგვიერთდება და დაკარგულის ანაზღაურებასაც იქ შევეცდებით. რაც შეეხებათ დიღმელაშვილს, კორღალიძეს და მენთეშაშვილს, ისინი ორივე შეკრების დროს ჩვენთან ერთად იქნებიან.

**— მეტოქეზე რა ინფორმაცია გაქვთ? როგორც შევიტყვე, ანტალიაში ჩვენი ნაკრების მზადების პროცესს ჩეხი „მზვერავი“ მიადევნებს თვალს. მსგავსი რამ ჩვენი მხრიდან თუ არის მოსალოდნელი, მით უმეტეს, რამდენიმე დღეში ჩეხები ამხანაგურ შეხვედრას მართავენ პოლონელებთან.**

— 21 აპრილამდე მეტოქეს საქმეში, ალბათ, ვერ ვნახავთ. ასეთ მივლინებებს გარკვეული თანხები სჭირდება... ამ დღეებში ჩეხების თამაშის ამსახველ ვიდეომასალას მივიღებთ, ესეც სასიკეთოდ წაგვადგება. გარდა ამისა, ძლიერ მეხმარებიან ქართველი ჟურნალისტებიც — მათ რამდენიმე საგულისხმო ცნობა მომაწოდეს მეტოქეზე, გვერდში მიდგანან და მათი დიდი მადლობელი ვარ. თუმცა ეს ზღვაში წვეთია, დარწმუნებული ვარ, მეტოქემ ჩვენზე გაცილებით მეტი ინფორმაცია მოიპოვა.

**— ბატონო ვახტანგ, მესმის, რომ მოსამზადებელ ეტაპს, მეტოქისგან განსხვავებით, სრულფასოვნად ვერ გადიხართ. მაგრამ ისიც მსმენია, კოპალეიშვილს თავის დაზღვევა არ სჩვევიაო. არადა, ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად სულ ერთი ნაბიჯია დარჩენილი. გულშემატკივარს კი „კოპალას ნაკრების“ ეიმედება, მით უფრო, ქართველები საფეხბურთო წარმატებებით განებივრებულნი არ ვართ...**

— მესმის, რისი თქმაც გინდათ. მინდა იცოდეს ქართველმა ხალხმა — უბრძოლველად არაფერს დავთმობთ, ჩეხეთი კი არა, თუგინდ ბრაზილიის ნაკრები იყოს. მე მჯერა ჩემი ბიჭების, იმისიც, რომ 11 მაისს ბათუმში ჩეხებთან განმეორებითი შეხვედრის შემდეგ თავაწეულნი დავტოვებთ სარბიელს.

**პაატა ქვანტალიანი**


ბადრი ქეთილაძის ფოტო

ცოტა ხანში ეროვნული სტადიონის კარებს ვეღარ იცნობთ...

# ნუ გეშინიათ, მშვიდად გაიხადეთ

## ეროვნული სტადიონი სტუმრებს ლამაზად დაუხვდება

თბილისში ჩამოსულებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ და ეროვნული სტადიონის გასახდელში უდარდელებმა შეაბიჯონ. საშხაპეში მათ არც დენი დაარტყამთ, არც სხვა პრობლემა შეაწუხებთ. აწი საქართველოს ნაკრების მეტოქეებს იქაურობა გაახლებულ-გასუფთავებული დახვდებათ.

19 იანვრიდან მოყოლებული სააქციო საზოგადოება „ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის“ სანჭინრო განყოფილების მუშები გასახდელებს, მსაჯთა ოთახს, იქვე მდებარე საპრესკონფერენციო დარბაზს, დერეფანს, სხვადასხვა სათავსოებსა და მოედანზე გასასვლელ გვირაბს არემონტებენ. ჯერ გაგანია სამუშაოების პერიოდია, თუმცა, როგორც ხელოსნებმა გვითხრეს, უშველებელი არაფერია, მოშანდაკება და სხვა წინასწარი სამუშაოები კიდევ ერთ კვირას გასტანს, სამშაბათიდან კი დასუფთავებასაც დავიწყებთო. ერთი სიტყვით, სტადიონზე მომუშავეებმა დაგვაიმედეს, 20 მარტისთვის ყველაფერი მოესწრება.

ეროვნული სტადიონის გასახდელები მართლაც რომ სახეცვლილია. სპეციალური ხსნარნარევი წყლით კედლებს ასუფთავებენ, საჭიროებისამებრ გაკრულ ტყავსაც ცვლიან და იატაკსაც. საშხაპეები მთლიანად თეთრი ფერისაა. უმაღლესი ხარისხის კაფელმეტლახი უკვე აკრულ-დაგებულია, ონკანებიც მზადაა. გასაკეთებელი მხოლოდ შეკიდული ჭერიღაა. მთლიანად დაანგრიეს მინი-აუზი, რომელიც პრაქტიკულად გამოუყენებელი გახლდათ,


ბადრი ქეთილაძის ფოტო

...გასახდელის საშხაპეში კი დენი აღარავის დაარტყამს

ნაცვლად კი იმატა საშხაპე მოწყობილობათა რიცხვმა. ადრე შხაპის ქვეშ ყოფნა ერთბაშად მხოლოდ სამ ფეხბურთელს თუ შეეძლო, ახლა წყლის ჭავლით 12 ისარგებლებს. სტადიონის ადმინისტრაციას არც თანამედროვე ავეჯის შეძენა დავიწყებია, იტალიური სავარძლები, მაგიდები და სხვა, იქაურობას უფრო დაამშვენებს.

მატჩისშემდგომი პრესკონფერენციებიც აწი იქვე, გასახდელთა გვერდით ჩატარდება. უწინდელ ნესტიან დარბაზში შესვლა ახლა გესიამოვნებათ, იქ მხოლოდ ნოხის დაგება და ავეჯის შეტანაა საჭირო. საკითხავი ისღაა, ჩვენ, ჟურნალისტებს თუ მოგვეცემა იმის საშუალება, დარბაზში უპრობლემოდ შევაღწიოთ, პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმი ხომ საკმარისზე მკაცრია და გასახდელების ახლომახლო გაჭაჭანებასაც გვიშლის.

რაც შეეხება ყოფილ ოსტატთა კლუბს, რომელიც სტადიონის დირექციასთან ახლოს იყო განთავსებული და სადაც აქამდე პრესკონფერენციები ეწყობოდა, იქაურობა ახლა ნანგრევებად ქცეულა, რეკონსტრუქციის შემდეგ კი, მაისში, „მიხეილ მესხის სახელობის კლუბი“ გაიხსნება. მცირე ზომის გასართობი ოთახი, ბარი, 140-კაციანი კეთილმოწყობილი დარბაზი დიდი ეკრანით, პრესცენტრი, ფეხბურთელის მუზეუმი, ყველაფერი ეს იმ ტერიტორიაზე განლაგდება, რომლის მისასვლელიც ბოლნისის ტუფით მოპირკეთდება და სადაც მიხეილ მესხის მცირე ზომის ქანდაკება დაიდგმება. აპირებენ სამრეკლოს აშენებასაც, რაც სრულიად საქართველოს კათელიკოს-პატრიარქთან უკვე შეთანხმებული ყოფილა და ახლა საამისო პროექტი მზადდება. ვერაფერს იტყვი, საშური საქმეა. ყოველივე დაახლოებით 150 ათასი დოლარი დაჯდება, მაგრამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და პირადად პრეზიდენტის, მერაბ ჟორდანიას თანადგომით ამ საქმის ინიციატორებს იმედი აქვთ, რომ დაწყებულს ბოლომდე მიიყვანენ.

და ერთიც. ეროვნულ სტადიონზე კარები იცვლება — ძველამოდურს თასმით გაჭიმულბადეებიანი შეცვლის. ადრე იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა ხალხი, თავად ფეხბურთელებიც დაეჭვებულან გატანილ გოლში. ბურთი კარის ხაზს უკანა ძელს მოხვედრია და გარეთ გამოვარდნილა. უტყუარი თვალისჩინი უნდა გქონოდა, რომ გოში დარწმუნებულიყავი. ამიერიდან ესეც წარსულს ჩაბარდა. გატანილი ბურთი კარშივე დარჩება.

ჩვენ კი 20 მარტისა ვთქვათ. გაახლებულ კარებს, გასახდელებსა და სხვა ოთახებს თამაშიც შესაფერისი უნდა.

**კობა ინასარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# 27 მარტი — შევარდენიდან ეროვნულზე

**შესარჩევი** ციკლის განახლებას ბევრიც არ უკლია. ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მატჩების გამართვის ადგილმდებარეობასა და დროზე ბოლო ინფორმაცია კი ასეთია. საქართველოს პირველი ნაკრები სლოვენიელებს ეროვნულ სტადიონზე 27 მარტს საღამოს 8 საათზე დაუპირისპირდება, იმავე დღეს, ოთხი საათით ადრე ამ ქვეყნების ახალგაზრდული ნაკრებები ერთურთს ნავთლუღში, „შევარდენზე“ შეხვდებიან. ამ შეხვედრის გამართვა თავდაპირველად რუსთავში იყო ნავარაუდევი, მაგრამ საბოლოოდ სფფ-მ „ფოლადის“ უხარისხო საფარს „შევარდენის“ სარბიელი ამჯობინა. ბარემ მსაჯებზეც ვთქვათ. ორი დღის წინ ფეხბურთის ფედერაციაში უეფას შტაბბინიდან ფაქსი მოვიდა — ფეხბურთის ზემდგომ ორგანოს საქართველო — სლოვენიის ორივე რანგის ნაკრებების მატჩებზე მთავარი არბიტრები დაუმტკიცებია. ნავთლუღის შეხვედრას თურქი მეთინ თოქათი განსჯის, ხოლო ეროვნულ სტადიონზე ლუქსემბურგელ ალენ ჰამერს ვიხილავთ.

მსაჯები თბილისში 26 მარტს ჩამოვლენ და წესის თანახმად, შინ თამაშის მომდევნო დღეს გაემგზავრებიან. რაც შეეხებათ გვერდით და სათადარიგო მსაჯებს, მათი არჩევის საშუალებას უეფა 19 მარტამდე უტოვებს საქართველოსა და სლოვენიის ფეხბურთის ფედერაციებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

**პაატა ქვანტალიანი**

# რეზო ვიკინგია

ბადრი ქეთილაძის ფოტო



რევაზ არველაძე

**ფეხბურთის** ფედერაციის მეოთხე ყრილობაზე საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრის, რეზო არველაძის გამოჩენამ ბევრს აფიქრებინა, რომ იგი ფედერაციის ახალი შემადგენლობის მარაქაში გაერეოდა და სფფ-ში ერთ-ერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე განაგრძობდა საფეხბურთო მოღვაწეობას, თუმც ასე არ მოხდა. გუშინ ტყუპ ძმებთან ტიტების ქვეყანაში სტუმრად მყოფი არველაძე ჰოლანდიიდან დანიაში ჩაფრინდა, რათა იქაური უმაღლესი ლიგის „ვიბორგთან“ გააფორმოს კონტრაქტი. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ დანიურ კლუბთან მოლაპარაკება ფაქტობრივად დამთავრებულია და არველაძის გავიბორგელებას მხოლოდ ოფიციალური მხარის მოწესრიგება სჭირდება. დღეს რეზო უცხოურ კლუბთან, სავარაუდოდ, სეზონის ბოლომდე გააფორმებს კონტრაქტს. თუ ასე მოხდა, რეზო არველაძე დანიაში მოთამაშე მეორე ქართველი ფეხბურთელი გახდება. ამ სკანდინავიურ ქვეყანაში თამაშის პატივი მანამდე გოჩა ქოქოშვილს ჰქონდა (სამი წლის წინ ქოქოშვილი „ნესტვედის“ ღირსებას იცავდა).

რაც შეეხება „ვიბორგს“, დანიის ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ ეს კლუბი თექვსმეტი თამაშიდან ოთხი მოგებით მეათე ადგილზე იმყოფება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დანიის ჩემპიონატის უმაღლეს ჯგუფში თორმეტი გუნდი გამოდის, ადვილი შესაძლებელია, „ვიბორგმაც“ ერთ დროს ქოქოშვილის „ნესტვედის“ ბედი გაიზიაროს — ბოლო ორ ადგილზე მყოფი გუნდები ახალ სეზონს ერთი საფეხურით დაბალ ლიგაში შეხვდებიან.

თოთხმეტ მარტს „ვიბორგი“ მეხუთეადგილოსან „ჰერფოლგეს“ უმასპინძლებს და, ალბათ, არველაძის დებიუტიც ამ შეხვედრაში შედგება

**პაატა ქვანტალიანი**



გურამ ცოლაყაშვილის ფოტო

მიხეილ ფოცხვერიამ ჯანლუიჯი ბუფონს ვერ გაუტანა, მაგრამ...

# მიხეილ ფოცხვერია: როგორ ვთამაშობ? კარგად კი არა, ძალიან კარგად

*სურვილი ერთია, საშუალება მეორეო. ეროვნული ნაკრების მწვრთნელებს დონეცკის „შახტიორის“ ქართველი ფორვარდის, მიხეილ ფოცხვერიას მოწვევა მუდამ კი სურდათ, მაგრამ საამისო საშუალება არ ჰქონდათ.*

*ჯერ იტალიელი კოკოს გალახვა და ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია.*

*მერე მუხლის მძიმე ტრავმა და კარგა ხანს უბურთოდ ყოფნა.*

*საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა. მიშას უეფასეული სასჯელის ვადაც გაუვიდა და მტკივანი ფეხიც მოუშუშდა. ვარჯიშსაც ძველებური მონდომებით შეუდგა. „შახტიორს“ ისრაელშიც ახლდა, კვიპროსშიც. ვითომ მწვრთნელ იარამჩენკოსაც მოულბა გული, ჩვენებური რამდენჯერმე ძირითადშიც ათამაშა. მიშამ გაუმართლა — ლამის ყველა მატჩში გოლი გაიტანა.*

*თუმცა რა, ეს მოსამზადებელი პერიოდისას. 7 მარტს კი იარამჩეკო, ეტყობა, ძველმა ბოღმამ შეაწუხა — უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრის პირველ მატჩში ფოცხვერია ისევ უთამაშებელი დატოვა.*

*არადა, რა დროს. „შახტიორის“ ქართველის გვარი ხომ იმ სიაში წერია, რომელიც ეროვნული ნაკრების მწვრთნელებს საუკრაინო-სასლოვენიოდ ლამის გამზადებული აქვთ...*

— არ ვიცი, თანაქალაქელ „მეტალურგთან“ თამაშის წინ რა მოხდა — გვითხრა მიხეილ ფოცხვერიამ, რომელსაც გუშინ დონეცკში შევეხმიანეთ — იარამჩენკო კი მპირდებოდა, ძირითადში გათამაშებო, მაგრამ ამას ვინ ჩივის, მინდორს საერთოდ არ გამაკარა. არც მატჩის შემდეგ უთქვამს რამე, მეც არაფერი მიკითხავს.

**— იქნებ სათამაშო ფორმას გიწუნებს?**

— შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ პირადად მე თავს კარგად ვგრძნობ, კარგად კი არა, ძალიან კარგ ფორმაში ვარ. მწვრთნელია და თავისი შეხედულება აქვს. იქნებ მომავალ მატჩში მათამაშოს. ბოლოს პირისპირ კვიპროსზე ვესაუბრეთ ერთმანეთს. ფემაქო, კმაყოფილი დარჩა, ტრავმის შემდეგ ნორმალურად გამოიყურებიო, მითხრა იარამჩენკომ.

**— ესე იგი, ძველი წყენა დაივიწყა...**

— თითქოს ასე ჩანს. დღესდღეობით ყველაფერი კარგადაა.

**— სიტყვამ მოიტანა და ტრავმის კვალს ვერც შენ გრძნობ?**

— სრულიად ჯანმრთელი ვარ. ფეხი აღარ მაწუხებს, სადარდო არაფერია.

**— ეროვნულ ნაკრებში უკვე მიგიწვიეს?**

— არა, ჯერ არავინ შემხმიანებია. არც კლუბში უთქვამთ რაიმე ჩემს გამოძახებაზე.

**— გუცაევს არ დაურეკავს?**

— მწვრთნელს ადრე ვესაუბრე. მარტისთვის კარგად მოემზადე, თბილისში უნდა ჩამოხვიდეო, მითხრა. მეც გულმოდგინედ ვვარჯიშობ, ეროვნულ გუნდში თამაში ხომ დიდი საქმეა. ძალიან მსურს, საქართველოს პირველი ნაკრების მაისური მოვირგო. თუ გამომიძახებენ, მეორე დღესვე თბილისში გავჩნდები.

**— გამოუძახებლად არ ჩამოხვალ? რაც უნდა იყოს, უკრაინა გვესტუმრება.**

— ზუსტად ვერ გეტყვი. საქმე ისაა, რომ უკრაინის ჩემპიონატის მატჩები ნაკრების თამაშებს ემთხვევა. არა მგონია, კლუბმა მოწვევის გარეშე გამომიშვას.

**— უკრაინის ნაკრები მომზადებას როდის იწყებს?**

— არ ვიცი. ისე კი აქაურ გაზეთებში თითქმის ყოველდღე წერენ 20 მარტის თამაშზე — ქართველები სარევანშოდ ემზადებიან და თბილისში არ უნდა წავაგოთო. როგორც გავიგე, საბო უძლიერესი შემადგენლობის გამოძახებას აპირებს.

**— ერთსაც გკითხავ. ამ მატჩში არ გაგიჭირდება? ნახევრად ხომ უკრაინელი ხარ.**

— ჩემი სამშობლო საქართველოა და როცა საქმე საქმეზე მიდგება, მნიშვნელობა არა აქვს, უკრაინელებს ვუპირისპირდები თუ რუსებს. ყოველთვის და ყველასთან ერთნაირად შემართული ვარ. არც ის მაინტერესებს, იარამჩენკოს როგორი რეაქცია ექნება, თუ თბილისში ვითამაშებ.

**კობა ინასარიძე**

# გია ფირცხალავა საშეჯიბროს სათავეში

**ალმასკომის** ბოლო სხდომაზე ფეხბურთის ფედერაციის ახალი შემადგენლობის საბოლოო სახე ჩამოყალიბდა, ფედერაციის თითქმის ყველა კომიტეტის თავმჯდომარეც ოფიციალურად დამტკიცდა. ღიად მხოლოდ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის საკითხი დარჩა. ამ თანამდებობაზე ბადრი ქარქაშაძე მხოლოდ მოვალეობის შემსრულებლად გამწესდა და მაშინვე ნათელი გახდა, რომ მომავალ ალმასკომამდე გამოიკვეთებოდა აღნიშნული კომიტეტის მესაჭის პერსონა. ასეც მოხდა. გუშინ გადაწყდა, რომ საშეჯიბრო კომიტეტს გია ფირცხალავა უხელმძღვანელებს, ხოლო ბადრი ქარქაშაძე მას მოადგილეობას გაუწევს. ეს ყველაფერი უახლოეს ალმასკომის სხდომაზე დამტკიცდება.

გია ფირცხალავა კარგა ხანია, ქართული ფეხბურთის სამსახურში დგას. თუ ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინ იგი სპორტის ამ სახეობას ფეხბურთელის რანგში ემსახურებოდა (ჩემპიონატის პირველ წრეში ფირცხალავა „არსენალის“ ღირსებას იცავდა), ამჯერად მისი ახალი სამსახური გაცილებით სოლიდური და საპასუხისმგებლოა. იმედს ვიტოვებთ, რომ ბატონი გია მთელი სერიოზულობით მიუდგება დაკისრებულ მოვალეობას. მას ენერგია და მონდომება არ აკლია და სამომავლოდ რადიკალური ცვლილებების გატარებასაც აპირებს. აქვე საშეჯიბრო კომიტეტის ახალი ხელმძღვანელის პირველ კომენტარსაც გაგაცნობთ:

— გეთანხმებით, რომ შესაცვლელი ბევრი რამ არის, მაგრამ რადიკალური რეფორმები მომდევნო ჩემპიონატისთვის გატარდება. ამისათვის რეგლამენტი უკვე მზადდება. თითოეული თამაშის ორგანიზებისთვის კი სიახლეები ამთავითვე მოხდება. ავჭალის სტადიონზე ამას წინათ მომხდარი ინციდენტი არ უნდა განმეორდეს. ჩვენ წილ პასუხისმგებლობას არ ვიხსნით, მაგრამ „მერანი“ — „დინამოს“ შეხვედრის წინა დღეს მასპინძელთა პრეზიდენტი ნუგზარ ნავაძე კიდევ ერთხელ გავაფრთხილეთ, რომ კარის ზომებისთვის გადაეხედა და თამაშისთვის ყველაფერი წესრიგში ყოფილიყო, თუმცა... ამიერიდან თითოეულ თამაშზე მატჩის ინსპექტორი ორი საათით ადრე შეხვდება მასპინძელი გუნდის, ძალოვანი სტრუქტურის, სამედიცინო და სახანძრო დახმარების წარმომადგენლებს (როგორც ეს „კოლხეთ“ — „ტორპედოს“ ამასწინანდელი მატჩისას მოხდა) და თამაშის ორგანიზებულად ჩატარების ყველა პირობას დაიცავს.

**პაატა ქვანტალიანი**

ბადრი ქეთილაძის ფოტო



ჯერ კიდევ ნოემბერში გია ფირცხალავა „არსენალს“ კაპიტნობდა

# სოკოლის მეოთხე ქართველი

4 თებერვლის „სარბიელში“ ფოთის „კოლხეთის“ მეკარე ზურაბ ქვაჩახიაზე ვწერდით — რუსეთის ჩემპიონატის მეორედივიზიონელ სარატოვის „სოკოლს“ შეკრებაზე გაჰყვაო. „სოკოლის“ მწვრთნელს გასინჯვაზე მყოფი ჩვენებური მოსწონებია, მის გუნდში აყვანაზეც დაფიქრებულა, მაგრამ კვიპროსიდან დაბრუნებულ სარატოველებს დამრიგებელი შეცვლიათ. წინამორბედის ადგილი კალინინგრადის „ბალტიკას“ ყოფილ თავკაც ლეონიდ ტკაჩენკოს დაუკავებია. მას კი უთქვამს, ქართველ მეკარეს უკეთ დავაკვირდებიო. კვიპროსის მერე ქვაჩახია პირინეის ნახევარკუნძულზე გაჰყოლია სარატოველ „შევარდნებს“ შეკრებაზე და ტკაჩენკოსთვის თავიც მოუწონებია, თუმცა მწვრთნელი მაინც არ ჩქარობს: 12 მარტიდან სარატოვის „სოკოლი“ სოჭში გაივლის ბოლო შეკრებას და სწორედ იქ გადაწყდება ყველაფერიო.

გუნდში დღესდღეობით სამი მეკარე ისინჯება. ადრე კიევისა და მოსკოვის „დინამოში“, მოსკოვის „სპარტაკსა“ და ცსკა-ში ნათამაშევ დმიტრი ტიაპუშკინს უკრაინის ეროვნულ გუნდშიც უსინჯავს ძალა. ქვაჩახიას მეორე კონკურენტი ახალგაზრდა ზვიაგინია.

თუ ყოველივე სასიკეთოდ გადაწყდა, ქვაჩახია სარატოვის „სოკოლში“ მეოთხე ჩვენი თანამემამულე იქნება.

„სოკოლში“ ძმები გიზო და ზვიად ჯელაძეები და მიხეილ ჯიშკარიანი ირიცხებიან.

**გიორგი გაშაძიძე**

# დარკინი სასტიკიაო

„მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ჩელსის“ შეხვედრაში, რომელიც მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე“ გაიმართა და ფეხბურთის ასოციაციის თასის მეოთხედფინალი გახლდათ, ცნობილმა მსაჯმა პოლ დარკინმა მასპინძელ გუნდს პოლ სქოულზი გაუძევა, სტუმართ კი რობერტო დი მატეო. ამის თაობაზე „მანჩესტერის“ მწვრთნელმა, ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, არბიტრი მეტისმეტად მკაცრი იყოო.

რას იზამ, ფერგიუსონი მწვრთნელია და თავისი გადასახედი აქვს. მას მოეჩვენა, რომ როგორც ერთმა, ისე მეორე ფეხბურთელმა არაფერი ჩაიდინა წითელ ბარათად შესაფასებელი, მაგრამ დარკინმა, საკუთარი თავი რომ შეამოწმებინა, ვიდეოფირი წინ და უკან ატრიალა, მერე კი საჯაროდ განაცხადა:

„იმ თამაშში, ხუთი გაფრთხილებიდან, ოთხი ისეთი იყო, რომ გაფრთხილებულ ფეხბურთელებს ერთხელაც რომ ეუხეშათ, უთუოდ გაძევების ღირსნი იქნებოდნენ. ამიტომ, ვაცხადებ, რომ ჩემი გადაწყვეტილებები სრულიად სამართლიანი გახლდათ“.

ფერგიუსონი კი მაინც არ დაცხრა, ბოლო სიტყვა თავისთვის დაიტოვა. დარკინიო, თქვა მან, ის კაცია, ვისაც ხშირად აკრიტიკებენ, ეს კი იმიტომ ხდება, რომ მის სისასტიკეს საზღვარი არ აქვსო.

REUTERS მანჩესტერიდან




ასე გააძევა პოლ დარკინმა პოლ სქოულზი

# ჯოჯოხეთის დასასრული

ხვალ ინგლისური პრემიერლიგის კლუბების თავმჯდომარეები იმ 18 მსაჯის ბედს გადაწყვეტენ, რომლებიც მათი გუნდების შეხვედრებს ემსახურებიან. თუ თვრამეტივე არბიტრის ამბავი არ გადაწყდა, მათი უმრავლესობა ნამდვილად შეიტყობს მნიშვნელოვან სიახლეს.

საქმე ის გახლავთ, რომ ხსენებულ თავმჯდომარეებს დღის წესრიგში ერთი ფრიად საყურადღებო საკითხი აქვთ შეტანილი: გაუფორმონ თუ არა მსაჯებს მუდმივი ხელშეკრულებები. ფაქტობრივად, მსაჯთა პროფესიონალიზმზეა საუბარი.

ამასთან დაკავშირებით პრემიერლიგისა და ფიფას არბიტრი, გრემ პოლი, გუშინდელ „დეილი ტელეგრაფში“ წერდა: „პროფესიით სამარკეტინგო საქმის მენეჯერი გახლავართ. სამუშაო ჩემგან კვირაში 45-50 საათიან გარჯას მოითხოვს, რასაც, ასე, 15-საათიანი მოგზაურობაც ემატება. ძირითადი პროფესიის გარდა კი, როგორც მოგეხსენებათ, მსაჯი ვარ და ქალაქიდან ქალაქში მიწევს ხოლმე გადაბარგება. ესეც კიდევ სამი ღამე. საშუალოდ, თვეში სამჯერ სჯა, ერთხელ კი მეოთხე არბიტრად ჯდომა მიხდება. ამ შეხვედრებზე უმეტესად წინა დღეს ჩავდივარ და შინ მეორე დღეს ვბრუნდები. რა გამოდის? გამოდის, რომ პარასკევ საღამოს შვიდ საათზე სახლში შესული სულის მოთქმას ვერ ვასწრებ, მანქანაში ვჯდები და სხვა ქალაქისკენ ვიღებ გეზს, სადაც ჩემივე დაჯავშნული სასტუმრო მელოდება. თამაში შაბათსაა. ეს იმას ნიშნავს, რომ მატჩის დამთავრების შემდეგ, სანამ ფორმალობებს მოვაგვარებ, კიდევ დრო უნდა დამეხარჯოს და სტადიონიდან დაახლოებით 6 საათზე წამოვიდე. ასეთ დღეებში შინ 9 საათზე შევდივარ, მაგრამ საქმე მოთავებული როდია: ჯერ კიდევ ჩასატარებელია კანცელარიული სამუშაოები, ხოლო განვლილი შეხვედრა ვიდეოზე დაწვრილებითაა გასაანალიზებელი, რაც კვირას, ვითომცდა ერთადერთ თავისუფალ დღეს კვლავ და კვლავ მუშაობაში მატარებინებს“.

შემდეგ პოლი იმ, სამუშაო დღეებს აღწერს, როდესაც მატჩში საღამოსაა დანიშნული:

„ასეთ დროს შინიდან დილის ექვს საათზე გავდივარ, რათა ძირითად სამსახურში მივიდე. იქ მუშაობა რვის ნახევარზე მეწყება. შუადღის შემდეგ ზეზეულად ორიოდ ლუკმას გადავყლაპავ და, ვთქვათ, ბლექბერნისკენ მივეშურები. გზას სამსაათნახევარი სჭირდება. ბლექბერნში ხომ დროულად უნდა ჩავიდე, რათა ასისტენტებს შევხვდე და შეხვედრისთვის მოვემზადოთ. მატჩის დამთავრების შემდეგ ფორმალობებს ვაგვარებ და შინისკენ მივიჩქარი. დაახლოებით ღამის ორ საათზე შევდივარ ხოლმე სახლში და ვიძინებ, რათა 6 საათზე ისევ სამსახურისკენ გავწიო“.

ამ დროს კი ფეხბურთი ვითარდება, ხდება ერთიორად ძალისმიერი, სწრაფი, რთული. მოთამაშეებს სამსახურები არ უმძიმებთ ბეჭებს. ისინი მდიდარი პროფესიონალები გახლავან, რომლებიც ყოველ დღეს ხვეწენ ოსტატობას და ბუნებრივია, ნაწყენდებიან, როდესაც მსაჯი შეცდომას უშვებს. ნაწყენდებიან გულშემატკივრებიც. მსაჯები კი ამასობაში სამსახურებიდან გამორბიან, რათა პედალს რაც შეიძლება, ღონივრად მიაჭირონ ფეხი. მათ სხვა ქალაქში აქვთ ჩასასწრები.

აქ გრემ პოლს ლოგიკური კითხვა ებადება: „განა პროფესიონალი მსაჯი უკეთ არ გაუძღვება შეხვედრებს?“ ამ კითხვაზე იგი თავად სცემს ასევე ლოგიკურ პასუხს: „მწამს, თუ არბიტრი მხოლოდ ფეხბურთით იქნება დაკავებული, მოგზაურობასაც ადამიანურად მოასწრებს და ოსტატობასაც ისე აიმაღლებს, რომ შეცდომები თითქმის აღარ იქნება“.

დემაგოგია არ არის საჭირო. პროფესიონალი თუ მოყვარული, ადამიანი ადამიანია. ის ყოველთვის დაუშვებს შეცდომას. აქ მხოლოდ მეტ და ნაკლებ შეცდომებზე გვაქვს საუბარი. მსაჯები კი არა, მილიონერი ფეხბურთელები, მთელი დღე ბურთაობის გარდა არაფერზე რომ ფიქრობენ, ხანდახან იმისთანა სიბრიყვეს სჩადიან, კაცს პირს დაგაღებინებენ.

მაგრამ, როგორც ზევით მოგახსენეთ, ყველა მსაჯს, შესაძლოა, არ უბოძონ ნანატრი ხელშეკრულება. ასე რომ, ვინც ძველებურ გაწამაწიაში დარჩება, მან იკითხოს. თუმცა, პოლის აზრით, მეორე ნაწილი რომ პროფესიონალი გახდება, ამით მაინც გაიოლება საქმე. ხელშეკრულებიანი არბიტრები ხომ 50 პროცენტით მეტ შეხვედრას მოემსახურებიან და ეს არაპროფესიონალებს დატვირთვას შეუცმირებს.

ისე კი, პრემიერლიგისა და საფეხბურთო ლიგის შეფებს გვარიანი ფიქრი მოუხდებათ, რათა საქმის მცოდნე მავანი მსაჯი არ გამორჩეთ და სამოყვარულო ჯოჯოხეთში არ დატოვონ.

კიდევ, შეფებმა ისე უნდა ქნან, რომ კაცს არ შეეშინდეს, ახლა ჩემს ძირითად პროფესიას თავი რომ დავანებო და ამათთან სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმო, სამი წლის მერე რა მეშველებაო.

ბაბუნა ძიძია

# ჯერ ნუ აიჭრელებთ მკერდს

კარგი იქნება გერმანელმა მსაჯებმა მაისურებზე რეკლამები რომ დაიწერონ, თქვა მათმა პრესმდივანმა მანფრედ ამერელმა.

„ისე არ გაიგოთ თითქოს მსაჯებისგან სარეკლამო დაფების გაკეთება გვინდოდეს, მაგრამ მკერდზე რომელიმე ფირმის ლოგოს ალბეჭდვას არ დავუშლიდი“ — ბრძანა ამერელმა — „ასეთ შემთხვევაში ვგონებ ყველა არბიტრს ერთი სპონსორი გამოუჩნდება, შემოსავალი კი საფეხბურთო კავშირისა იყოს“.

პასუხად, საფეხბურთო კავშირის პრესმდივანმა, ვოლფგანგ ნიერსბახმა განაცხადა, რომ დღესდღეობით მსაჯთა მაისურების რეკლამებით აჭრელება გამორიცხულია, რადგან ამას ფიფა კრძალავს.

„ჩვენ, გერმანიის საფეხბურთო კავშირი, ფიფას ნებართვის გარეშე ვერაფერს გავაწყობთ“ — მოკლედ მოჭრა ნიერბახმა.

## ფეხბურთის რუკასთან



**გერმანელი** ნახევარმცველი პატრიკ ვაისერი გაისად ალბათ მაინც მშობლიურ ფეხბურთის დაუბრუნდება. ამჟამად ბუნდესლიგის კლუბი „ვოლფსბურგი“ შეუთანხმდა ფეხბურთელს, რომ ვაისერმა ახალ სეზონში მისი ღირსება დაიცვას. 27 წლის მოთამაშე დღესდღეობით ფრანგულ „რენში“ ასპარეზობს, თუმცა რამდენიმე დღის წინ თანამემამულეებთან გაფორმებული სამწლიანი კონტრაქტის თანახმად, მას „რენის“ დატოვება მოუწევს. „ვოლფსბურგმა“ ვაისერის სანაცვლოდ 417 ათასი დოლარი, ანუ 750 ათასი გერმანული მარკა გადაიხადა.

**გვატემალაში დასრულდა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ოთხი ოკეანისგაღმელი ნაკრები მონაწილეობდა. ტურნირი „კოპა პასი“ მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალისტის, პარაგვაის გამარჯვებით დასრულდა. მათ მესამე ტურშიც იმარჯვეს, ბოლივიელებს 3:0 მოუგეს და პირველ ადგილზე გავიდნენ. მეორე ადგილს მასპინძელთა 4:2 დამარცხების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის კიდევ ერთი მონაწილე, იამაიკა დაეუფლა. გვატემალა ბოლო გახლდათ.**

**ბრაზილიელი** თავდამსხმელი სავიო ბორტოლინი მადრიდის „რეალის“ ტრავმირებულ ფეხბურთელთა სიას შეემატა. სავიო ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში, შინ „სარაგოსასთან“ 3:2 მოგებულ მატჩში 30-ე წუთზე დაშავდა, სამეფო კლუბის ექიმების განცხადებით, ბრაზილიელ ფეხბურთელს სამი კვირა გაუცდება. მან მეტოქესთან ორთაბრძოლისას მუხლი დაიზიანა. უკვე გადაწყვეტილია, რომ სავიო ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, კიევში „დინამოს“ წინააღმდეგ ველარ ითამაშებს. „რეალმა“ უკრაინელებთან მატჩში შესაძლოა პრედრაგ მიატოვიჩი, ფერნანდო იერო და მანუელ სანჩისიც მოისაკლისოს.

**დანიის ჩემპიონატის მე-17 ტურის ერთ-ერთი მატჩის შემდეგ აბობოქრებული გულშემატკივრების დამოშმინება პოლიციას მოუხდა. მას შემდეგ, რაც „ვეილემ“ შინ „ბრონდბიუ“ ვერ დაამარცხა და მხოლოდ ფრე ითამაშა — 0:0, მასპინძელთა ქომაგებმა მოედანზე მაშხალები ისროლეს. იმავე დღეს ჩემპიონატის კიდევ ერთი მატჩი გაიმართა — „ორჰუსმა“ შინ 1:0 დაამარცხა „ოლბორგი“. ჩემპიონატში პირველი-მეორე ადგილებს კოპენჰაგენური კლუბები იყოფენ. პირველზეა „კოპენჰაგენ AB“ 34 ქულით, მეორეზე კი — „კოპენჰაგენი“ 30 ქულით. 29 ქულით „ბრონდბიუ“ მესამეა.**

**სამხრეთ** აფრიკის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებს ნაკლებად სჯერათ, რომ ფიფა მათ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებას მიანიჭებს. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომელმა ირვინ ხოზამ განაცხადა, მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლების მოპოვების შანსი ჩვენი აზრით გერმანიას უფრო აქვსო. სამხრეთაფრიკელები მიიჩნევენ, რომ გერმანელები საფეხბურთო ინფრასტრუქტურით ყველა სხვა კანდიდატზე წინ დგანან. ირვინ ხოზა ამ დღეებში განასა და ნიგერიაში მოგზაურობდა, რათა ამ ქვეყნების სახით სამხრეთი აფრიკისთვის 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის არჩევნებში მომხრეები გაეჩინა.

**ჩეხეთის ჩემპიონატის მე-18 ტური: ბანიკი — ტეპლიცე 0:0, დუკლა — ჩმელი 2:0, ჰრადეც კრალოვე — კარვინა 3:0, იაბლონეცი — ოპავა 1:0, ოლომოუცი — ვიქტორია (პლზენი), 1:1 სპარტა — დრნოვიცე 1:0, ვიქტორია (ჟიჟკოვი) — სლოვანი 0:3. ჩემპიონატს 40 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს პრაღის „სპარტა“, მეორე ადგილზეა „ტეპლიცე“, რომელიც ლიდერს შვიდი ქულით ჩამორჩება. მესამეზეა 31 ქულით „დრნოვიცე“.**

**სამხრეთ** ამერიკაში მიმდინარეობს 17 წლამდელ ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. ამ დღეებში რამდენიმე შესარჩევი შეხვედრა გაიმართა: ბოლივია — ჩილე 1:0, ბრაზილია — კოლუმბია 4:3, ურუგვაი — ვენესუელა 5:2, არგენტინა — პერუ 2:0.

**უელსელმა ვინი ჯონსმა ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტა. უხეშობით გამორჩეული მოთამაშე ფეხბურთს 34 წლის ასაკში ეთხოვება. თითქმის მთელი კარიერის მანძილზე ვინი ჯონსი ინგლისურ კლუბ „უიმბლდონში“ თამაშობდა, თუმცა მანამდე „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ ღირსებასაც იცავდა. უელსის ნაკრებში მას ცხრაჯერ უთამაშია, მათ შორის 1995 წელს კარდიფში, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საქართველოს წინააღმდეგ. მაშინ ჯონსი მიხეილ ყაველაშვილთან უხეშობის გამო მინდვრიდან გააძევეს.**

**გერმანიის** ბუნდესლიგაში კვლავ შეიცვალა მწვრთნელი. ამჯერად თანამდებობის დატოვება როსტოკის „ჰანზას“ თავკაც ევალდ ლინენს მოუწია. ლინენი „ჰანზას“ ხელმძღვანელობამ შაბათს, „დუისბურგთან“ 1:4 მარცხის შემდეგ გაათავისუფლა. მას შეცვლის თანაშემწე ანდრეას ზახბაუერი, რომელიც გუნდს სეზონის ბოლომდე უთავკაცებს. შეგახსენებთ, რომ უკვე ყოფილი მწვრთნელი ლინენი „ჰანზას“ 1997 წლის ივლისიდან ხელმძღვანელობდა.

**იტალიელ თავდამსხმელ მარკო ბრანკას ფეხბურთთან გამოთხოვება მოუწევს. ექიმებმა მისი მტკივანი მუხლის განკურნება ვერ შეძლეს და ფეხბურთის თამაში აუკრძალეს. 34 წლის ბრანკა, რომელიც დღესდღეობით ინგლისის „მიდლსბროს“ ფეხბურთელია, სამკურნალოდ ამერიკასაც ეწვია, ათასობით დოლარიც დახარჯა, მაგრამ... დევიდ დენდიმ, გამოცდილმა ექიმმა, მარკო ბრანკას განუცხადა, მუხლს ვერ მოგირჩენთო. სხვათა შორის, დენდიმ თავის დროზე ალან შირერი გადაარჩინა ფეხბურთიდან იძულებით წასვლას.**

**პარაგვაის** „ოლიმპიამ“, რომელსაც ლიბერტადორესის თასი რამდენჯერმე მოუგია, ამ გათამაშების მორიგ ტურში ბრაზილიის „პალმეირასს“ უმასპინძლა და გაიმარჯვა — 4:2. მეტოქენი მესამე ჯგუფში თამაშობენ. შეგახსენებთ, რომ ამ რამდენიმე წლის წინ „პალმეირასმა“ ბათუმში საქართველოს ნაკრებს სძლია 1:0.

**უნგრეთის ჩემპიონატის კვირას გამართული შეხვედრა „ვიდეოტონსა“ და „სომბათჰეის“ შორის ფრედ 0:0 დასრულდა. 47 ქულით პირველობას ბუდაპეშტის მტკ ლიდერობს, მეორეზეა „დიორ ეტო“ (39 ქულა), მესამეზე კი „დუნაფერი“ (36).**

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20



# ვისია, ვისია, სტადიონი ლამაზი...

„უემბლი“, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სტადიონი, შესაძლოა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის საკუთრებაში გადავიდეს.

„უემბლის“ დირექტორთა საბჭოს სამმა წევრმა განაცხადა, რომ ისინი თანახმა არიან, ქვეყნის უპირველესი სარბიელი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის გახდეს. თუმცა დირექტორთა საბჭოს კიდევ სამი წევრი რაიმე გადაწყვეტილების მიღებისგან ჯერ-ჯერობით თავს იკავებს.

კარგად მოგეხსენებათ, რომ ინგლისს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა სწადია, თუმცა გერმანიისგან უდიდეს წინააღმდეგობას აწყდება. ინგლისელები ამ უფლების მოსაპოვებლად ყოველ ღონეს ხმარობენ, მათ შორის კი „უემბლის“ ანიჭებენ უდიდეს როლს, როგორც ფეხბურთის სადიდებლად აგებულ ტაძარს.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ კარგა ხნის წინ განაცხადა, რომ თუ ფიფა მას 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებას მისცემს, მაშინ გადამწყვეტ მატჩს „უემბლი“ უმასპინძლებს. იმავე ორგანიზაციის თქმით, იმ დროისთვის „უემბლი“ ულტრათანამედროვე სტადიონი იქნება და საკმაოდ სახეშეცვლილი.

დღესდღეობით „უემბლის“ მშვენება ორი კოშკურა და სწორედ მათი მოშლა გადაუწყვეტია ფეხბურთის ასოციაციას. მათი განცხადებით, მართალია, ორი კოშკურა გულშემატკივრებს ტკბილ მოგონებებს აღუძრავს, მაგრამ რეკონსტრუქციის შემდეგ სტადიონი უფრო გალამაზდება. ინგლისელი ხალხი ამ აზრს ვერ ეგუება.

სანამ „უემბლის“ დირექტორთა საბჭო ბჭობს, მიჰყიდოს თუ არა სტადიონი ასოციაციას, მისი შესყიდვის სურვილი ამერიკულმა კომპანია „SEX ენთერთეიმენთმა“ გამოთქვა. ამერიკელები მზად არიან, 170 მილიონი დოლარი გადაიხადონ და „უემბლის“ მფლობელები გახდნენ, თუმცა ამის ძალიან მცირე შანსი აქვთ. თითქმის წარმოუდგენელია, სტადიონის დირექტორთა საბჭომ მთელი ინგლისის სიამაყე სხვა ქვეყნის საკუთრებაში გადასცეს.

სანამ სტადიონის ბატონ-პატრონის ვინაობა გაირკვევა, ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია მასზე ჩასატარებელი შეხვედრების კალენდარს ადგენს.

ასოციაციამ გადაეწყვიტა, რომ თუ დღეს ასოციაციის თასის მეექვსე წრის გადათამაშებაში „ჩელსი“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ დაამარცხებს, მაშინ თასის ნახევარფინალი 12 აპრილს „უემბლიზე“ გაიმართება. ნახევარფინალში უკვე გასული თასის მფლობელ „არსენალს“ ალექს ფერგიუსონის ან ჯანლუკა ვიალის გუნდი ელის მეტოქედ. თუ მოხდა და „მანჩესტერმა“ „სტემფორდ ბრიჯზე“ მასპინძელი „ჩელსი“ დაამარცხა, მაშინ ნახევარფინალი „არსენალსა“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ შორის ბირმინგემში, „ვილა პარკზე“ შედგება.

მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაში თემურ ქეცბაიას „ნიუკასლი“ მანჩესტერში, „ოლდ ტრეფორდზე“ დაუპირისპირდება ან „ტოტენჰემს“, ანაც „ბარნსლის“. ეს მატჩი 11 აპრილს გაიმართება.

**კოტე ვაიტაძე**

# კაზირაგის პრობლემები და ჩელსის მიზნები

ინგლისის ჩემპიონობისთვის მებრძოლი ლონდონის „ჩელსის“ იტალიელი თავდამსხმელის, პიერლუიჯი კაზირაგის ჯანმრთელობა თანდათან უმჯობესდება. თავად ფეხბურთელს იმედი აქვს, რომ თამაშს მომავალი სეზონის დასაწყისში განაახლებს, თუმცა ამ საკითხში უფრო ჩახედული ხალხი, ექიმები ირწმუნებიან, რომ კაზირაგის მოედანზე გამოჩენა 1999 წლის ბოლომდე გამორიცხულია.

„სკუადრა აძურას“ გამოცდილმა ფორვარდმა მუხლის უმძიმესი ტრავმა შარშან ნოემბერში ლონდონის „ვესტ ჰემთან“ შეხვედრაში მიიღო, როდესაც მეტოქის მეკარე შაკა ჰისლოპს უხერხულად შეეჯახა. კაზირაგის მუხლიც სერიოზულად დაუზიანდა და მყესებიც გაუწყდა. მაშინ კლუბის (ჩელსის) სამედიცინო პერსონალის დასკვნა, რბილად რომ ვთქვათ, თავზარდამცემი იყო, როგორც თავად მოთამაშისთვის, ასევე გუნდის ხელმძღვანელობისთვის. სხვა თუ არაფერი, „ჩელსიში“ რომის „ლაციოდან“ გადასვლისას კაზირაგი ლონდონელთა უძვირფასესი შენაძენი გახლდათ — იტალიურმა კლუბმა ხომ მის სანაცვლოდ 5,4 მილიონი გირვანქა (9 მილიონი დოლარი) გადაიხადა. ექიმთა თქმით, იგი ორი წელი ბურთს ველარ გაეკარებოდა.

თუმცა გავიდა დრო და „ჩელსის“ ბანაკში იმედის ნაპერწკალმა გაიელვა — კაზირაგი სადაცაა დაასრულებს მკურნალობას. როგორია მისი ამჟამინდელი მდგომარეობა? ყველაზე ამომწურავად ამ კითხვაზე პასუხი თავად ფეხბურთელმა გასცა. აი, რა უთხრა მან გაზეთ „ივნინგ სტანდარდის“ ჟურნალისტს:

— თავს შედარებით კარგად ვგრძნობ. ვერ ვიტყვი, რომ საგრძნობლად გამოვჯანმრთელდი, მაგრამ უკეთესობა ნამდვილად არის. ძალიან ბევრს ვმუშაობ ფიზიკური ფორმის აღდგენაზე — თითქმის ყოველდღე, დილა-საღამოს. ვარჯიში ტრავმის მოშუშებაშიც მეხმარება და ფსიქოლოგიურადაც. დიდი სურვილი მაქვს, თამაში მომავალი სეზონის დასაწყისიდან განვაახლო, ექიმებიც ყველანაირად ხელს მიწყობენ, მაგრამ, მათი აზრით, ასეთი ნაჩქარევი დაბრუნება არარეალურია. რა ვიცი, ვნახოთ, რა როგორ იქნება.

29 წლის იტალიელმა „ჩელსიზეც“ თქვა ორიოდ სიტყვა.

— გუნდს მაღალი მიზნები აქვს და ძალიან მწყინს, რომ მათ განხორციელებაში ვერ ვეხმარები. ბიჭებს პრემიერლიგური ტიტულის მოპოვებაც შეუძლიათ, თასთა თასის უკანასკნელ გათამაშებაში შარშანდელი წარმატების მიღწევაც და ინგლისის ასოციაციის თასის დაპატრონებაც. ამ უკანასკნელის მეოთხედფინალს „ოლდ ტრეფორდზე“ დავესწარი და „ჩელსის“ თამაში ძალიან მომეწონა. ვიმედოვნებ, გადათამაშებაში „მანჩესტერის“ ბარიერს გადავლახავთ და ნახევარფინალში გავალთ.

ამის გაკეთება „არისტოკრატებს“ ნამდვილად ძალუძთ. ჯერ ერთი, „ჩელსისა“ და „მანჩესტერის“ დღევანდელი შეხვედრა ლონდონურ „სტეფორდ ბრიჯზე“ გაიმართება და კიდევ, ვიალის გუნდი სამი წამყვანი ფეხბურთელით მოძლიერდება, რომლებმაც წინა მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვეს. ესენი არიან ნიგერიელი მცველი სელესტინ ბაბაიარო, მსოფლიოს ჩემპიონი ფრანკ ლებეფი და „ჩელსის“ ტანმორჩილი კაპიტანი დენის უაიზი. შეგახსენებთ, რომ ამ წყვილში გამარჯვებული 11 აპრილს ნახევარფინალში სემპიონსა და თასის მფლობელ „არსენალს“ დაუპირისპირდება.

**ნოდარ ბასრაძე**

**ამხანაგური მატჩი**

## 10 მარტი. რუმინეთი - ისრაელი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის გუნდები გამალებით ემზადებიან. მარტის ბოლოს რუმინეთს ორი შესარჩევი შეხვედრა ელის აზერბაიჯანთან და სლოვაკეთთან, თუმცა სანამ ოფიციალური შეხვედრაა მოახლოებული, გუნდი ამხანაგურ თამაშებს ატარებს.

ერთი კვირის წინ რუმინეთმა ესტონეთის ნაკრებს უმასპინძლა და 2:0 დაამარცხა მეტოქე. ახლა ისრაელის ნაკრებთან მოუწევს პაექრობა.

რუმინეთის ნაკრების მწვრთნელმა ვიქტორ პიტურკამ უცხოეთში მოთამაშე თითქმის ყველა ძლიერ ლეგიონერს უხმო, თუმცა გუნდს ორი მოთამაშე კვლავ გამოაკლდება — ფლორინ რადუჩოუ, რომელმაც ნაკრებში დაბრუნებაზე ორწლინახევრიანი პროტესტის შემდეგ თანხმობა განაცხადა, ვერც ისრაელის გუნდთან ითამაშებს. ესტონელებთან მატჩი რადუჩოუმ ავადმყოფობის გამო გამოტოვა. ისრაელელებთან კი ვიქტორ პიტურკამ არ იხმო, რაც იმით ახსნა, რომ თითქოს თუ მას დააბრუნებს, იონელ განეა ნაკრებს მიღმა დარჩება და ისეთ ფეხბურთელს, რომელმაც წინა მატჩში ორი გოლი გაიტანა, სათადარიგოთა შორის ვერ დასვავს.

რადუჩოუს გარდა გუნდს თურქეთში გადახვეწილი გეორგ პოპესკუ გამოკლდება. მის „გალათასარაის“ ამ დღეებში ძალიან პრინციპული მატჩი აქვს.

შეგახსენებთ, რომ 1996 წლის გაზაფხულზე ბუქარესტში რუმინეთის ნაკრებმა საქართველო 5:0 გაანადგურა. ჩვენი გუნდის ისტორიაში ეს დღემდე ყველაზე დიდი მარცხია.

რუმინეთის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ბოგდან სტელეა (სალამანკა, ესპანეთ), ბოგდან ლაბონტი (რაპიდი); მცველები — დან პეტრესკუ (ჩელსი, ინგლისი), იონუტ ლუპესკუ, ლივიუ ჩიობოტარიუ, ფლორიან ბატრანუ, კოსმინ კონტრა (დინამო), ტიბორ სელიმეში (ანდერლეხტი, ბელგია); ნახევარმცველები — ეუგენ ტრიკა, ლაურენტიე როსუ, იონუტ ლუტუ (სტიაუა), კონსტანტინ გალკა (ესპანიოლი, ესპანეთი), დორინელ მუნტეანუ (კიოლნი, გერმანია), კატალინ მუნტეანუ (სალამანკა, ესპანეთი); თავდამსხმელები — ვიორელ მოლდოვანი (ფენერბახჩე, თურქეთი), გეორგე კრაიოვეანუ (ვილიარეალი, ესპანეთი), ადრიან ილიე (ვალენსია, ესპანეთი), იონელ განეა (რაპიდი).

შარშან ამავე დროს ისრაელის ნაკრები ბუქარესტს ესტუმრა და მასპინძლებთან ამხანაგურ მატჩში 1:0 მოიგო. ისრაელის ნაკრების მწვრთნელი შლომო შარფი იმედოვნებს, რომ გუნდი იმ მიღწევას კვლავ გაიმეორებს. გამარჯვება ჩვენს გუნდს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ძალიან წაადგება. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წინ რუმინეთის დარი მეტოქის ძლევა ყოველმხრივ სასარგებლო იქნება“ — განაცხადა შარფმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

რუმინეთთან ამხანაგურ მატჩს ისრაელი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის მოსამზადებელ ერთ-ერთ ეტაპად განიხილავს. 28 მარტს ისრაელი კვიპროსს ხვდება.

კვიპროსთან სათამაშო შემადგენლობას შლომო შარფი თავის დროზე დაასახელებს, რუმინელებთან დაპირისპირებული გუნდი კი მწვრთნელმა რამდენიმე დღის წინ გამოაცხადა. ნაკრებში ერთადერთი ახალწვეულია — ისრაელის ჩემპიონატის ლიდერ ჰაიფას „ჰაპოელის“ თავდამსხმელი ოფერ ტალკერი ქვეყნის პირველ გუნდში მხოლოდ იმიტომ გამოიძახეს, რომ ესპანეთში, კონკრეტულად კი ვიგოს „სელტაში“ მოთამაშე ჰაიმ რევივო პრიმერა დივიზიონის ბოლო ტურში, „ბეტისთან“ 4:0 მოგებულ მატჩში დაშავდა.

რაც შეეხება დანაკლისს, ისრაელის ნაკრებში ასეთი ორია — ჰაიფას „მაქაბიდან“ ფრანგულ „ნიცაში“ გადასული ალონ მიზრაჰი კლუბის თხოვნის შემდეგ შარფმა გაათავისუფლა, იერუსალიმის „ბეითარის“ ნახევარმცველი იუსი აბუკსისი კი ტრავმირებულია.

ისრაელის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ნირ დავიდოვიჩი (ჰაიფას მაკაბი), ერან ზაინცინგერი (ნათანიას მაკაბი); მცველები — არიკ ბენადო, ალონ ჰარაზი (ჰაიფას მაქაბი), რან ბენ-შიმონი, ნაივან გრაები (ჰაიფას ჰაპოელი), ამირ სელაჰი (იერუსალიმის ბეითარი); ნახევარმცველები — ავი ნიმნი (თელ ავივის მაქაბი), ვალიდ ზდირი (ფეთახ თიქვას ჰაპოელი), იან ტალასნიკოვი (იერუსალიმის ბეითარი), იდან ტალი (თელ ავივის ჰაპოელი), ლორენ ზეითუნი (ჰაიფას ჰაპოელი), ტალ ბენინი (ბრეშა, იტალია), ეიალ ბერკოვიჩი (ვესტ ჰემ იუნაიტედი, ინგლისი), ავი თიკვა (გრასჰოპერი, შვეიცარია); თავდამსხმელები — რონენ ჰარაზი (ჰაიფას მაქაბი), ნირ სივილია (იერუსალიმის ბეითარი), ოფერ ტალკერი (ჰაიფას ჰაპოელი).



ორი ტრავმირებული ლონდონელი — იტალიელი პიერლუიჯი კაზირაგი და ურუგვაელი გუსტავო პოიეტი (№8)




თასების მფლობელთა თასი
პირველიდან უკანასკნელ გათამაშებამდე
13 მარტიდან
ოთხშაბათის, ხუთშაბათის, პარასკევისა და შაბათის სარბიელ-ში
UEFA Cup Winners' Cup
სრული ისტორია

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 93 16 08

ქირავდება
1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა
ქავთარაძის ქუჩაზე
☎ 93 15 72

# ჩრდილოეთიდან სამხრეთში

იარი ლიტმანენი ახალი სეზონიდან „ბარსელონაში“ ითამაშებს.

ამსტერდამის „აიაქსის“ ბოლო წლების უპირველესმა თავდამსხმელმა და კატალონიურმა კლუბმა მოილაპარაკეს, რომ ფინელი ფორვარდი ზაფხულში „ბარსელონაში“ გადაბარგდება.

„როიტერის“ სააგენტოს ცნობით, მხარეებს შორის ოფიციალური ხელშეკრულება არ გაფორმებულა, იმასაც აღნიშნავენ, რომ ამის გამო ლიტმანენის „კამპ ნოუზე“ გადასვლა საეჭვო სრულიადაც არ ხდება.

ბარსელონელებს ლიტმანენის შეძენა რამდენიმე წლის წინაც სურდათ, მაგრამ მაშინ „აიაქსს“ ლუის ვან გაალი წვრთნიდა და ამსტერდამში მონოლითურ გუნდს აყალიბებდა, რის გამოც იარის ჰოლანდიაში დარჩენამ მოუწია. მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა — ფინეთის ქალაქ ლახტში დაბადებული ლიტმანენი „აიაქსში“ დარჩა, ვან გაალმა კი დაიხურა ქუდი და სამხრეთში წავიდა.

იქ, ესპანეთში, ვან გაალმა „ბარსელონა“ ჩაიბარა, და კატალონიური კლუბის გაჰოლანდიურებაც დაიწყო. ერთიმეორის მიყოლებით ყიდულობდა „ბარსელონა“ ჰოლანდიელებს, მათგან უმრავლესობა კი სწორედ ვან გაალის „აიაქსში“ თამაშობდა. სასურველი თანამემამულეების შემდეგ ვან გაალი „აიაქსის“ ლეგიონერებზეც გადავიდა და აგერ ფინელი ფეხბურთელიც დაითანხმა...

ესპანური პრესის ცნობით, ლიტმანენი ზაფხულში „ბარსელონასთან“ საამწლიან კონტრაქტს გააფორმებს, რომლის თანამხადაც წელიწადში 3,2 მილიონ დოლარს მიიღებს. „აიაქსში“ მისი გასამრჯელო გაცილებით ნაკლები იყო.

„აიაქსი“ ნელ-ნელა იცლება ძლიერი ფეხბურთელებისგან, რაც შედეგსაც დაეტყო. თუ ასე გაგრძელდა, არაა გამორიცხული, კლუბმა „მიიძინოს“.

ირაკლი ილაშვილი

# სიფრთხილეს რომ თავი არ ასტკივდეს

27 მარტს ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მორიგი ტურია. ბევრი საინტერესო მატჩი გაიმართება, მაგრამ ყველაზე დაძაბული, ინტრიგით სავსე შეხვედრა მაინც ბელგრადშია მოსალოდნელი, სადაც იუგოსლავიის ძლიერი გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის მესამეადგილოსან ხორვატიას უმასპინძლებს. ადრე ამ ორი ერის შვილები ერთ სახელმწიფოში ცხოვრობდნენ — იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და, შესაბამისად, ნაკრებიც ერთი ჰქონდათ, მაგრამ 1991 წელს იუგოსლავიის დაშლის შედეგად ხორვატია დამოუკიდებელი ერთეული გახდა, რომლის ყოფილ სამშობლოსთან ურთიერთობას იდეალურს ნაღდად დაარქმევ. პოლიტიკური დაპირისპირება მალე ომშიც გადაიზარდა და მას უამრავი ადამიანის სიცოცხლეც შეეწირა.

ეს რაც შეეხება ისტორიას და პოლიტიკას. საფეხბურთო მოედანზე კი ხორვატები და იუგოსლავიელები ერთმანეთს არასდროს შებრძოლებიან, 27 მარტი ამ მხრივ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი თარიღის ელფერს იძენს და ამიტომაც მისთვის განსაკუთრებული მზადება მიმდინარეობს.

იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციაში (FSJ) უკვე 60 ათასი გულშემატკივრის მოთხოვნა შევიდა მატჩზე დასასწრები ბილეთების მისაღებად. არადა, ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ სტადიონი მხოლოდ 52785 ქომაგს იტევს. რა თქმა უნდა, ამ მართლაც ისტორიულ მატჩზე დასწრების მსურველთა რიცხვი კიდევ გაიზრდება, რაც ფედერაციის უფროსობას გარკვეულ პრობლემებს უქმნის. თუმცა, ერთგვარი გამოსავალი FSJ-ს ჩინოვნიკებმა თითქოს იპოვეს — ბილეთის ფასი საგრძნობლად გააძვირეს და ისიც თქვეს, ამას მხოლოდ იმიტომ ვაკეთებთ, რომ სტადიონზე რაც შეიძლება ნაკლები ხულიგანი მოხვდესო. ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ბრანკო ბულატოვიჩმა სატელევიზიო გამოსვლაში აღნიშნა, რომ ბილეთი 80 დინარიდან (8 დოლარი) 350 დინარამდე (35 დოლარი) ეღირება. ამასთანავე, იუგოსლავიისა და ხორვატიის ფეხბურთის მამებმა გასულ კვირაში გამართულ შეხვედრაზე გადაწყვიტეს, მატჩზე დასწრება აეკრძალოთ სტუმარ ქომაგთა საგანგებოდ შედგენილ ჯგუფებს, რაც მათი აზრით, არეულობების საშიშროების რისკს მაქსიმალურად შეამცირებს. მიწვევა გაეგზავნებათ მხოლოდ ოფიციალურ პირებს და ჟურნალისტებს.

ხორვატებთან შეხვედრიდან ოთხ დღეში ბელგრადს კიდევ ერთი ექსიუგოსლავიური ქვეყნის ეროვნული გუნდი, მაკედონიის ნაკრები ეწვევა. იმავე ბულატოვიჩის თქმით, ის მატჩი ნაკლებად საშიში იქნება და ბილეთს ფასიც შესაბამისი 30 დინარი, ანუ 3 დოლარი ექნება.

# ვარსკვლავებს არ უშვებენ



REUTERS

იოჰან კრუიფმა ბარსელონას სკვერში კვალი დატოვა

დღეს ღამით ბარსელონაში უდავოდ საინტერესო სანახაობა ეწყობა — „ბარსელონა“ უპირისპირდება გუნდს, რომელსაც იოჰან კრუიფი დაასახელებს. შეხვედრა შესანიშნავი ჰოლანდიელი მოთამაშის პატივსაცემად იმართება.

რამდენიმე დღის წინ კრუიფმა შეხვედრაში სათამაშოდ ევროპის 1997 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ბრაზილიელი რონალდოც მიიპატიჟა, მაგრამ „ინტერის“ თავდამსხმელმა თამაშში იუარა. როგორც ამბობენ, რონალდოს უარი მილანური კლუბის ხელმძღვანელების დაჟინებული მოთხოვნით მოხდა. ცნობილია, რომ „ინტერს“ თითქმის ერთ კვირაში, ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში უპრინციპულესი მატჩი ელის „მანჩესტერ იუნაიტედთან“ და იმედოვნებენ, რომ გამოჯანმრთელებული რონალდო მათ დახმარებას შეძლებს.

იოჰან კრუიფმა შვილისგან, ხორდი კრუიფისგანაც უარი მიიღო. მიზეზი ამჯერადაც ტრავმა ყოფილა. ვიგოს „სელტას“ მწვრთნელმა ვიქტორ ფერნანდესმა განაცხადა, ხორდი კარგა ხნის შესვენების შემდეგ დაუბრუნდა გუნდს, ახლა მსუბუქად ვარჯიშობს და ამ სანახაობაში მონაწილეობისას შესაძლოა ტრავმა მიიღოს, ჩვენ კი ეს არ გვაწყობსო. ერთი სიტყვით, ხორდი კრუიფი მამის ნაკრებში ვერ ითამაშებს. ცნობისთვის: ხორდი დღესაც ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედის“ საკუთრებაა. უბრალოდ, ალბიონურ კლუბში მძაფრი კონკურენციის გამო ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება და მანჩესტერელებმაც ვიგოს „სელტაში“ გაანათხოვრეს.

ვიგოელთა მწვრთნელმა ვიქტორ ფერნანდესმა ხორდი კრუიფის გარდა ესპანელი მცველის მიჩელ სალგადოს და ბრაზილიელი ნახევარმცველის მაზინიოს გაშვებაც იუარა. მან იოჰან კრუიფს შეუთვალა, ვინმე სხვა გამოძებნეო. მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავ იოჰან კრუიფს ეს მოთამაშეები თავისი გუნდისთვის ჰყავდა შეგულებული.

დღეს ეს შეხვედრა გვიან ღამით დაიწყება. დღევანდელი „ბარსელონა“ მსოფლიოს ვარსკვლავთა ნაკრებს დაუპირისპირდება. ორივე გუნდის მწვრთნელი ჰოლანდიელი იქნება — ბარსელონელებს ვან გაალი უხელმძღვანელებს, ვარსკვლავებს კი იოჰან კრუიფი.

მიუხედავად რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელის დანაკლისისა, იოჰან კრუიფის გუნდი ძლიერი ფეხბურთელების ნაკლებობას სრულიადაც არ განიცდის. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ კრუიფის რჩეულ ვარსკვლავთა გუნდში ინგლისელი პოლ გესქოინი, მექსიკელი ხორხე კამპოსი, პორტუგალიელი ჟოაო პინტუ, ბელგიელი ლუკ ნილისი, დანიელი მიქაელ ლაუდრუპი, ბულგარელი ხრისტო სტოიჩკოვი, ჰოლანდიელი რონალდ კუმანი და ბრაზილიელები მარიო ჟარდელი და ალოიზიო პირესი თამაშობენ.

კრუიფის გუნდში თამაშის სურვილი გამოთქვა ერიკ კანტონამ, რომელიც წლის დასაწყისში „მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივრებმა კლუბის ყველა დროის უძლიერეს ფეხბურთელად დაასახელეს. საოცარი ისაა, რომ კრუიფს ფრანგი მოთამაშე გუნდში ჩართული არ ჰყავდა, თუმცა, კანტონას სურვილს სიხარულით შეხვდა.

ბევრი რომ გავაგრძელოთ, ამაზე დავამთავროთ. დანარჩენი შეხვედრაში გამოჩნდება.

ქოტე ვაიტაძე



# არჩივი კაიზერსლაუტერნში

EURO 2000 ჩვენი ჯგუფი

გერმანიის ჩემპიონ „კაიზერსლაუტერნის“ პრესატაშეს განცხადებით, ალბანეთის ნაკრების თავდამსხმელი იგლი ტარე მომავალ სეზონში მათ ღირსებას დაიცავს. ამჟამად ტარე მეორე ბუნდესლიგის კლუბ „დიუსელდორფში“ თამაშობს. ტრანსფერის შესახებ სხვა არაფერია ცნობილი.

შეგახსენებთ, რომ იგლი ტარე ქვეყნის პირველი გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა.

სხვათა შორის, იგი სექტემბერში თბილისშიც იყო და საქართველოს ნაკრების წინააღმდეგაც ითამაშა.

# გაუთავებელი შეხვედრები, ბანკეტები

წლეულს რამდენიმე ევროპული კლუბი ასი წლის ხდება. ესპანური „ბარსელონა“, უნგრული „ფერენცვაროში“, ავსტრიული „რაპიდი“, გერმანული „ვერდერი“, იტალიური „მილანი“ ფრანგული „მარსელი“ საუკუნოვან იუბილეს აღნიშნავენ. ამ დიდი ისტორიის მქონე გუნდებს მაისში კიდევ ერთი, ოღონდ სამხრეთამერიკული კლუბი, ურუგვაული „ნასიონალი“ შეუერთდება. ამასთან დაკავშირებით მონტევიდეოდან მადრიდსა და მარსელში ფაქსი აფრინეს, მაისში დიდ ზეიმს ვაპირებთ და ძალიან გაგვიხარდება, თუ „რეალი“ და „მარსელიც“ შემოგვიერთდებიანო. მეტიც, სტუმართმოყვარე და თავაზიანმა ურუგვაელებმა ამ ორ ქალაქში „ნასიონალის“ თავმჯდომარე დანტე ლოკო მიავლინეს, რომელიც ესპანეთის დედაქალაქში უკვე იმყოფებოდა და „სამეფო კლუბის“ უფროსობასაც შეხვედრია. უახლოეს დღეებში კი იგი საფრანგეთის უდიდეს საპორტო ქალაქს ეწვევა, რათა დღესასწაულზე „ნასიონალის“ თანატოლი „მარსელიც“ დაპატიჟოს.

„ნასიონალი“ მონტევიდეოს მეორე კლუბ „პენიაროლთან“ ერთად ურუგვაის ყველაზე მდიდარ და სახელოვან გუნდად ითვლება. ისტორიაც არ დაეწუნება: სამჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი საკლუბო დონეზე (საკონტინენტთაშორისო თასი) — 1971 წელს ბერძნულ „პანათინაიკოსს“ სძლია (1:1, 2:1), 1980-ში ინგლისის „ნოტინგემ ფორესტს“ 1:0, ხოლო 1988 წელს ჰოლანდიურ „ეინდჰოვენს“ (2:2, პენალტებით 7:6).

მას შემდეგ „ნასიონალს“ რაიმე დიდი წარმატებისთვის აღარ მიუღწევია, მაგრამ ცოტა ხნის წინ კლუბის ხელმძღვანელობამ სარფიანი კონტრაქტი გააფორმა პეპსი-კოლასთან, რომლის თანახმადაც, გუნდის სალარო წელიწადში 1,3 მილიონი დოლარით გამდიდრდება და „ნასიონალიც“ იმედოვნებს, რომ ფინანსურ მოძლიერებას ახალი საერთაშორისო ტიტულებიც მოჰყვება.

## თასის გათამაშების მეოთხედფინალი

**მორტონი 0:3 სელტიკი**

0:1 ვიდუკა (9), 0:2 ლარსონი (58), 0:3 ვიდუკა (83)

## შოტლანდია

**ნახევარფინალის კენჭისყრა:** რეინჯერსი — სტ. ჯონსტონი; სელტიკი — აირი ან დანდი იუნ. მატჩები 10-11 აპრილს გაიმართება.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

## ბრაზილია

### პაულისტას (სან პაულუს შტატი) ჩემპიონატი

მეორე ეტაპი. I ტური

| | | |
|---|---|---|
| სან პაულუ | 2:2 | გუარანი |
| პორტუგეზა | 3:1 | სანტისტა |
| პალმეირასი | 1:1 | სანტოსი |
| რიო ბრანკო | 3:1 | ბარბარენსე |
| ლიმეირა | 3:1 | მოგი მირიმი |
| მატონენსე | 2:4 | კორინთიანსი |

### კარიოკას (რიო დე ჟანეიროს შტატი) ჩემპიონატი

პირველი ეტაპი. I ტური

| | | |
|---|---|---|
| ბოტაფოგო | 2:1 | იტაპერუნა |
| ოლარია | 2:3 | ფლამენგო |
| მადურეირა | 0:1 | ფრიბურგენსე |
| ამერიკანო | 1:5 | ფლუმინენსე |
| ვასკუ და გამა | 4:0 | ბანგუ |

*შენიშვნა: ჩემპიონატი ტარდება ორ წრედ. პირველი და მეორე წრის გამარჯვებულები ფინალში შეხვდებიან, ხოლო თუ რომელიმე გუნდი ორივე ეტაპზე გაიმარჯვებს, ავტომატურად ჩემპიონის ტიტულს დაეუფლება.*

*იმ შემთხვევაში, თუ გუნდები ქულათა ერთნაირ რაოდენობას დააგროვებენ, უპირატესობა მიენიჭება მეტი გამარჯვების მქონე გუნდს.*

დაიბადა 1971 წლის 21 აპრილს სან ჟონკალოში, რიო დე ჟანეიროს მეზობელ, ლატაკთა ქალაქში.

1991 იანვარში „ვასკუ და გამა-ში" იწყებს თამაშს. მანამდე ამ კლუბის საფეხბურთო აკადემიაში სწავლობდა.

1992 აგვისტოში ბრაზილიის ნაკრებში მექსიკასთან ათამაშეს. ეს იყო ამხანაგური შეხვედრა. იმავე წლის ნოემბერში ნაკრების შემადგენლობაში პირველი გოლი გააქვს. ესეც ამხანაგური შეხვედრა გახლდათ ურუგვაის წინააღმდეგ.

1993 იანვარში სან პაულუს „პალმეირასში" გადადის, სადაც დიდი წარმატებით თამაშობს. მისი დახმარებით გუნდი პაულისტას ჩემპიონიც ხდება და ბრაზილიისაც, მაგრამ ედმუნდო ხუთჯერ გააძევეს მოედნიდან. ერთხელ მსაჯს სახეში გაარტყა, რის გამოც 40 დღიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს.

1994 მაისში ედმუნდოს შეატყობინეს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე არ მიჰყავთ. მისმა „პალმეირასმა" კი ერთხელაც მოიპოვა პაულისტას ჩემპიონის ტიტული. იმავე პერიოდში ედმუნდოს მეტსახელად ცხოველი შეარქვეს. მიზეზი ალბათ ის გახლდათ, რომ „პალმეირასისა" და „სან პაულუს" შეხვედრის დროს იგი გახლდათ ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ჩხუბისა, რომელიც 15



ედმუნდო

წუთს გაგრძელდა და რომელშიც ორივე გუნდის ფეხბურთელები, სათადარიგოები და მწვრთნელებიც კი მონაწილეობდნენ. პოლიციის რაზმის სერიოზულმა ჩარევამლა დააშოშმინა ჭკუაზე გადასულები. იმავე წლის დეკემბერში „პალმეირასი" ერთხელაც ხდება ბრაზილიის ჩემპიონი.

1995 ედმუნდო „პალმეირასიდან" იმ მიზეზით მიდის, რომ გუნდის მოედანზე ბალახია შესაკრეჭი. კიდევ, ჩივის, რომ „პალმეირასი" სტუმრად ავტობუსით დადის, როდესაც „კორინთიანსი" დაფრინავს. მაისში, ანუ ჭირვეულობიდან ერთი თვის მერე, „ფლამენგოში" გადადის. სან პაულოდან რიოში ჩასულს, აეროპორტში ქალქის მერი ხვდება და პატივითა და კონვოით მიაცილებს „ფლამენგოს" ოფისამდე. იმ წელიწადს მეტსახელად შიმპანზეს არქმევენ, აქაოდა ძალიან მოქნილიაო. „ფლამენგოში" ვერ ივარგა და ისევ სან პაულუს გუნდში, „კორინთიანსში" ბრუნდება.

1996 ექვსი თვის განმავლობაში თავი არაფრით გამოუჩენია, მერე კი ატეხა დავა თანაგუნდელებთან და რიოში „ვასკუ და გამას" დაუბრუნდა.

1997 ხელფასი არ მოსწონს და გუნდს შეკრებაზე არ მიჰყვება. იმავე წელიწადს კოპა ამერიკას ფინალში გოლი გააქვს (ბოლივია ბრაზილია 3:1), მაგრამ გოლამდე ერთი წამით ადრე მეტოქეს იდაყვს არტყამს, რაც მსაჯს მხედველობიდან ეპარება, ზაგალოს კი არა მწვრთნელი მას დაუყოვნებლივ ცვლის. კოპა ამერიკიდან დაბრუნებული მაგანის რასისტულ ლანძღვაში ამხილეს, რის გამოც პრესამ პროტესტი გამოუცხადა, მასზე არაფერს წერდა.

1998 იანვარში იტალიურ „ფიორენტინაში" გადადის.

# იარე ღამ-ღამობით ბრაზილიაში

ედმუნდოს ავარიის ამბავი ხომ გახსოვთ? სწორედ ის, იტალიური „ფიორენტინას" ბრაზილიელმა ვარსკვლავმა მიზეზად რომ მოიდო და ერთი ხნის წინ ფლორენციიდან რიო დე ჟანეიროში გაემგზავრა, ვითომ სასამართლო პროცესზე დასასწრებად, სინამდვილეში კი კარნავალზე გაინავარდა. ჰოდა, საქმე არც ისე მარტივად ყოფილა ჩვენ და, როგორც ჩანს, თავად ედმუნდოს რომ ეგონა. ამ ავტოკატასტროფაში ხალხი დაიღუპა, რამაც ბრაზილიის სასამართლოს ერთობ სერიოზული ელფერი მისცა და ვერდიქტიც გაისმა: ოთხნახევარი წლით სანახევროდ ღია პატიმრობა.

რას ნიშნავს ეს? სულ მცირე იმას, რომ ედმუნდო უახლოეს მომავალში მაინც, ბარებში ისე თამამად ველარ შევა გამოსათრობად.

27 წლის თავდამსხმელს ინციდენტი 1995 წლის დეკემბერში, რიო დე ჟანეიროს ერთ-ერთ გარეუბანში შეემთხვა. თავად ედმუნდო მსუბუქი განაკაწრებით გამოძვრა, აი, სხვები კი...

ახლა, ეს ნახევრად ღია პატიმრობა რაღა ჯანდაბაა, იმაზე ვთქვათ. როგორც ირკვევა, ის, ვისაც ასეთი სასჯელი ერგო, დღისით თავისუფალია, შეუძლია იმუშაოს, ღამე კი აუცილებლად ციხეში უნდა გაათენოს.

რა გამოდის? ედმუნდო ხომ იტალიაში მოღვაწეობს. ნუთუ სამშობლოში უნდა დაბრუნდეს ღამ-ღამობით ციხეში დასაძინებლად?

თურმე ისტორიას ასეთი გაგრძელება ექნება: ახლა, ფეხბურთელის ვექილი უთუოდ საჩივარს დაწერს. იგი აპელაციას ბრაზილიის მთავრობაში შეიტანს და მთავრობაც იძულებული იქნება ერთხელ უკვე გარჩეული საქმე თავიდან განიხილოს. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ვექილი სხვას თუ არაფერს, დროს მოიგებს. აპელაციების წერასა და მათ განხილვაში კიდევ რამდენიმე წელიწადი გავა.

დღეს სამშობლოში თუ მის გარეთ, ფეხბურთელზე ასე ლაპარაკობენ: ედმუნდო ალვეს დე სოუზა ერთობ ნიჭიერი და არანაკლებ შერეკილი ადამიანი გახლავთ. მისი საფეხბურთო კარიერა ჩახლართულია მრავალ აყალმაყალთან, რომელთაგან ზოგი სათამაშო მოედანზე, ზოგი კი სადღაც ქუჩაში ატყდება ხოლმე. განა ერთხელ და ორჯერ შეუმჩნევიათ როგორ მონაწილეობს ალვეს დე სოუზა რიოს პლაჟებზე გამართულ თავ-პირის მტვრევაში? განა ყველამ კარგად არ იცის, რომ ედმუნდო წარამარა წითელ ბარათს იღებს ან თანაგუნდელებთან, მეტოქეებთან, მსაჯებთან, ჟურნალისტებთან და ნებისმიერ შემხვედრთან ჩხუბობს?

1997 წელს, სანამ ევროპისკენ გადმოინაცვლებდა, ფეხბურთელმა ორი რეკორდი დაამყარა, ერთი: ძალიან ბევრი გოლი გაიტანა, მეორე კი ის, რომ ძალიან ბევრი, შვიდი ყვითელი ბარათი მიიღო.

მაგრამ ბრაზილიის ნაკრებში ჩვენი დე სოუზა მაინც და მაინც ხშირად არ აჰყავთ. 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ უკვე ხმაურობდა, არ წაიყვანეს, 1998 წელს კი, საფრანგეთში, სულ ერთი-ორჯერ ენდო მარიო ზაგალო ისიც შემცვლელად შეიყვანა.

...მირანდა, მირანდა... საოცარი კაცია „ვასკუ და გამას" პრეზიდენტი. იგი ადრეც გვიხსენებია. ეურიკიო მირანდა ადრე პოლიციელი იყო, მერე კი მაძებრობაზე ხელი აიღო და ფეხბურთის ცნობილ კლუბს ჩაუდგა სათავეში.

ის იმიტომ ვახსენეთ, რომ, როგორც კი შეიტყო ედმუნდოს განაჩენის ამბავი, მყისვე წერილი აფრინა ფლორენციაში, მარტის ბოლოს ჩამოვალ და ცხოველის რიოში დაბრუნების თაობაზე საფუძვლიანად ვილაპარაკოთო. თურმე, ნუ იტყვით და ყოფილ პოლიციელს თავად ედმუნდოსთვისაც დაურეკია, 24-ში მანდ ვარო.

ახლა, იმას აღარ იკითხავთ, რიოში რაებს ლაპარაკობს „ვასკუს" პრეზიდენტი? პირი დაულია და გაიძახის, 30 მაისს, „ბოტაფოგოს" წინააღმდეგ ცხოველი „მარიკანაზე" თუ არ გამოვიყვანე, ეს ბიჭი მოკვდესო.

ისე, ედმუნდომ, ალბათ, მაინც არ უნდა იჩქაროს. ჯობს, კარგად დაფიქრდეს, ვის მიჰყავს და სად. მირანდა როგორც მოგახსენეთ, ყოფილი პოლიცმაისტერია და ვინძლო, ფიქრობდეს, ამ მოსულელო ბიჭის რიოში ჩამოყვანით, ეგებ, ორი კურდღელი გავაგორო, მართლმსაჯულებასაც ვასიამოვნო და გუნდში ვარსკვლავიც გავიჩინოო.

რას არ იფიქრებ კაცი!

**მიხეილ სურგულაძე**

სარბიელის არქივიდან



ედმუნდო, ისე რა, დააპატიმრეს

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**გერმანიის თასის ნახევარფინალი**

10 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვოლფსბურგი — ვერდერი | 2,0 | 3,0 | 3,3 |

**ინგლისის ჩემპიონატი.** პრემიერლიგა. გადადებული მატჩები

10 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბლექბერნი — ევერტონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| დერბი — ასტონ ვილა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ლიდსი — ტოტენჰემი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ნოტინგემი — ნიუკასლი | 3,0 | 2,9 | 2,2 |

**ინგლისის თასი.** გადათამაშება

10 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩელსი — მანჩესტერი | 2,2 | 2,8 | 3,1 |

**იტალიის თასის ნახევარფინალი.** საპასუხო მატჩები

10 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფიორენტინა — ბოლონია | 1,6 | 3,0 | 5,6 |

**საფრანგეთის ჩემპიონატი.** XXVI ტური

10 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| მონაკო — მეცი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ლორიანი — რენი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ლანსი — მონპელიე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ლიონი — ოსერი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| სტრასბური — ბასტია | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| პსჟ — ნანტი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ტულუზი — ლე ავრი | 1,8 | 3,0 | 4,0 |

**ჰოლანდიის თასის მეოთხედფინალი**

10 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფეიენოორდი — ვიტესი | 1,4 | 3,5 | 7,0 |

**ბელგიის ჩემპიონატი.** გადადებული მატჩი

10 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| კორტრაიკი — გენკი | 5,3 | 3,5 | 1,5 |
| ლოკერენი — ვესტერლო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,5 |

**თურქეთის თასის ნახევარფინალი.** საპასუხო მატჩები

10 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| გალათასარაი — საქარია | 1,1 | 6,0 | 12,0 |

11 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბეშიქთაში — ანკარაგიუჯიუ | 1,25 | 4,4 | 8,0 |

**ამხანაგური მატჩი**

10 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| რუმინეთი — ისრაელი | 1,4 | 3,5 | 7,0 |

**ჰოკეი. NHL**

10 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოსტონი — ფლორიდა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| რეინჯერსი — ოტავა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| კაროლინა — პიტსბურგი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ჩიკაგო — ნეშვილი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| დალასი — ედმონტონი | 1,25 | 4,4 | 4,4 |
| ანაჰაიმი — ვანკუვერი | 1,25 | 4,4 | 4,4 |

11 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბუფალო — ტამპა ბეი | 1,1 | 4,4 | 6,5 |
| აილენდერსი — ტორონტო | 2,7 | 4,4 | 1,6 |
| ფილადელფია — კოლორადო | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ვაშინგტონი — ფლორიდა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| სენტ ლუისი — მონრეალი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ფინიქსი — ვანკუვერი | 1,3 | 4,4 | 4,0 |

**კალათბურთი. NBA**

10 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფილადელფია — შარლოტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| ვაშინგტონი — დეტროიტი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| ინდიანა — ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| მაიამი — ატლანტა | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| მილუოკი — სიეტლი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| სან ანტონიო — ორლანდო | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| ფინიქსი — კლივლენდი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| ლეიკერსი — კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |

11 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიუ იორკი — ვაშინგტონი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| მაიამი — ტორონტო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| ატლანტა — ბოსტონი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| ჩიკაგო — სიეტლი | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| დალასი — ორლანდო | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| ჰიუსტონი — ვანკუვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| ჰიუტა — დენვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| კლიპერსი — საკრამენტო | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| გოლდენ სტეიტი — მინესოტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# სამართალი გვიან დააპურეს

## მაისურაძე სკამზე დასვეს, თამაში არ გერგებაო



ირაკლი ჯაფარიძის არყოფნაში დინამოელი ვალერი კილაძის (ბურთით) მეურვეობა ზვიად ბაბიაშვილმა ითავა

9 მარტი
თბილისი
ვერის ბაღი
**15 ტური**

**აზოტი 76:69 დინამო**

I ტაიმი 36:40

აზოტი: ჟღენტი (16), გაბისონია (4), გოგობერიშვილი (20), ბაბიაშვილი (26), ბერუაშვილი (8); გოგოლაძე, ჩაჩუა (2), ჯიმშელეიშვილი

დინამო: ნიკოლაძე (14), ახვლედიანი (2), შანიძე (8), სანიკიძე (4), კილაძე (18); ხეცურიანი (9), აბულაძე (6), ნიკლაური (8)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ზურაბ აბაშიძე

დელეგატი: მურმან ქურიძე

**მატჩამდე** მეტოქეთ მღელვარება ეტყობოდათ. ამის მიზეზი დინამოელი ირაკლი მაისურაძე იყო, რომელიც ბოლო ხანს უკრაინულ „ნეფტოხიმავალში“ თამაშობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც უკრაინელებმა მაისურაძეს პირი უტეხეს, იქაურობას გამოეცალა და კვლავაც „დინამოს“ შეეხიზნა.

ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ამბავი სწორედ ზემოთქმული უკმაყოფილება-გაუგებრობის საბაბი შეიქნა, რადგან, როგორც მსგავს სიტუაციაში ხდება ხოლმე, კლუბი (ჩვენს შემთხვევაში, „ნეფტოხიმავალი“) მოთამაშის გუნდიდან წასვლისას გასცემს ოფიციალურ საბუთს, რომლის თანახმადაც კალათბურთელს სასურველ გუნდში თამაშის საშუალება ეძლევა. მსგავსი ქაღალდი ფედერაციის სახელზე დღემდე არ გამოჩენილა და დებულების მიხედვით მაისურაძეს ავტომატურად ეკრძალება საქართველოს ჩემპიონატში ასპარეზობა.

„აზოტის“ ხელმძღვანელობაც, ბუნებრივია, ფედერაციისგან კანონიერ ქმედებას ითხოვდა და საბოლოოდ მიზანსაც მიაღწია, მაგრამ, გადაბრუნებულ ურემზე თქმულისა არ იყოს, შეიძლებოდა ეს პრობლემა გაცილებით ადრე და ცივილიზებული გზებით მოგვარებულიყო.

რადგან ეს ასე არ მოხდა, საეჭვოა, „დინამოს“ დაუდევრობა უხმაუროდ ჩაიფარცხოს, რადგან მაისურაძემ რუსთაველებამდე მაინც მოასწრო ორ შეხვედრაში მონაწილეობა. სტუ-ს თავკაცებისგან განსხვავებით, თსუელებმა ხმა აიმაღლეს უკანონობის წინააღმდეგ. ამ დღეებში შეიკრიბება ალმასკომი, სტუდენტთა საჩივარს განიხილავს და სავსებით შესაძლებელია, მათი მოთხოვნა დააკმაყოფილოს კიდეც, რაც ალმავლობის გზაზე მდგომ „დინამოს“ მართლაც რომ ძვირად დაუჯდება.

მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ და სჯობს, თავად მატჩს დავუბრუნდეთ, სადაც მაისურაძის გარდა „დინამოს“ კიდევ ერთი წამყვანი კალათბურთელი, ტრავმირებული ირაკლი ხოშტარიაც აკლდა. „აზოტის“ ცენტრმა ირაკლი ჯაფარიძემ კი მეორე შეხვედრა გამოტოვა დისკვალიფიკაციის გამო.

გუნდებმა დუნედ დაიწყეს შეხვედრა. წინასამატჩო განცდები კალათბურთელთა მოქმედებასაც ეტყობოდა. ვერ იტყვი, რომ მოთამაშეები არ ინდომებდნენ, მაგრამ საწყის წუთებში თამაშის ხარისხი აშკარად დაბალი იყო. მეტოქეებმა აქცენტი ძირითადად დაცვაზე გადაიტანეს, თუმცა ხეირიანად არც ეს გამოსდიოდათ და მსაჯებიც აქეთაც და იქითაც უხვად არიგებდნენ პერსონალურებს.

ანგარიში სწორედ ზუსტი ჯარიმებით გახსნა კილაძემ, რასაც „აზოტმა“ გოგობერიშვილი-ჟღენტის მოხდენილი კომბინაციით უპასუხა. მაყურებელი მხოლოდ წამით გამოცოცხლდა, შემდეგ კი გუნდებმა კვლავ მოსაწყენი ბურთაობა გააჩაღეს.

სტუ-სთან და თსუ-სთან ომგადახდილი დინამოელები თითქოს დაღლილად გამოიყურებოდნენ, თუმცა არც ვიცე-ჩემპიონები ემურებოდნენ საიმედო სხვაობით დაწინაურებას და იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ გამარჯვებულის გასარკვევად მეტოქეები მეორე ტაიმისთვის ზოგავდნენ ძალებს.

რუსთაველთაგან სხვებზე მეტად ზვიად ბაბიაშვილი გამოირჩეოდა. მას ჯაფარიძის არყოფნაში მწვრთნელისგან კილაძის მეურვეობა დაევალა, რასაც, შეიძლება ითქვას, წარმატებით გაართვა თავი და შეტევაშიც არაერთხელ ასარგებლა თაჟისიანები. ბაბიაშვილთან ერთად, როგორც ყოველთვის, ჟღენტი და გოგობერიშვილი აქტიურობდნენ, მაგრამ „აზოტმა“ დაცვაში ვერა და ვერ გამოასწორა თამაში და ხეცურიანის და ნიკოლაძის სიზუსტით, თავის მხრივ, „დინამოც“ აგროვებდა ქულებს.

თითქმის მთელი პირველი ნახევარი ქულა-ქულაზე მიმდინარეობდა და მხოლოდ ტაიმის მოსაგებადღა შეფუცხუნდნენ გუნდები, სადაც „დინამომ“ უფრო იყოჩაღა და შესვენების შემდეგ მეტოქეზე ოთხი ქულით მეტიც ჰქონდა.

მატჩის განახლება რუსთაველებს კარგს არაფერს უქადდა. მათ პირველი ბურთი ზუსტად ხუთი წუთისა და ორმოცი წამის შემდეგ ჩააგდეს. ეს არჩილ ჟღენტმა სამქულიანით მოახერხა, თუმცა „დინამოსაც“ მხოლოდ ხუთი ქულა დაემატებინა პირველი ტაიმის მონაგარისთვის.

კვლავაც ხშირი იყო ჯარიმები, რაც შეხვედრის სანახაობრივ მხარესაც აკნინებდა. განსაკუთრებით დინამოელები უხეშობდნენ და ამიტომაც იყო, რომ ხეცურიანს, კილაძესა და ნიკოლაძეს ოთხ-ოთხი პერსონალური დაუგროვდათ. თუმცა ამ უკანასკნელმა ერთხელ კიდევ გაიბრწყინა, როცა ერთ წუთში ორი სამიანის ჩაგდებით თავისი გუნდი ექვსი ქულით 53:47 დააწინაურა.

აი, აქ კი აბობოქრდა „აზოტი“. აჩიკო ჟღენტის მეთაურობით გუნდმა თამაში დაალაგა. ფრთაზე გოგობერიშვილი ამოქმედდა ჩვეულად, დაცვაში გაბისონია გამოირჩა, ფარზე კი ბაბიაშვილი-ბერუაშვილის დუეტი გაბატონდა. ოთხწუთეული ვიცე-ჩემპიონებმა 14:0 მოიგეს და აქეთ გაასწრეს მეტოქეს 61:53. ხოლო როცა მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ბაბიაშვილმა ეფექტურად ჩატენა, ჩამორჩენამ უკვე ცამეტ ქულას მიაღწია 73:60. დინამოელთა იმედი, მატჩის ბედი წალმა შემოეტრიალებინათ, ფაქტობრივად, აქ დასამარდა.

**გიორგი გიქაშვილი**



აზოტელი მიხეილ ბერუაშვილი დინამოელთა გარომოცვაში

# ხან საკუთარი თავი ღალატობთ, ხანაც — იღბალი

9 მარტი
თბილისი
ვერის ბაღი
**16 ტური**

**ასკ 66:68 მაკაბი**

I ტაიმი 33:36

ასკ: ფსუტური (1), პაპასკირი (11), ჭყონია (18), აკოლაშვილი (15), ნუცუბიძე (14); გრძელიშვილი (1), სპარსიაშვილი (4), გელაშვილი (2), ნათაძე

მაკაბი: დ. ბერიშვილი (5), ი. ბერიშვილი (13), მჭედლიშვილი (4), ლასარეიშვილი (10), ფერიაშვილი (20); დავარაშვილი (6), ანდღულაძე

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე

დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

**მეორე** წრე დასასრულს უახლოვდება და უკვე შეიძლება ითქვას, რომ ასკ-ს ბოლო ადგილს ვერავინ „შეეცილება“. ამის თქმის უფლებას ის გვაძლევს, რომ არმიელებმა ერთი კინკილა მოგების გაორებაც კი ვერ მოახერხეს. არადა, შეეძლოთ, სატურნირო ცხრილში თავიანთი მეზობელი კლუბების ძლევით გამარჯვებათა ფონდი გაემდიდრებინათ. მაგრამ ეს კი არა, არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში მყოფი კოლხებისგან დამარცხება იწვნიეს და ამას „მაკაბისთან“ წაგებაც მიაყოლეს. ცოტა იღბალიც გინდა, ასკ რომ მერვე ეროვნულ გათამაშებაში ჩაება, ექვსგზის ჩემპიონ „ვითას“ უკვე დარიგებული ჰქონდა ქულები უბრძოლველად. მრისხანე ბატონის გულმოწყალებას თავი დავანებოთ და ის ვთქვათ, რომ არმიელებს თავადვე მოუხდათ საჩუქრების გაცემა. მაგრამ მათ მეორე წრის ეიმედებოდათ. თუმც ლიდერებთანაც ვერას გახდნენ და ვერც მაჩანჩალებს („შევარდენის“ გარდა) წაჰლიტეს რამე. მარტო „შევარდენის“ დამარცხება კი, აბა, რა სათვალავში ჩასაგდებია და საბოლოოდ ყველა იმედიც გაქარწყლდა.

თუ სოხუმელებთან წაგება არმიელებმა საკუთარ თავს უნდა დააბრალონ, „მაკაბისთან“ პაექრობაზე ამას ვერ ვიტყვით. ეს უფრო უიღბლობა იყო. აბა, რას უნდა მივაწეროთ ის, რომ შეხვედრის დასრულებამდე 3 წამით ადრე (როცა ორ ქულას აგებდა) ასკ-მ შეტევის შედეგიანად დაგვირგვინება ვერ შეძლო. ეს რომ მოეხერხებინა, ეგებ ემარჯვა კიდეც...

თუმცა სჯობს, ვარაუდებს თავი დავანებოთ და მატჩის მსვლელობას თანმიმდევრობით მივყვეთ. შეხვედრა ასკ-ს უპირატესობით დაიწყო. მისი პერსონალური დაცვითი ტაქტიკისა და ორივე ფარზე კარგი გარჯის კვალობაზე „მაკაბი“ უსუსურად გამოიყურებოდა. არმიელებმა მეტოქე ცენტრის — ფერიაშვილის უვნებელყოფაც შეძლეს და მაკაბელთა შეტევები ერთობ უსახური შეიქნა. აი, ფერიაშვილის წინააღმდეგ მოთამაშე ნუცუბიძე კი ხშირად ხეირობდა და თანაგუნდელებსაც აძლევდა ამის საშუალებას. ასე რომ, ასკ-ს 10 ქულით დაწინაურება გასაკვირი არც იყო — 16:6.

მაკაბელთა მწვრთნელმა ვაჟა მხეიძემ წუთშესვენება ითხოვა და ბიჭები შეახურა. „მაკაბის“ მოედანზე დაბრუნება და ამოქმედება ერთი იყო. აქამდე ჩრდილში მყოფმა ფერიაშვილმა ფარზე ბურთის მოხსნა გაიხსენა და შეტევებსაც შედეგიანად აბოლოებდა. თუ მანამდე მაკაბელები უფრო ხშირად ჯარიმდებოდნენ, ახლა არმიელებმაც უმატეს უხეშობას. თუმცა ჯარიმებს ორივე გუნდი ზუსტად ასრულებდა და პირველი ნახევრის მიწურულს ანგარიშიც გათანაბრდა — 22:22. ახლა ასკ-ს მწვრთნელმა აიღო წუთშესვენება და შეგირდებს უსაყვედურა, რატომ მოდუნდითო. ამათაც ისევ პრესინგს მიმართეს და აკოლაშვილის სამიანით თითქოს საქმე გამოასწორეს. თუმცა დროებით არმიელებს დაღლა დაეტყოთ და მათ პრესინგს მაკაბელებმაც იმავეთი უპასუხეს. ფერიაშვილმაც გაილაღა, მას ტყუპმა ბერიშვილებმაც აუბეს მხარი და ტაიმი „მაკაბიმ“ მოიგო.

შეხვედრა განახლდა და არმიელებმა „მაკაბის“ ცენტრი რომ ვერ შეაჩერეს, შორი მანძილიდან სროლებზე გადაიტანეს აქცენტი, თუმცა მიზანს ხშირად ვერ აღწევდნენ. თითოჯერ პაპასკირმა და ჭყონიამ ივარგეს. მოწინააღმდეგისგან განსხვავებით, მაკაბელები ნაკლებად ისროდნენ სამიანებს, მაგრამ დიდად ვერც ახლოდან სროლებში ხეირობდნენ, რადგან არმიელები დაცვას მეტ ყურადღებას უთმობდნენ. ერთი ხანობა ფერიაშვილს, რომელსაც ორი მცველი მეურვეობდა ფრთები შეეკვეცა და ამან მის თანაგუნდელებზეც იმოქმედა. თანაც „მაკაბის“ ჯარიმებიც მოუმრავლდა და ასკ-მაც დრო იხელთა, ქულების შემატებას მიეძალა. აღთქმული მიწიდან მობრუნებული მაკაბელები იხტიბარს არ იტეხდნენ, ბერიაშვილებთან ერთად ახლა ლასარეიშვილმაც ითავა თანაგუნდელების გაძღოლა, კარგადაც გამოუვიდა, მაგრამ ეს ზღვაში წვეთი იყო. ჭყონიას სამიანის შემდეგ არმიელები ქულითღა ჩამორჩებოდნენ მეტოქეს — 53:52.

ამის შემდეგ თამაში ქულა-ქულაზე მიმდინარეობდა, მოპაექრენი თანაბრად ინაწილებდნენ გაცუდებულ შეტევებსა თუ არაზუსტ გადაცემებს, ჯარიმებსაც ერთნაირად იყენებდნენ. კულმინაციური მომენტი შეხვედრის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე დადგა, როცა ანგარიში გათანაბრდა — 64:64. აღელვებული მეტოქეები ისევ სცოდავდნენ. ლასარეიშვილმა ორი საჯარიმოდან ვერც ერთი ვერ ჩააგდო. თავის მხრივ, ასკ-მაც გააფუჭა შეტევა, დაცვაშიც მოდუნდა და ფერიაშვილის დასხლტომა ძვირადაც დაუჯდა. მართალია, ცენტრმა ნუცუბიძემ შეცდომა გამოასწორა და ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ მაკაბელებმა დიდხანს გაათამაშეს ბურთი და შეტევაც დავით ბერიშვილის ინდივიდუალური გარღვევით დასრულდა. დარჩა სამი წამი. არმიელებმა მატჩის გადასარჩენად წუთშესვენებაც კი ითხოვეს, მაგრამ ამაოდ — დარჩენილი დრო მხოლოდ არაზუსტი გადაცემისთვის ეყოთ.

**მამუკა ტუღუში**

**17 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 17 | 16 | 1 | 1417:1205 | 33 |
| სტუ | 17 | 13 | 4 | 1323:1228 | 30 |
| ვითა | 17 | 12 | 5 | 1081:963 | 28 |
| თსუ | 17 | 10 | 7 | 1414:1373 | 27 |
| დინამო | 17 | 10 | 7 | 1360:1335 | 27 |
| სდასუ | 16 | 8 | 8 | 1165:1206 | 24 |
| კოლხა | 17 | 5 | 12 | 1212:1372 | 22 |
| მაკაბი | 16 | 5 | 11 | 1201:1270 | 21 |
| შევარდენი | 17 | 4 | 13 | 1176:1355 | 21 |
| ასკ | 17 | 1 | 16 | 633:675 | 18 |

ვითას დაკლებული აქვს 1 ქულა

17 ტური
საქართველოს ჩემპიონატი

# საუკეთესო მოთამაშე

## დავით უგრეხელიძე
·კოლხა·



„კოლხასა“ და საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების 208-სანტიმეტრიანი ცენტრი დავით უგრეხელიძე ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეა, მაგრამ ეროვნულ ჩემპიონატში მასზე ბევრად უფროს კოლეგებს ტოლს არაფერში უდებს. იგი ასკ-თან პრინციპულ შეხვედრაშიც საუკეთესო იყო, ფარზე ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა და თანაგუნდელთა წარმატებაში ლომის წილი დაიდო. უგრეხელიძე კარგად ესვრის როგორც საჯარიმოებს, ასევე საშუალო მანძილიდან, მოედანზე გამოირჩევა აზროვნებით, შრომისმოყვარეობითა და დისციპლინით. ესაა, რომ ზედმეტი წონის გამო ნელა მოძრაობს და მოისუსტებს ხტომებში.

**— ვლადიმერ უგრეხელიძე თუ გაგიგონია?**

— როგორ არა. 60-იან წლებში დიდი მოთამაშე ყოფილა და ახლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კალათბურთი აბარია.

**— შენს მოგვარესთან ნათესაური ურთიერთობა ხომ არ გაკავშირებს?**

— არა, არავითარი.

**— ესე იგი, კალათბურთი ოჯახური ტრადიციების გამო არ აგირჩევია?**

— არა, ყველაფერი სრულიად შემთხვევით მოხდა.

**— თუ შეიძლება, კონკრეტულად გვიამბე შენი პირველი ნაბიჯების შესახებ.**

— სპორტი ყოველთვის მიტაცებდა, მაგრამ ადრეულ ასაკში რომელიმე სახეობა გამორჩეულად არ მყვარებია. მე-5 კლასში ვიქნებოდი, როდესაც თბილისის 112-ე სკოლაში სწავლის დროს მეგობრების მიბაძვით ჭიდაობაზე ჩავეწერე. იქ მწვრთნელმა მაწყენინა და გული ავიცრუე. იმავე წელს ტარდებოდა ქალაქის პირველობა კალათბურთში საშუალო სკოლებს შორის. რადგან ჩვენი სკოლის გუნდს კალათბურთელები აკლდნენ, ჩემი სიმაღლის გამო ჩამაცვეს ფორმა და ჩამრიცხეს გუნდში მაშინ, როცა კალათბურთის ბურთს არასოდეს შევხებივარ. ქალაქის პირველობაზე სიმაღლის გამო ჩემით დაინტერესდა მიხეილ კეკელიძის ბავშვთა საკალათბურთო სკოლის მასწავლებელი ნიაზ დანელია, რომელთანაც ერთი წელი ვივარჯიშე. შემდეგ ვაჟა კვარაცხელიასთან გადავედი „კოლხაში“ და დღემდე მისი ხელმძღვანელობით ვვარჯიშობ. ვსწავლობ 58-ე საკალათბურთო სკოლის მე-11 კლასში.

**— ჭაბუკთა ნაკრების შესახებ რომ არაფერი გითქვამს?**

— ნაკრებში პირველად 1997 წელს გამომიძახეს, როდესაც ჩვენი ახალგაზრდული გუნდი ფინალურ ეტაპზე მონაწილეობდა ბელგიაში და 12 გუნდს შორის მე-9 ადგილზე გავიდა. ახალი ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპზე ვითამაშე რიგაში (ლატვია), სადაც ჩვენმა გუნდმა ყველა შეხვედრა მოიგო. მე კი ტურნირის საუკეთესო ცენტრად დამასახელეს.

**— ევროპაში ტურნირების შემდეგ უცხოელები ხომ არ შეგხმიანებიან?**

— სლოვენიის და ჩეხეთის წარმომადგენლები დამიკავშირდნენ, მაგრამ შემდეგ აღარ გამოჩენილან.

**— ჩვენი გუნდებიდან?**

— უკლებლივ ყველადან, მაგრამ სანამ მოზარდი ვარ, მინდა ვაჟა კვარაცხელიასთან დავრჩე, რომელმაც სხვაზე უკეთ იცის ჩემი დადებითი და უარყოფითი მხარეები. თანაც „კოლხა“ ყველაზე ახალგაზრდული გუნდია და თითქმის ორი ტაიმი მიწევს მოედანზე ყოფნა.

**— „კოლხას“ აუტსაიდერებში ყოფნას მოთამაშეთა გამოუცდელობით ხსნი?**

— გამოუცდელებიც აღარ გვეთქმის, რადგან ოთხი წელია, უმაღლეს ლიგაში ვთამაშობთ, მაგრამ კაცებთან ბრძოლა მაინც ძნელია. ვანო აბულაძე, ნიკოლოზ ცქიტიშვილი და გოგიტა ბერია რომ არ წასულიყვნენ გუნდიდან, უფრო ანგარიშგასაწევი ძალა ვიქნებოდით.

**— რა მიზნები აქვს „კოლხას“ მიმდინარე ჩემპიონატში?**

— არმიელების დამარცხების შემდეგ არა მგონია, უმაღლესი ლიგის დატოვების საფრთხე გვემუქრებოდეს. ვერც პლეი ოფში მოხვედრაზე ვიოცნებებთ. თუ „მაკაბი“ უკან ჩამოვიტოვეთ, ჩემი აზრით, ჩემპიონატში გამოსვლა წარმატებად უნდა ჩაგვეთვალოს.

**— „კოლხაში“ დარჩენას დიდხანს აპირებ?**

— სკოლის დამთავრების შემდეგ უკეთეს პირობებს და უკეთესი გუნდის წინადადებას დაველოდები.

**— ხშირად ხდება, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ სპორტსმენი სხვა სპეციალობას ირჩევს...**

— მეც ვაპირებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარებას ეკონომიკის განხრით, მაგრამ გადაწყვეტილი მაქვს, ძირითადად კალათბურთით ვიყო დაკავებული. მინდა, პროფესიონალი გავხდე.

**როლანდ ლაბუჩიძე**

NBA

რეგულარული ჩემპიონატი

# ჩიკაგოს მარცხი რაღა გასაკვირია




REUTERS მელბურნიდან

მაიამი — ფილადელფია. მაიამელი დუენ ქოზველი ალენ აივერსონს (№3) უხეშად ეთამაშა

8 მარტი

**ორლანდო 110:114 ატლანტა**

**ორლანდო: ჰარდევეი (16), ანდერსონი (34 ქულა, 10 მოხსნა), ვილკინსი (15), გრანტი (3), ოსტინი (11); არმსტრონგი (14), დოლიკი (11), სტრონგი (4), ჰარპინგი (2)**

**ატლანტა: ბლეილოკი (15), სმიტი (24), ელისი (5), ჰენდერსონი (19 ქულა, 12 მოხსნა), მუტომბო (18 ქულა, 17 მოხსნა, 5 დაფარება), კორბინი (11), კროუფორდი (9), ლონგი (7), ჯონსონი (6), ვესტი**

„ატლანტა ჰოქსს“ ამ სეზონში უკვე მოესწრო ორჯერ წაგება „ორლანდო მეჯიქთან“, მაგრამ მაშინ ჯორჯიელთა ლიდერ სტივ სმიტს ტრავმა აწუხებდა და თავისიანებს ვერაფრით ეხმარებოდა. 8 მარტისთვის კი სმიტი გამოჯობინდა, ითამაშა და ატლანტას მოაგებინა. მოგება არც თუ იოლი გახლდათ ორლანდოში, სადაც „მეჯიქს“ ამ სეზონში „ჰოქსთან“ შეხვედრამდე არ წაეგო და ამით ერთობ იწონებდა თავს. წლევანდელი ორლანდოს შედარებაც არ შეიძლება შარშანდელთან. ფლორიდელები წინა სეზონში ბოლო ხუთ წელიწადში პირველად ვერ მოხვდნენ პლეი ოფში. ამას თავისი მიზეზიც ჰქონდა. შაკილ ონილის გუნდიდან წასვლის შემდეგ ლიდერად ქცეულმა ანფერნი ჰარდევეიმ სეზონის დასაწყისში იმგვარი ტრავმა მიიღო, თავისიანებს სეზონის ბოლომდე გამოაკლდა. ლიდერობა ნიკ ანდერსონმა იდო თავს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საქმეს ცუდად არ უძღვებოდა, ორლანდომ იმ მინიმუმზე ორი თამაშით ნაკლები მოიგო, რომელიც ფლეი ოფის საგზურს მოუტანდა. ამ სეზონში ჰარდევეიმ და ანდერსონმა მშვენიერი წყვილი შექმნეს და შედეგმაც არ დააყოვნა — ორლანდო, ისე რომ ბევრი არავინ ელოდა, აღმოსავლეთში პირველია.

ამ შეხვედრაში ორლანდო, რა თქმა უნდა, მხოლოდ გამარჯვებას გეგმავდა, მაგრამ გუნდის ძირითადი მოთამაშე ბო ოუთლო წვივის ტკივილს შეუწუხებია. ფლორიდელთა მწვრთნელმა ჩაკ დეილიმ მის ადგილას 80-იანი და 90-იანი წლების სუპერვარსკვლავი და ლიგის ისტორიაში ერთ-ერთი უძლიერესი ბომბარდირი დომინიკ ვილკინსი ათამაშა და ბებერმა ვილკინსმა, რომელიც წინა თამაშებში ორიოდე წუთით თუ შემოდიოდა მოედანზე, თავის გამოჩენის შანსი ხელიდან არ გაუშვა, 27 წუთით თამაშისას 10 სროლიდან 7 ჩააგდო და ამ სეზონში ყველაზე მეტ ქულას მოუყარა თავი. მაგრამ სმიტის მობრუნებით გულმოცემული ატლანტა გულდაგულ შეება ფავორიტს და საკმაოდ დაძაბული და გახსნილი თამაშის შემდეგ ვილკინსს, ანდერსონს, ჰარდევეის და სხვა დანარჩენებს გარჯაწვალება წყალში გადაუყარა.

— როდესაც აქ მოვდიოდით, გული კარგს მიგრძნობდა და ყველა, ბიჭებიც და მეც, მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობდით — ამბობდა მატჩის შემდეგ ატლანტას მხცოვანი და ღვაწლმოსილი მწვრთნელი ლენი ვილკენსი, ვისაც ლიგის ისტორიაში ყველაზე მეტი თამაში მოუგია — ძალიან კმაყოფილი ვარ, ორლანდო მშვენიერი გუნდია და მასთან მოგება ორმაგად სასიხარულოა.

**ვანკუვერი 73:92 პორტლენდი**

**ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (19)**
**პორტლენდი: ჯეკსონი (21)**

პორტლენდმა წინა დღით ჰიუსტონის 111:71 განადგურების შემდეგ არც კანადური გუნდი დაინდო, სტუმრად შავი დღე აყარა და ზედიზედ მეშვიდე თამაში მოიგო, რაც ამ სეზონში ჯერ ვერავის მოუხერხებია. სტუმარმა გუნდმა მატჩის დაწყებისთანავე გატეხა მასპინძლები, რომლებსაც მოგების იმედი ისედაც არ ჰქონდათ და მატჩში სროლების 34 პროცენტი ჩააგდებინა. წლეულს პორტლენდი აღმავლობის გზაზეა და დამსახურებულადაც ლიდერობს თავის დივიზიონს, თან ისე, რომ სუპერვასკლავი და გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს. სამაგიეროდ, ჰყავს შვიდი მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალისა და გაქანების მოთამაშე.

**მილუოკი 81:76 ჩიკაგო**

**მილუოკი: ალენი (17)**
**ჩიკაგო: ბერი (19), კუკოჩი (17)**

ზეიმის დრო უდგათ მილუოკის და მის დარ გუნდებს. ჯერ კიდევ შარშან „მილუოკი ბაქსს“ გმირობაში ჩაეთვლებოდა მეზობელი „ჩიკაგო ბულზის“ ძლევა, მაგრამ ახლა, როდესაც ძველი, უძლეველი ჩემპიონისგან ერთი მუჭა არც თუ ხეირიანი მოთამაშეები დარჩა, მილუოკიმ მასთან რომ წააგოს, გასაკვირი ის იქნება. არადა, ზედიზედ სამგზის ჩემპიონმა ამ მატჩში ძალ-ღონე არ დაიშურა, მაგრამ ბოლო მეოთხედში გაუტყდა სტუმარ გუნდს და უკანასკნელი თორმეტწუთეული 11:27 დათმო.

**დეტროიტი 75:71 ვაშინგტონი**

**დეტროიტი: ჰილი (19)**
**ვაშინგტონი: რიჩმონდი (22)**

ვაშინგტონს ჰყავს ერთი ასეთი მოთამაშე — ჯეფ მაკინისი, რომელმაც წინა დღით ფილადელფიასთან მოგებაში ლომის წილი დაიდო. აქამდე მას ამ სეზონში მოედანზე ჯამში მხოლოდ ექვსი წუთი თუ გაეტარებინა, მაგრამ მოულოდნელად ფილადელფიასთან თავი გამოიდო, კარიერაში ყველაზე მეტი, 12 ქულა მოაგროვა და თებერვლის საუკეთესო მოთამაშე ალენ აივერსონი ერთობ გააწამა. იმ თამაშში მისი მოედანზე შეშვება აზრად არავის მოუვიდოდა, გუნდის ერთ-ერთ ლიდერს, გამთამაშებელ როდ სტრიკლენდს საზარდულის ტრავმა რომ არ მიეღო. სტრიკლენდმა დეტროიტშიც ვერ ითამაშა და მაკინისი სიცოცხლეში პირველად გავიდა ძირითად ხუთეულში, 10 ქულა გააკეთა და თანაგუნდელებისთვის რვა პასის ჩამორიგებით კარიერის რეკორდიც დაიმყარა. თვითონ მატჩი საკმაოდ დაძაბული და შეცდომებით აღსავსე გამოდგა. ვაშინგტონი პირველ ნახევარში უკეთ იბრძოდა და ნახევარი ოთხი ქულით მოიგო, თუმც მეორე რვა ქულით წააგო.

**მაიამი 91:89 ფილადელფია**

**მაიამი: პორტერი (20)**
**ფილადელფია: აივერსონი (28)**

ფილადელფიამ ზედიზედ ექვსი მოგების შემდეგ მესამედ წააგო, თან მაშინ, როცა მისი ლიდერი ალენ აივერსონი ჩინებულად გაისარჯა. 183-სანტიმეტრიანმა მოთამაშემ პირწმინდად დაჩაგრა თავისი სიმაღლის, გაცილებით ხნიერი მეურვე ტიმ ჰარდევეი: მხოლოდ 12 ქულა ჩააგდებინა და ექვსჯერაც დააკარგინა ბურთი. თუმც ლამის მარტოდ მებრძოლი აივერსონი ამაოდ დაშვრა — დენ მარლიმ თანაგუნდელი ჰარდევეის აცილებულს მატჩის დამთავრებამდე 1,1 წამით ადრე დაამატა და სტუმრებს იმედი გადაუწურა.

**ირაკლი ფირაშვილი**

## კვირის მოთამაშე

### ტიმ დანკანი (სან ანტონიო)



დანკანმა გასულ კვირაში მატჩში საშუალოდ 27,5 ქულა, 11,5 მოხსნა და 3,25 დაფარება დააგროვა. მისმა „სან ანტონიომ“ კი ოთხიდან ოთხი მატჩი მოიგო.

დანკანმა კვირა „ჰიუსტონის“ წინააღმდეგ 23 ქულით, 14 მოხსნით და 5 დაფარებით დაიწყო, „სფურზმა“ კი 99:82 გაიმარჯვა. კვირის ბოლო მატჩში კი, „დენვერის“ წინააღმდეგ (106:96) ტიმის მონაგარი 37 ქულა, 13 მოხსნა, 3 დაფარება და სამი ჩაჭრა იყო.

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| ატლანტიკის დივიზიონი | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| ორლანდო | 14 | 5 | 73,7 |
| მაიამი | 13 | 5 | 72,2 |
| ნიუ იორკი | 10 | 7 | 58,8 |
| ფილადელფია | 10 | 8 | 55,6 |
| ბოსტონი | 7 | 8 | 46,7 |
| ვაშინგტონი | 7 | 10 | 41,2 |
| ნიუ ჯერსი | 3 | 13 | 18,8 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 12 | 5 | 70,6 |
| მილუოკი | 10 | 5 | 66,7 |
| დეტროიტი | 11 | 7 | 61,1 |
| ატლანტა | 9 | 8 | 52,9 |
| კლივლენდი | 7 | 8 | 46,7 |
| ტორონტო | 6 | 10 | 37,5 |
| შარლოტი | 4 | 11 | 26,7 |
| ჩიკაგო | 4 | 13 | 23,5 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| შუა დასავლეთის დივიზიონი | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| იუტა | 13 | 4 | 76,5 |
| მინესოტა | 11 | 6 | 64,7 |
| ჰიუსტონი | 10 | 8 | 55,6 |
| სან ანტონიო | 10 | 8 | 55,6 |
| დალასი | 6 | 13 | 31,6 |
| დენვერი | 5 | 13 | 27,8 |
| ვანკუვერი | 4 | 14 | 22,2 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| პორტლენდი | 14 | 3 | 82,4 |
| ლეიკერსი | 13 | 6 | 68,4 |
| სიეტლი | 9 | 7 | 56,3 |
| ფინიქსი | 9 | 8 | 52,9 |
| საკრამენტო | 9 | 9 | 50,0 |
| გოლდენ სტეიტი | 7 | 10 | 41,2 |
| კლიპერსი | 0 | 15 | 0 |

# RUGBY SUPER 12 სიდნეელებმა რიხიანად მოიაფრიკეს

ინვერკრგილი. 6 მარტი

**დანიდინი 65 (27):23 (3) პრეტორია**

დანიდინი: ჰოეფლი, ოლივერი, მიუსი, ტიმინსი, ბლეიქი, მიდელტონი, კრონფელდი (იმაიკა), რენდელი, კელეჰერი, ბრაუნი, ალატინი, როპატი, სტენლი, ლენი, ვილსონი (ლიმა)

9 ლ — მიდელტონი: კელეჰერი (2), სტენლი (2), მაკა, ვილსონი, როპატი, ტიმინსი

7 გ და ს — ბრაუნი

პრეტორია: რიბენსი, სენტონი (ტრასკოტი), ბრუკსი, გრობელაარი, ესპაგი, ოტო, მაკინტოში, ბეკერი, დე კოკი (როუბენჰეიმერი), სმიტი, ვან შალკვიკი, ოლივიე, სნაიმანი, ვან ვიკი, ვენტერი

4 ლ — რიბენსი (2), როუბენჰეიმერი, ვან ვიკი. 1 ს - სმიტი

ამ უხვლელოიანი მატჩის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყდა. მასპინძლებმა, რომლებმაც მეტოქეს შაბათს თავიანთ მეორე სარბიელზე უმასპინძლეს, საწყის 6 წუთში ორი ლელო გაიტანეს. თანაგუნდელებს არც ბრაუნი ჩამორჩა და ორივე ლელო გარდაისახა, საერთოდ იმ დღეს კი ცხრიდან — შვიდი.

ჰამილტონი. 6 მარტი

**ჰამილტონი 17 (11):19 (12). ბრისბენი**

ჰამილტონი: კოლინზი, აკურანგი (სმიტი), ლიდგარდი, ჯონსი, დევისი, მარში, მიკა, მაირი, დაგანი (ლი), ჯეკსონი, რიჰანა, ლითლი, მაკლეოდი, რენდელი, კუპერი

1 ლ — დაგანი 4 ს — კუპერი

ბრისბენი: კროული, ფოლი, პანოჰო, ვოუგი, შარფი, კონორსი, ვილსონი, კეფუ, კორდინლი, სპუნერი, სმიტი, ჰორანი, ჰერბერტი, ვილიამსი (ტუნი), ლათანი

3 ლ — სმიტი, კონორსი, ვოუგი 2 გ — სპუნერი

ავსტრალიელებს თავიანთი დამრტყმელების უზუსტობა კინაღამ ძვირად დაუჯდათ. მართალია, კოკისპირულ წვიმაში ჰამილტონის „რაგბი პარკზე“ იძალეს მასპინძლებზე, მაგრამ სპუნერსა და ვილიამსს საჯარიმოები უფრო ზუსტად რომ ერტყათ, გაცილებით იოლად იმარჯვებდნენ.

სამაგიეროდ, მასპინძელმა მეთიუ კუპერმა მხოლოდ 1 საჯარიმო ააცილა. სწორედ მისი დამსახურება იყო, ზელანდიელებმა უფრო დიდი სხვაობით რომ არ წააგეს. არადა, ასეთ შედეგს ნამდვილად არავინ ელოდა. ავსტრალიელებმა პირველ ტურში შინ ველინგტონს სძლიეს 11:0. იმ მატჩში მასპინძლებს ორი მობურთალი, ჰერბერტი და კოკბეინი დაუშავდა, რაც, სპეციალისტთა აზრით, მეორე მატჩში წარმატების შანსებს უნახევრებდა ბრისმენელებს. პირველი ტაიმის წაგების შემდეგ მეორე ნახევარში ზელანდიელები კარგად აბურთავებდნენ და ათ წუთში ხუთქულიან უპირატესობას მიაღწიეს. თუმცა, ამ უპირატესობამ მხოლოდ 68-ე წუთამდე გასტანა, როცა ვოუგმა სტუმართა მე-3 ლელო გაიტანა. აქედან მოყოლებული, მოედანზე სტუმრები გაბატონდნენ და მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა არ გასჭირვებიათ.

ველინგტონი. 7 მარტი

**ველინგტონი 22 (19):24 (5) კეიპტაუნი**

ველინგტონი: ლოი (ედვარდსი), ჰეპსი (ჰიუიტი), სლეიტერი, ვოლერი, კუკსლი (აფეაკი), ბლოუერსი, ვანისი, ტიატია, ტონუუ, ჰოლველი, უმაგა, ოჰალორანი, პარკინსონი, ოსბორნი, კალენი (ტელეა)

2 ლ — ტელეა, ჰეპსი 4 ს — ჰოლველი

კეიპტაუნი: ქემფსონი, მარასი, ვისაჟი, ბრინკი, ლოუ, ტრაიტსმენი, ჰატინგი (ლენარდი), სკინსტადი, ვან ძილი, ვან სტრაატენი, მარინოსი, პულსი, ფლეკი, პ. როსოუ, მონტგომერი

3 ლ — პ. როსოუ, მარასი, ლენარდი 3 ს — ვან სტრაატენი

ჰოლველმა ერთადერთი საჯარიმო ააცილა მატჩში, ისიც ბოლო წუთზე და თანაგუნდელებს წააგებინა. აფრიკელებმა კი იმდენი მოახერხეს, პირველი ტაიმის წაგების მერე 19:5, მეორეში შეძლეს 14-ქულიანი სხვაობის გაბათილება. პირველი ტაიმის შუაწელისთვის მასპინძლები 19:0 დაწინაურდნენ. შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ აფრიკელები საშინლად განადგურდებოდნენ, მაგრამ მეორე ტაიმში მათ მხსნელად როსოუ მოევლინათ, რომელმაც ერთი ლელო თავად გაიტანა, ორიც თანაგუნდელებს გაატანინა და მნიშვნელოვანწილად განაპირობა სტუმართა გამარჯვება.

პორტ ელიზაბეტი. 5 მარტი

**დურბანი 21(8):16(13) კანბერა**

დურბანი: ლერუ, კ. როსოუ, სმიტი, ათერტონი, ენდრიუსი, ვან რენსბარგი, ფივიე (ბროსნიანი), ტიჩმენი, ელკოკი (მართენსი), ჰონიბალი, პედრო (პეინი), გილინგემი, კაიზერი, ტერბლანქი, ჟუბერი

2ლ — ტერბლანქი, გილინგემი 1გ და 3ს — ჰონიბალი

კანბერა: იონგი, პოლი (კაპუტო), ნორიეგა, ჰარისონი (ჟაკი), გიფინი, ვილიამსი (ფენუკიტაუ), რობინსონი, ფალკონი, გრეგანი, ლარკამი, მორტლოქი, ჰოლდბეკი, მაგრო, ჰარდი, კაფერი

1ლ — ტექ. 1გ და 3ს — მორტლოქი

დანიდინის დარად დურბანიც მეტოქეს თავის მეორე სარბიელზე დაუხვდა. მასპინძელთა მეტოქედ, ისევე როგორც პირველ ტურში, ავსტრალიელები იყვნენ. მაშინ უტიჩმენო და უჰონიბალო აფრიკელები სიდნეისთან ფრეს დასჯერდნენ — 13:13. ახლა კი მასპინძლებს „ქურციკთა“ კაპიტანი ტიჩმენიც და ჰენრი ჰონიბალიც ჰყავდათ და შედეგმაც არ დააყოვნა. მასპინძლებს კარგმა დაცვამ და მათი დამრტყმელის სიზუსტემ მოაგებინა. ჟუბერიმ რომ ორჯერ ააცილა, მერე დარტყმები ჰონიბალმა აიღო თავის თავზე და ოთხიდან ოთხჯერ ივარგა.

ბლომფონტეინი. 6 მარტი

**იოჰანესბურგი 10(3):39(10) სიდნეი**

იოჰანესბურგი: გრონვოლდი, დროცკი, ჰეიმანსი, ფ. სმიტია, ვენტერი, ერასმუსი, ვოსი (კრაუზე), ა. ჯ. ვენტერი, სვანპოლი, ვესელსი, ლ. ვენტერი, მ. სმიტი, მლუდერი, სმოლი, ენგელბრეხტი.

1ლ — ა. ვენტერი 1გ და 1ს — ენგელბრეხტი

სიდნეი: ჰარი (კ. ბლეიდსი), კერნსი (ტავალეა), ე. ბლეიდსი, ბოუმანი, ველბორნი, ბრაიალი (ოფაჰენგაუ), პირკენტონი (მანუ), სტრაუსი, ვაითეკერი (პეინი), ვორნერი, სტეინფორსი, გრეი, ჯონსი, დოულინგი, მაკრი.

5ლ — მაკრი, ჯონსი, ბოუმანი, გრეი, დოულინგი, 4გ — ვორნერი (2), ედმონდსი (2), 2ს — ვორნერი, ედმონდსი

სტუმრებმა რომ სამხრეთაფრიკული ტურნე დაუმარცხებლად ჩაამთავრეს, მთლიანად ნათან გრეის დამსახურებაა, რომელიც პირველ ტურშიც, დურბანის წინააღმდეგ, შეუდარებელი იყო. შაბათს „კატების“ წინააღმდეგ მატჩში გრეიმ ერთი ლელო თავად გაიტანა, ორიც თანაგუნდელებს გაატანინა. მეორე ტაიმის დასაწყისში აფრიკელემა ვენტერის ლელოთი გაათანაბრეს ანგარიში, მაგრამ მათი სიხარული მხოლოდ ხუთ წუთს გაგრძელდა. ზუსტად ამდენი დასჭირდათ ავსტრალიელებს დასაწინაურებლად — ბოუმანმა გაიტანა ლელო. მატჩის ბოლო ხუთ წუთში კი კიდევ ორი გაიტანეს და აფრიკელთა განადგურებას წერტილიც დაუსვეს.

**ბაატა თოთაძე**



პრეტორიელი დეილ სენტონის (ბურთით) მცდელობის მიუხედავად, მისი გუნდი დანიდინთან სასტიკად შერცხვა



ჩემპიონატის ფავორიტები ჰაკინენი, კულჰარდი და შუმახერი პირველმა რბოლამ ძალიან შეაჩქვიფა

# ვილნევის ქალი ტრასაზე იხდის

## პირველი რბოლის შემდეგ

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

კვირას ავსტრალიაში გამართული რბოლა საკმაოდ მოულოდნელი შედეგით დასრულდა. ყველა ელოდა „მაკლარენის“ წყვილისა და შუმის ორთაბრძოლას, მაგრამ პაექრობა არ შედგა. ფავორიტად მიჩნეულ სამეული ტექნიკურმა პრობლემებმა გააწამა, ასპარეზობა კი ედი ირვინმა მოიგო.

„ფერარიმ“ პირველი გამარჯვება მოიპოვა წლევანდელ სეზონში, მისმა მთავარმა მეტოქემ კი ერთი ქულის აღებაც ვერ შეძლო. „სკუდერიას“ ხელმძღვანელმა ჟან ტოდტმა ეს რბოლა ასე შეაფასა: „უცნაური რბოლა იყო. მიუხედავად ამისა, ძალიან მიხარია, რომ ედიმ თავისი პირველი გამარჯვება იზეიმა. გულდაწყვეტილი ვარ მიხაელის გამო, რომელიც სამართავი სისტემის უწესრიგობამ გააწვალა. მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ, თუმცა ვიცით, რომ ძლიერი მეტოქე გვყავს, რომელიც ამჯერად ქულებით ჩამოგვრჩება. მათ დასამარცხებლად ბევრი შრომაა საჭირო“.

ირვინმა თავის გამარჯვებას ფანტასტიკური უწოდა. მით უმეტეს, რომ ახალი ბოლიდის საჭეს სულ რამდენიმე დღის წინ მიუჯდა. როგორც მან თქვა, რბოლისას შეამჩნია, რომ ჰაკინენს პრობლემები გაუჩნდა და რესტარტისას შეეცადა, უპირატესობა მოეპოვებინა, რაც შესანიშნავად შეძლო და გაიმარჯვა კიდეც.

მიხაელ შუმახერმა კი განაცხადა, რომ რბოლის დასაწყისში პრობლემები ჰქონდა, უჭირდა სიჩქარეთა ცვლა, საჭის შეცვლის შემდეგ საქმე უკეთ წაუვიდა, მაგრამ შემდეგ საბურავმა უმტყუნა. მან მაინც კმაყოფილება გამოთქვა, რომ მისმა თანაგუნდელმა მოიგო და ორივე „ფერარიმ“ დაასრულა რბოლა, რაც შარშანდელ ამ პერიოდთან შედარებით უკეთესი შედეგი გახლავთ.

დამარცხებული „მაკლარენის“ შეფმა რონ დენისმა კი დანანებით აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ გუნდმა საკმაოდ დიდი და მძიმე შრომა გასწია, პილოტები იძულებულნი გახდნენ, რბოლა უდროოდ შეეწყვიტათო. თუმცა ისიც დასძინა, რომ კმაყოფილია გუნდის ბოლიდების კონკურენტუნარიანობით და იმედი აქვს, ბრაზილიის დიდ პრიზამდე (იქამდე კი 1 თვეზე მეტი დროა) შეძლებენ ყველა პრობლემის მოგვარებას. მსოფლიოს ჩემპიონმა მიკა ჰაკინენმა რბოლა ასე დაახასიათა: „უპირველეს ყოვლისა, გულდაწყვეტილი ვარ, რომ ასეთი მანქანით შედეგს ვერ მივაღწიე. ჩვენი ბოლიდის პოტენციალი კარგად გამოჩნდა ვარჯიშზე, კვალიფიკაციისას და რბოლის დებიუტში. როდესაც ტრასაზე პეისკარი დავინახე, შევამჩნიე, რომ სიჩქარის მომატება მიჭირდა. ბოქსებში შესვლისას შევეცადეთ, ეს გამოგვესწორებინა, მაგრამ ამაოდ და რბოლის შეწყვეტა მომიხდა.

მისმა თანაგუნდელმა კულჰარდმაც აღნიშნა, რომ რბოლის დასაწყისში მანქანა შესანიშნავად მოქმედებდა, მერე კი გადაცემათა კოლოფის უწესრიგობამ იჩინა თავი.

მომავალ რბოლამდე საკმაო დროა და „მაკლარენი“ ამ უწესრიგობის აღმოფხვრას ადვილად შეძლებს, შემდეგ კი წინ 15 რბოლა და წარმატების დიდი შანსია.

დღევანდელი ფორმულა 1-ის ამ ორი გრანდის პაექრობის გარდა ავტომოყვარულნი მოუთმენლად ელოდნენ ტრასაზე BAR-ის გამოჩენას. სტარტი არც თუ ისე იღბლიანი გამოდგა. ორივე პილოტმა ვადაზე ადრე დაასრულა შეჯიბრება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვილნევმა სასტარტო მე-11 ადგილიდან რბოლის პირველივე მეტრებზე მე-7 ადგილზე გადაინაცვლა. ჟაკი შესანიშნავად ასპარეზობდა და ქულების მოპოვების შანსიც ჰქონდა მანამ, სანამ მისმა „ვნებიანმა ქალბატონმა“ (ასე უწოდებს ჟაკი თავის ახალ ბოლიდს) კვლავ ტანთ გახდა არ მოინდომა და უკანა ფრთა ტრასაზე არ დატოვა. რბოლის მიწურულს ქულის მიღების შანსი დებიუტანტ ზონტასაც გაუჩნდა, მაგრამ მასაც ტექნიკამ უმტყუნა და რბოლა შეწყვიტა. მიუხედავად ამისა, ვილნევის ინჟინერმა ჯოკ კლერმა კმაყოფილება გამოთქვა, რომ ჟაკი სწორად შერჩეული ტაქტიკითა და კონკურენტუნარიანი ბოლიდით იბრძოდა ტრასაზე. ყველაფერი რომ კარგად წასულიყო, კანადელს პოდიუმზე მოხვედრის შანსიც ჰქონდაო. მისი თქმით, ბრაზილიაში შედეგი უკეთესი იქნება, თუმც წინ დიდი სამუშაო ელით და, რა თქმა უნდა, სხვა გუნდებიც არ ისხდებიან გულხელდაკრეფილი.

სეზონი ახლა დაიწყო, ასე რომ, ფინიშამდე ჯერ ძალიან შორია.

**ალეკო ჩაგუნიანი**

# ქართველებმა საფრანგეთში ბელგიელები გაასამტვერეს

*ასე წერდნენ საფრანგეთის გაზეთები ორეიში გამართულ 12 წლამდე ჩოგბურთელთა ღია საერთაშორისო ტურნირზე, სადაც თბილისის ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის აღსაზრდელებმა სოფიო მელიქიშვილმა და თინათინ ყავლაშვილმა წყვილთა ფინალში ბელგიელებს სძლიეს. ამას გარდა, ერთეულთა თანრიგში გაიმართა ქართული ფინალი, რომელშიც მელიქიშვილმა ყავლაშვილს მოუგო. მათ უაღრესად საინტერესო პაექრობას, როგორც იქაური გაზეთები წერენ, 1200 მაყურებელი დაესწრო. იქაური გაზეთები იმასაც წერდნენ, რომ გოგონათა ტურნირში მონაწილე 25 ქვეყნის გუნდებიდან საუკეთესო შთაბეჭდილება სწორედ ქართველებმა დატოვეს.*




სოფიო მელიქიშვილი და თინათინ ყავლაშვილი

იმავე გაზეთების თქმით, ეს ტურნირი ევროპაში ნორჩთა შორის უძლიერესად ითვლება. ბუნებრივია, ორეიში ჩვენი გოგონების ასეთ კარგ გამოსვლას დიდ წარმატებად თვლის საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლეილა მესხი, რომელმაც გვითხრა, რომ ამ ტურნირს მსოფლიოს არაოფიციალურ პირველობადაც მიიჩნევენო.

— ამ ტურნირზე თავის დროზე გამოსულა მრავალი ისეთი ჩოგბურთელი, რომლებმაც შემდგომ სახელი გაითქვეს. მათ შორის იყვნენ მარი პირსი, მარტინა ჰინგისი და სხვანი — გვეუბნება ლეილა მესხი — მათი სურათები გამოფენილია ტურნირის დიდების დარბაზში. მჯერა, რომ ჩვენი ჩოგბურთელი გოგონების სურათებიც მოხვდება ამ დარბაზში. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ სამი წელია ფინალები ქართველი სპორტსმენების მონაწილეობით იმართება. 1997 წელს სალომე დევიძემ ითამაშა ფინალში, შარშან კი თინათინ ყავლაშვილმა. თინათინმა წლეულსაც იგივე შედეგი გაიმეორა, რადგანაც პირველი ადგილისთვის პაექრობაში დამარცხდა მისივე თანაგუნდელ სოფია მელიქიშვილთან. აღსანიშნავია, რომ ჩვენი გოგონებიდან, ეს ტურნირი აქამდე არავის მოუგია.

რაკი ახლო წარსულში ცნობილი ჩოგბურთელი ასეთ მაღალ შეფასებას აძლევს ჩვენი გოგონების გამოსვლას, ამიტომ უინტერესო არ უნდა იყოს გასაუბრება თავად 11 წლის ჩემპიონთან, რომელსაც გულა ელერდაშვილი ავარჯიშებს.

**— სოფო, შარშან ამავე ტურნირს პირველი ეტაპიდან გამოკლებიხარ.**

— დიახ, მაგრამ მერე პირველივე ეტაპიდან გამოვარდნილი 32 სპორტსმენი გვათამაშეს სანუგეშო ტურნირში, სადაც გავიმარჯვე.

**— წლეულს რამდენი შეხვედრა ჩაატარე?**

— ერთეულებში ექვსი, წყვილთა თანრიგში კი ხუთი.

**— რომელ შეხვედრაში გაგიჭირდა ყველაზე მეტად?**

— ნახევარფინალში გასასვლელი და ფინალი.

**— ადრე თუ შეხვედრიხარ რომელიმე მეტოქეს?**

— არავის. მხოლოდ თინათინ ყავლაშვილს შევხვედრივარ თბილისში, სადაც ხან ის მიგებდა და ხანაც მე. ორეიში კი ისე მოხდა, რომ ფინალი ქართული გამოდგა. მე გავიმარჯვე 6:4, 7:6 (7:5). წყვილთა თანრიგში კი მე და თინათინმა ბელგიელები ბარბარა ლაურენტი და საარტი ვანერუმი დავამარცხეთ 6:1, 6:2.

**გიგა გურასაშვილი**

# სერენა ცაში ბრილიანტებით

**ინდიან უელსი. აშშ „ევერტის თასი“. ჰარდი. საპრიზო 1,3 მილიონი $**

ქალთა ჩოგბურთი გაშავების გზაზეა. არა, არც „კოზა ნოსტრული“ იდეოლოგიას ვგულისხმობთ და არც მზისგან გარუჯულ ხელ-ფეხს, მიზეზს ორი სახელი — ვინუსი და სერენა და ერთი გვარი — უილიამსი აქვს.

ერთი კვირის წინ ჩოგბურთის ყველა დროის ყველაზე შავმა დებმა ისტორიაში პირველად ორ სხვადასხვა ტურნირზე, ორ სხვადასხვა კონტინენტზე მოიგეს ტიტულები და თეთრ კოლეგებს დიდი თავსატეხი გაუჩინეს. მათ ხომ სიმაღლეც, ძალაც და სისწრაფეც ჰინგის-გრაფების მოდგმაზე გაცილებით მეტად ერჩით და ამას თუ აქამდე ნაკლული ხერხი და გონი მიუმატეს, ყველა პირველობას აზრი დაკარგვია და ეგ არის.

ეს გაჭიანურებული შესავალი იმისთვის იყო საჭირო, რომ ლინდსი დევენპორტის ქომაგებს ფრიად სამწუხარო ამბავი ვაცნობოთ — ევერტის თასის მეორე წრეში მსოფლიოს აწ უკვე ყოფილ პირველ ჩოგანს 17 წლის სერენა უილიამსმა სრულიად იოლად, 6:4, 6:2 აჯობა.

დევენპორტს მატჩის დასაწყისში არა უშავდა რა, ერთიორჯერ ბრეიკპოინტსაც მიატანა, მაგრამ მეტოქისთვის მოწოდებისართმევა ვერც მაშინ მოახერხა და ვერც შემდგომ, თავისი კი პირველ სეტშიც დაკარგა და მეორეშიც.

ლინდსის თუ დავეკითხებით, გასამართლებელი მიზეზი მას ნამდვილად ჰქონდა: — აგერ უკვე ერთი თვეა, ტოკიოს ტურნირიდან მოყოლებული, თავს კარგად ვერ ვგრძნობ, რაღაც უცნაური გრიპი შემეყარა, რომელიც სუნთქვაში მიშლის ხელს. ვარჯიში ორი კვირის წინ განვაახლე ანტიბიოტიკების კურსის დაწყებასთან ერთად, რადგან აქ თამაში ძალიან მინდოდა, მაგრამ ავადმყოფობა არა და არ მანებებს თავს“.

გამარჯვებით ფრთაშესხმულმა და ჩვეულებისამებრ ფართოდ გაკრეჭილმა სერენამ კი თავისი ამბიციური გეგმები გააცნო ჟურნალისტებს: „ამჟამად კლასიფიკაციაზე ბევრი ფიქრით თავს არ ვიწუხებ, მაგრამ თუ ყველაფერი რიგზე იქნება, სეზონის ბოლოს როგორც მინიმუმ, საუკეთესოთა ათეულში ვაპირებ მოხვედრას. თუმცა არა მგონია, საუკეთესო ხუთეულიც აღემატებოდეს ჩემს ძალებს“.

შარშანდელისგან განსხვავებით, როდესაც დებმა უილიამსებმა რამდენჯერმე გადაუღობეს ერთმანეთს გზა, წლეულს მსგავსი ნაკლებად, ან თითქმის არ განმეორდება — სერენა და ვინუსი ცდილობენ, სხვადასხვა ტურნირებზე იასპარეზონ, რომ შინაომებით კონკურენტები აღარ გაახარონ.

როგორც აღმოჩნდა, უმცროსი უილიამსი ფულის ხარჯვისა და ძვირფასეულობის დიდი მოყვარულიც ყოფილა: პარიზის ტურნირზე მითვლილი 80 ათასი დოლარიდან საბანკო ანგარიშზე ცენტიც არ შესულა. „საკუთარი თავი გავანებივრე — ვიყიდე პირველი ბრილიანტის საყურეები, დიდი ბრილიანტის ბეჭედი საფირონით, ოქროს სამაჯური ამეთვისტოს, ზურმუხტის და სხვა ფერადი ქვებით, და, რა თქმა უნდა, ახალი ტანსაცმელიც. იმდენი დამეხარჯა, რომ ჩემი ოცნების, საგანგებო გამოშვების ვარდისფერი გიტარისთვისაც კი აღარ დამრჩა ფული. ახლა შემდეგი ტურნირის მოგებამდე დაცდა დამჭირდება, რასაც, იმედია, სწრაფად მოვახერხებ“.

ტრავმებს თავდაღწეული ტურნირის ორგზის ჩემპიონის, შტეფი გრაფის პირველი მატჩი კალიფორნიულ კურორტზე უფრო მოთელვას ჰგავდა — ჩეხ კვეტოსლავა ჰრდლიჩკოვას პირველ სეტში სერიოზული წინააღმდეგობის გაწევისა რომ ვერაფერი შეატყო, დიდმა გერმანელმა ექსპერიმენტირებას მიჰყო ხელი და შემოკლებულებზე, ბადესთან თამაშსა და სმეშებზე გულიანად წაივარჯიშა. ყველაფერ ამას დაახლოებით 50 წუთი დასჭირდა — 6:1, 6:2.



სარბიელის არქივიდან

ახლა უმცროსმა უილიამსმა ყურებიც დაიმშვენა, თანაც ბრილიანტით

მეორე წრე: **მარტინა ჰინგისი** (1, შვეიცარია) — ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) 6:3, 6:4; **მონიკა სელეში** (3, აშშ) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 7:6 (7:2), 6:2; **იანა ნოვოტნა** (4, ჩეხეთი) — მერი ჯო ფერნანდესი (აშშ) 6:0, 6:3; **მარი პირსი** (6, საფრანგეთი) — ემი ფრეზერი (აშშ) 6:0, 6:3; **ამანდა კუტცერი** (7, სამხრეთ აფრიკა) — ჟული ალარი (საფრანგეთი) 6:4, 6:7 (6:8), 7:6 (7:3); **კარა ბლეძი** (ზიმბაბვე) — ირინა სპირლეა (13, რუმინეთი) 6:7 (4:7), 6:4, 7:5; **ჩანდა რუბინი** (აშშ) — კონჩიტა მარტინესი (14 ესპანეთი) 6:3, 6:4; **სანდრინ ტესტიუ** (12, საფრანგეთი) — ოლგა ბარაბანშიკოვა (ბელარუსი) 7:6 (7:3), 6:0.

**ნეიპლზი. აშშ. NUVEEN MASTERS. ჰარდი საპრიზო 300 ათასი $**

ფლორიდულ ნეაპოლში ვეტერანთა ლიგის დასკვნითი, ყველაზე პრესტიჟული ტურნირი „მასტერსი“ გაიმართა და როგორც იქნა, მასზე ლეგენდარულმა ბიორნ ბორგმაც იხეირა.

უიმბლდონის ხუთგზის ჩემპიონი შვედი ვეტერანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მეხუთედ ასპარეზობდა, მაგრამ 1995 წლის ფინალში ჯიმი კონორსთან წაგების შემდეგ ტიტულის მოგებასთან ახლოსაც ველარ მისულიყო.

პირველ სეტში ფრანგ ანრი ლეკონტთან ბორგი 1:4-ს აგებდა, მაგრამ ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა, 4:5-ზე ზედიზედ სამ სმეშს მიუსწრო, ბრეიკი გაახერხა და მერე უკან აღარც მოუხედავს — მეორე ხელში საკუთარ მოწოდებაზე სულ ორი ქულა დათმო. საბოლოოდ 7:5, 6:4 შვედის სასარგებლოდ.

„ეს მნიშვნელოვანი გამარჯვება გახლდათ, რადგან მისთვის ხუთი წელი ვლვრიდი ოფლს. შარშან მთელი კვირა კარგად ვითამაშე, მაგრამ ავად გავხდი. ეს კი ჩემი წელი იყო“ — აღნიშნა მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, რომელსაც 100 ათასი დოლარი ერგო.

**ავთანდილ სვანიძე**



# თავი, თავი გვინდა!

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებზე, უფრო სწორად, მის პრობლემებზე არაერთხელ დაგვიწერია და დღეს კიდევ ერთხელ გვიწევს. არცთუ დიდი ხნის შემდეგ, 18 ივნისს გუნდს რუმინეთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ელის მასპინძელთა, ხორვატთა და პოლონელთა ნაკრებებთან. ასეთ ძლიერ მეტოქეებთან ღირსეულ ჭიდილს, მით უფრო, ფინალურ ეტაპზე გასვლას სამზადისიც სათანადო უნდა, მაგრამ ამას ვინღა დაეძებს, როცა ნაკრები საერთოდ უმწვრთნელოდაა. თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე გუნდს თენგიზ ივანიშვილმა კი უხელმძღვანელა, მაგრამ ის ამ თანამდებობაზე ოფიციალურად არავის დაუმტკიცებია. ფედერაციას ჯერ ალმასკომის სხდომაც კი არ დაუნიშნავს, რომელზეც მწვრთნელი უნდა აირჩიონ.

ცხადია, ასეთ პირობებში მოსამზადებელ ციკლზე ლაპარაკი უადგილოა. საწვრთნელი მტჩები ხომ არა და არა, ნაკრებს შეკრებებსაც არავინ უწყობს, ფაქტობრივად, არ ტარდება ქვეყნის ჩემპიონატი, რის გამოც სპორტსმენები, ფაქტობრივად, უქმობენ. ბევრ გუნდს სავარჯიშო აუზიც კი არა აქვს, ან თუ აქვს, დიდი წვალებით და ისიც ოღენ ერთი-ორი საათით. შეიძლება ითქვას, საქართველოში დარჩენილი ნაკრების წევრები მოუმზადებელნი ხვდებიან ზაფხულს. ერთადერთი იმედი ლეგიონერები არიან, რომლებიც კლუბებში კარგად კი თამაშობენ, მაგრამ მათ ხომ შეთამაშებაც სჭირდებათ. ისიც საკითხავია, ჩამოიყვანს კი საერთოდ მათ ვინმე საქართველოში? გზის ფული ხომ (აღარას ვამბობთ ხელფას-პრემიებზე) ფედერაციამ უნდა გადაიხადოს და შეძლებს კი გადახდას?

ამასობაში კი ქართველთა მეტოქეები გამალებით ემზადებიან ტურნირისთვის. მათ სამზადისიც კარგა ხნის წინ დაგეგმეს, კალენდარიც შეადგინეს, ფულიც ბლომად აქვთ და არც მოთამაშეთა შერჩევა უჭირთ, ურთიერთსაც აკვირდებიან და, ეს კი არა, ხორვატები რუსეთის ნაკრებში მოთამაშე ჩვენებური რეზო ჩომახიძის გადაბირებასაც ეცადნენ. თავად ჩვენები კი ამ დროს სპორტსაზოგადოება „დინამოს“ თავმჯდომარის მოადგილის რობინზონ თუშურაშვილის მიერ დეპარტამენტისადმი მიწერილი წერილის იმედად არიან. ამ წერილით ავტორი სთხოვს ჩვენს უმაღლეს სპორტულ ინსტანციას, დახმარება გაუწიოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის უკეთ მოსამზადებლად. ღმერთმა ქნას, ამ შუამდგომლობამ გაჭრას, თორემ წავა მერე ნაკრები რუმინეთში (თუ ფული ისესხეს ან სამოწყალოდ დაეხმარათ ვინმე), წააგებს ყველა თამაშს დიდი ანგარიშით და ისევ დაიწყება დაუსრულებელი საუბარი იმაზე, გვჭირდება თუ არა ისეთი ნაკრები, რომელიც დიდი ანგარიშით მარცხდება და ასე შემდეგ. მერე იქნებ ნაკრებიც ხელში ჩაგვაკვდეს, ეს კი წყალბურთის აღსასრულიც იქნება.

მოკლედ, ასეთ პირობებში ემზადება (თუ ეს მზადებაა) ჩვენი ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის, რომლის იქითაც ფინალური ეტაპი და ევროპული წყალბურთის ელიტაა. უმწვრთნელოდ (ოფიციალურად დაუმტკიცებელი), უწყლოდ, უთამაშოდ, უფულოდ დარჩენილი ჩვენი ნაკრები უთავო მხედარს ჩამოჰგავს. მწვრთნელიან-პატრონიან-თავიანი ჩვენი მეტოქეები კი ამასობაში გამალებით ემზადებიან ჩვენთან შესახვედრად.

**ირაკლი თავაძე**

ტყვიის სროლა

# ის, რაც ჯერ სხვებს არ აუღიათ, სალუქვაძეს უკვე ორი აქვს

1-6 მარტს საქართველოს ტყვიის მსროლელ ქალთა გუნდი ნინო სალუქვაძის, ნინო უჩაძისა და დარეჯან დუმბაძის შემადგენლობით ჰოლანდიის ქალაქ არნემში გამართულ პნევმატური პისტოლეტით მსროლელთა ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობდა. ამ ტურნირმა კონტინენტის ყველა უძლიერეს ჩუბინს მოუყარა თავი. რუსებს: მარინე ლოგვინენკოს, სვეტლანა სმირნოვას, ოლგა კლოჩნევა-კუზნეცოვას, იუგოსლავიელ იასნა სეკარიჩს, ბელარუს იულია სინიაკს, დანიელ სუსანა მეიერჰოფს და სხვებს. ბუნებრივია, ყველას ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ ვინც ვახსენეთ, მათგან სამი, ლოგვინენკო, კლოჩნევა-კუზნეცოვა და სეკარიჩი, ოლიმპიური ჩემპიონია, ზოგს კი ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე გამოუჩენია თავი. მსროლელთა რაოდენობაც სოლიდური გახლდათ — 32 გუნდი, 61 მსროლელი.

ამ ტურნირში ნინო სალუქვაძემ მეოთხე ადგილი დაიკავა. შეიძლება ვინმესთვის ეს შედეგი დიდ წარმატებად ჩაითვალოს, მაგრამ ოლიმპიური ჩემპიონისგან მაინც მეტს ველით, მით უფრო, რომ ნინომ იანვრის ბოლოს მსოფლიოს პირველობისდარ მიუნხენის ტურნირში ზედიზედ ორჯერ იმარჯვა. არნემში კი ოდინდელმა მეტოქეებმა—ლოგვინენკომ და სეკარიჩმა გაასწრეს, რაც მათ ძველებურ მზადყოფნაზე მეტყველებს. თუმც ისიც კარგად ვიცით, რომ ნინომ ოლიმპიური ჩემპიონობა 11 წლის წინ მოიპოვა და დრო თავისას შვრება, ხოლო იუგოსლავიაშიც და რუსეთშიც სპორტს ჩვენზე მეტად პატრონობენ.

არადა, დასაწყისი საჩემპიონო ოპტიმიზმს ნამდვილად იძლეოდა. წინასწარი სროლების შემდეგ სალუქვაძე ფინალამდე მეორე ადგილით მივიდა. მან და პირველზე მყოფმა გერმანელმა კარმენ მენინგერმა 384-384 ქულა დააგროვეს, მაგრამ რადგან ამ უკანასკნელმა წინასწარი სროლების ბოლო ცდაში უფრო იყოჩაღა, პირველობაც მას ერგო. ამ დუეტს თითოქულიანი სხვაობით მოჰყვნენ: სეკარიჩი და სინიაკი (383), ლოგვინენკო და რუსი ევგენია გალუზოვა (382), მეიერჰოფი და დანიელი კარმენ ჰანსენი (381). ფინალში გასული ოქტეტი ასე დაწვრილებით იმიტომ ჩამოვთვალე, რომ აქამდე სულ ცოტა დააკლდა უჩაძეს, რომელზეც ქვემოთ მოგახსენებთ, ახლა კი კვლავ სალუქვაძეს მივუბრუნდეთ.


ბადრი კეთილაძის ფოტო

ნინო სალუქვაძე

ფინალში ამოქმედდა პრინციპი — „წინანი უკან და პირიქით“. აქ მეშვიდე შედეგის მქონე სუსანა მეიერჰოფმა თავი გაიგიჟა და ათი ცდიდან 103,5 დააგროვა. ძალიან სუსტად იასპარეზეს დანარჩენებმა — ლოგვინენკომ 98,7 ქულა დააგროვა, სეკარიჩმა 97,2, სალუქვაძემ და მენინგერმა 96,2. ორი ცდის (წინასწარი და ფინალური) ჯამში მეიერჰოფმა 484,5 ქულა მიითვალა და მეტოქეთათვის მიუწვდომელი ანუ ევროპის ჩემპიონი გახდა. ვერცხლის მედალს ლოგვინენკო დაეუფლა (480,7), ხოლო დანარჩენ სამს ქალთა თანაბარი ოდენობა — 480,2 დაუგროვდა. მათ შორის დაინიშნა დამატებითი სერია, სადაც სეკარიჩმა 10,0 დააგროვა, სალუქვაძემ — 9,9, მენინგერმა — 9,2. საბოლოოდ მე-3 ადგილი ბალკანელმა დაიკავა, ნინო კი მეოთხეზე დარჩა. ასეთმა მცირე სხვაობამ (0,1) დაათმობინა მას ბრინჯაოს მედალი. დამატებითში 10,0 რომ გაეკეთებინა, მაშინ სეკარიჩს გაასწრებდა, რადგან ფინალამდე მასზე უკეთესი შედეგი ჰქონდა.

საწყენია, რომ სალუქვაძეს ასე ცხვირწინ აცალეს მედალი, მაგრამ არნემიდან ხელცარიელი მაინც არ ჩამოსულა, რადგან პნევმატური პისტოლეტით სროლაში ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა (სპორტულში შარშან აიღო). ჯერჯერობით ის ერთადერთი ქართველი ლიცენზიამოპოვებული სპორტსმენია.

ახლა კი ნინო უჩაძეზე ვისაუბროთ. „ბოლო ვაგონს“ ადევნებული როგორი წვალებით გაემგზავრა ის არნემში, ადრე გაცნობეთ, იქ ჩასულმა კი კინალამ სენსაცია მოახდინა.

მან ჩინებულად დაიწყო ასპარეზობა. წინასწარ სროლებში (რომელიც თითქმის 40 გასროლას ითვლის) ბოლო ცდის წინ ლიდერთა შორის იყო. ეტყობა, ამან მასზე ფსიქოლოგიურად იმოქმედა და გადამწყვეტ მომენტში ჩვეულად ველარ გაისარჯა. ამ გასროლის წინ ნინო ისე ღელავდა, რომ პისტოლეტი მანამ გაუვარდა, სანამ კარგად დაუმიზნებდა. საბოლოოდ მან 377 ქულა დააგროვა და ფინალს მილმა დარჩა. არადა, სულ რაღაც ოთხი ქულით მეტი რომ ჰქონოდა (რისი უნარიც რეალურად შესწევდა), მეიერჰოფ-ჰანსენივით 381 ქულას მოუყრიდა თავს და ფინალიდან მეიერჰოფს გააგდებდა, რადგან ბოლო გასროლაში მასზე მეტ ქულას მოიპოვებდა. ამ შემთხვევაში ხომ სენსაციას მოახდენდა, ევროპასაც სულ სხვა ჩემპიონს მოუვლენდა და თვითონაც, სავარაუდოდ, ოლიმპიურ ლიცენზიას დაისაკუთრებდა. ვინ იცის, ფინალში როგორ ისროდა. ყოველ შემთხვევაში, ნაკრების მწვრთნელი გივი ბოსტოლანაშვილი დარწმუნებულია, რომ ოთხეულში მოხვდებოდა, რაც ოლიმპიურ ლიცენზიას მოუტანდა. ბოლო-ბოლო, გუნდს ხომ უფრო მეტად შეეწეოდა. მაგრამ რაც მოხდა, მოხდა. ახლა ველარაფერს შეცვლი. ეს მწირი საშეჯიბრო პრაქტიკის ბრალიცაა. ისე კი დაძაბულ ატმოსფეროზე ფინალში ნაჩვენები დაბალი შედეგებიც მეტყველებს.

ასევე გამოუცდელობა ჩაითვალა დარეჯან დუმბაძის (369 ქულა) წარუმატებლობის მიზეზად. როგორც ბოსტოლანაშვილმა გვითხრა, ივლისის შემდეგ მან პირველად იასპარეზა (!)

გუნდურ პირველობაში 13 გუნდი მონაწილეობდა. საქართველოს ნაკრებმა აქ დანიის, რუსეთის, გერმანიისა და პოლონეთის შემდეგ მეხუთე ადგილი დაიკავა. ჩვენი სპორტსმენები პოლონელებს მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩნენ.

ჩვენ გერმანიიდან დაბრუნებულ ნინო სალუქვაძესაც გავესაუბრეთ, რომელიც მეორე ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვებით კი ხარობდა, მაგრამ უმედლოდ დარჩენაზეც წუხდა. მან ეს ფსიქოლოგიური მოუმზადებლობით ახსნა. „კარგა ხანია, ექიმ-ფსიქოლოგის დანიშვნას ვითხოვ. ამას ჩემი საოლიმპიადო მზადების გეგმაც ითვალისწინებს“ — გვითხრა ნინომ. ვფიქრობთ, ამ პრობლემის მოგვარება საქმეს დიდად წაადგება.

**ირაკლი თავაძე**

კრივი

ვარიანელმა მოკრივემ გიორგი კანდელაკმა ინგლისის დედაქალაქში პროფესიულ რინგზე მე-6 ორთაბრძოლა ჩაატარა. ამჯერად მისი მეტოქე ინგლისელი სტივენ დევიდსონი იყო; ქართველ მოკრივეს მეტოქე მეორე რაუნდში შემოელახა და ნოკაუტით, ვადაზე ადრე დაამთავრა შეხვედრა. გიორგი ორშაბათს გვიან ღამით ჩამოფრინდა თბილისში, ტრადიციას არც ამჯერად უღალატა და აეროპორტიდან პირდაპირ ვარიანს მიაშურა. გიორგის გამოძინებალა ვაცადეთ, მერე კი შევეხმიანეთ, ისიც არ დაგვზარდა და ჩვენთვის საინტერესო კითხვებზეც გვიპასუხა.

# კანდელაკი ლონდონში საქმეს სწრაფად აგვარებს

**— გიორგი, როგორ ემზადებოდი ამ ორთაბრძოლისთვის?**

— ლენოქს ლუისის კოლეჯში ვცხოვრობდი და, ალბათ, გასაკვირი არც იქნება, თუ ვიტყვი, რომ მზადებისათვის ყველანაირი პირობები შემიქმნეს. 17 დღე ვვარჯიშობდი. სპარინგ-პარტნიორობას ამჯერად ინგლისელი მოკრივეები — ჯულიოს ფრენსისი და მარკ ბრაუნი მიწევდნენ. პირველი ევროპული რეიტინგით მეოთხეა მძიმეწონოსნებში, მეორეს კი დაახლოებით ჩემნაირი რეიტინგი აქვს. მზადებაში ბულგარელი მიხეილ ტაკოვი და ინგლისელი ფილიპ ბოდიუ მეხმარებოდნენ.

**— როგორც გამოცხადებული იყო, ფრანგთან უნდა გეჩხუბა...**

— მეც ასე ვიცოდი, ჩემი ჩასვლიდან სადღაც 10 დღის შემდეგ კი გაირკვა, რომ მან ცხვირი გაიტეხა. შემდეგ გერმანელი მოკრივე შემირჩიეს, მაგრამ ახლა მასზე მითხრეს, მხარი ამოუვარდაო, ბოლოს კი ინგლისელი სტივენ დევიდსონი შემრჩა, რომელსაც 10 ორთაბრძოლა ჰქონდა ჩატარებული პროფესიულ რინგზე და მხოლოდ ერთხელ წაეგო.

**— ორთაბრძოლა როგორ წარიმართა?**

— პირველი რაუნდის დასაწყისში მეტოქის დარტყმა თავში მომხვდა, ამან თითქოს გამომაფხიზლაო და ორთაბრძოლაც ჩემი აშკარა უპირატესობით წარიმართა. პირველი რაუნდის დამთავრებას ნახევარი წუთი აკლდა, ინგლისელი ნოკაუტში რომ ჩავაგდე. მეორე რაუნდის დაწყებისას, მივხვდი, რომ წესიერად აზრზე მოსვლა ვერც კი მოესწრო. სადღაც ერთ წუთში იგი კვლავ ნოკაუტში აღმოჩნდა.

**— მომდევნო როდის უნდა ჩაატარო და ვინ იქნება შენი მეტოქე?**

— მეტოქის გვარი ჯერჯერობით უცნობია. ჩემი მენეჯერების ყურადღება, ცხადია, ამერიკისკენ არის მიმართული, 13 მარტს ხომ ლუის-ჰოლიფილდის ორთაბრძოლა გაიმართება. ამერიკაში მენეჯერთან ერთად მეც უნდა წავსულიყავი და იქ უნდა გამეგრძელებინა ვარჯიში, მაგრამ ამჯერად ეს არ მოხერხდა. შემდეგი ორთაბრძოლა აპრილის ბოლოს ან მაისის დასაწყისში შედგება ინგლისში. მოსამზადებლად კი სამი კვირით ადრე მომიწევს გამგზავრება.

# იყო კრივი და ბევრი საჩუქარი

ვერის ბაღის კრივის დარბაზში თბილისის პირველობა ჩატარდა. ტურნირი, რომელიც ამიერიდან ტრადიციული გახდება და გაზაფხულის დადგეს გაიმართება, ჟიული შარტავას ხსოვნას მიეძღვნა. წლეულს რინგზე 17 წელს გადაცილებულ მოკრივეებს უხმეს, თუმცა შეჯიბრება მონაწილეთა სიმრავლით არ გამოირჩეოდა. ეგ კი არა, არავის უასპარეზია 48 და 54 კგ. წონით კატეგორიებში. სულ კი 10 წონით კატეგორიაში 33 მოკრივემ სცადა ძალა. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ ძმები ადამაშვილები — დავითი და ავთანდილი კლუბ „მამუკადან“ (შესაბამისად 51 და 54 კგ წონით კატეგორიებში) უშანგი რურუა (60 კგ ოლიმპ. რეზერვები სპორტ. სკოლა), გიორგი კაპანაძე (63,5 კგ კლუბი „მამუკა“), რევაზ ბოჭორიშვილი (67 კგ თსუ), მანუჩარ მოდებაძე (71 კგ სტუ), დავით ქრისტესოშვილი (75 კგ), დავით გეგეშიძე (81 კგ კლუბი „მამუკა“), ალექსი სულხანიშვილი (91 კგ კლუბი „დავითი“). გამარჯვებულებმა საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს, სადაც თბილისში მოგებულებს რეგიონებში გამორჩეულები დაემატებიან. ჩემპიონატს კი 16-20 მარტს ბათუმი უმასპინძლებს.

აქვე გეტყვით, რომ ტურნირში გამარჯვებულებს მოწყალე თვალით შემძლე ხალხმაც გადმოხედა და ჩემპიონები უხვად დაასაჩუქრეს. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი პროფესიული კრივის კლუბმა „მამუკამ“ და მისმა სპონსორებმა — შპს „გრემის“ პრეზიდენტმა რეზო ჭოხონელიძემ და ფირმა „ირაომ“. წონებში გამარჯვებულებს მაისურები და ხელთათმანები ხომ ჩამოურიგეს, მერე საუკეთესო მოკრივედ აღიარებულ გიორგი კაპანაძეს 100 ლარი გადასცეს, ხოლო ყველაზე ტექნიკურ დავით გეგეშიძეს ინგლისში შეძენილი ხელთათმანი უსახსოვრეს. ხელგაშლილთა შორის, რა თქმა უნდა, ფირმა „ყაზბეგიც“ იყო, ქაფქაფა ლუდის მწარმოებლებმა მოკრივეები სპორტული ჩანთებით დაასაჩუქრეს.

**ზურაბ ტაბატაძე**

ჭადრაკი

# კაისას კასპაროვი ჰყვარებია

**ჭადრაკის ქალღმერთის მხარდაჭერა მსოფლიოს ყველაზე გონიერმა მოჭადრაკემ ლინარესის სუპერტურნირის მე-12 ტურში ყველაზე აშკარად შეიგრძნო. ადამსთან მოპოვებული გამარჯვება უფრო ინგლისელის შეცდომებს უნდა მოვაწეროთ, ვიდრე მსოფლიოს ჩემპიონის კარგ თამაშს, მაგრამ ამ დროისთვის ხომ თითქმის ყველაფერი გარკვეული იყო: ტურნირის დამთავრებამდე 3 ტურით ადრე კასპაროვს ერთადერთი ქულაღა ჰყოფნიდა იმ ზღვრის გადასალახად, რომლის იქითაც მას ველარავინ დაეწეოდა და მან ეს ქულა მიიღო კიდეც. მთავარი ამბები კი, რასაკვირველია, წინა ტურებში დატრიალდა...**

X ტური: ანანდი-კასპაროვი. კიდევ ერთი მცდელობა იმ კითხვაზე პასუხის გასაცემად, რომელსაც ჭადრაკის ფანები ბოლო წლებში ძლიერ ხშირად სვამენ: ბოლოს და ბოლოს, არის ანანდი ის კაცი, ვისაც კასპაროვის დამხობა ძალუძს? როცა ლინარესის 1998 წლის ტურნირი ინდოელმა მოიგო და კასპაროვი მესამე ადგილზე დატოვა, ამ კითხვაზე ყაბულს მყოფებმა იმატეს, მაგრამ წლეულს სასწორი კვლავ კასპაროვის მხარეს დაქანდა და მერე როგორ!.. პირველ წრეში დაზავების შემდეგ მორიგი ყაიმი არცერთ მხარეს არ აწყობდა და პირველივე სვლებიდან ცხადი შეიქნა, რომ X ტურში ან ერთი უნდა წაქცეულიყო, ან მეორე. დებიუტში სიცილიური დაცვა გათამაშდა. ანანდმა გრძელი როქი გააკეთა და კასპაროვის მთელი არმია ლაზიერის ფრთისკენ გაქანდა. შავმა ლაზიერმა თეთრების განაპირა პაიკი მოკლა და ცოტა ხანს მეფის პოზიციას უტრიალა, იქნებ დაცვაში სუსტი ადგილი ვიპოვოო, მაგრამ ვერაფერს გახდა და უკანვე გაიქცა, რადგან ამასობაში ანანდის ეტლი, კუ და პაიკი შავ მეფეს ერთობ სახიფათოდ დაუახლოვდნენ. 22-ე სვლაზე კასპაროვმა დიდოსტატთა ტურნირებისთვის მეტად უჩვეულო რამ ჩაიდინა: მეტოქეს ორმაგი ქიშის ნება დართო და თავისი მეფის პოზიცია ბოლომდე გააშიშვლა, თუმცა მისი ქმედება თეორიულად სწორი გამოდგა, ერთი შეცდომა ანანდმაც დაუშვა და კასპაროვმა ინიციატივა დაიბრუნა შეწირულ პაიკთან ერთად. პარტია სტრატეგიულად მოგებული ჩანდა და კასპაროვს თითქოს ტაქტიკური წვრილმანების შესრულებაღა რჩებოდა, მაგრამ ახლა ანანდის ჯერი დადგა. 27-ე სვლაზე მისგან მხედრის შეწირვამ მაყურებელი გააოგნა, რადგან პარტია ისედაც ენდშპილის პირას იყო მისული და დაფაზე ფიგურებიც გვარიანად შეთხელებულიყვნენ. როგორც პარტიის შემდგომმა მსვლელობამ ცხადყო, ანანდის სვლა მაინც უძლიერესი იყო ამ პოზიციაში და ამას შედეგიც შესაფერისი მოჰყვა. პარტიის ბოლოსთვის დაფაზე ერთი შეხედვით პარადოქსული სიტუაცია შეიქმნა: კასპაროვს ჰქონდა ზედმეტი ფიგურა და გამსვლელი პაიკი, მოგებას კი ვერაფრით ახერხებდა, ისევ ანანდს რომ არ ეყოჩაღა: 47-ე სვლაზე მისმა უხეშმა შეცდომამ, პირველთანრიგოსანიც რომ ითაკილებდა, ყველაფერს წერტილი დაუსვა. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ კასპაროვმა ანანდს პირველ რიგში ფსიქოლოგიური ბრძოლა მოუგო.

მომდევნო ტურის ცენტრალურ პარტიად კასპაროვ-კრამნიკის დაპირისპირება უნდა ქცეულიყო. ეს უკანასკნელი ლინარესში მართლაც უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს. ადრეც ვწერდით მისგან ნათამაშევ უჩვეულოდ მოკლე და მშვიდობიან პარტიებზე და ამ ტრადიციას კრამნიკმა არც ბოლო სამ ტურში უღალატა. ივანჩუკთან, მაგალითად, სულ 22 სვლით შემოიფარგლა, ხოლო კასპაროვს 35-ე სვლაზე დაუზავდა. ამას დაემატა კიდევ ერთი ფრე, XII ტურში ანანდთან. და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, კრამნიკი ასე ჩუმად, ყაიმ-ყაიმით იმდენს მაინც ახერხებს, რომ 2 მოგებით, 10 ზავითა და არცერთი წაგებით მეორე ადგილი შეინარჩუნოს. ეს სავსებით გონივრული პოლიტიკაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ვოვას პროგრამა-მინიმუმი ლინარესში ანანდის ჩამოტოვება გახლავთ, რაც სამომავლოდ კასპაროვთან გენერალურ დაპირისპირებაზე პრეტენზიის გამოთქმის საბაბს მისცემს.

მოკლედ, XI ტურში კასპაროვმა და კრამნიკმა ხეირიანად ვერ (თუ არ) იომეს და დაძაბულობის კერად ტოპალოვისა და ანანდის დაფა იქცა. მათი პარტია სპეციალისტთა უმრავლესობამ ტურნირის ულამაზეს შეტაკებად მიიჩნია, თითქოს ჩვენს გამოშრალ ეპოქაში პოლ მორფის საჭადრაკო რომანტიზმის ნაკადი შემოიჭრაო. პარტიის აღწერისას ჟურნალისტებმა ხატოვანი ეპითეტები არ დაიშურეს „სისხლი დაფაზე!“, „სცენები ხოცვა-ჟლეტიდან!“ და სხვა მრავალი, რაც პარტიამ ჭეშმარიტად დაიმსახურა. სხვა თუ არაფერი, 30 სვლაში მხარეებმა 4 კომბინაციური შეწირვა გააკეთეს, ხოლო ბრძოლის კულმინაციურ მომენტში მათი ფიგურები ისე იყვნენ ერთმანეთში ალუფხული, გეგონებოდათ, დაფაზე ცარიელი ადგილი აღარ დარჩაო. ხანგრძლივი, ეფექტური შეტაკებების, პაიკთა ფალანგებით გარღვევებისა და მკვლელობათა სერიების შემდეგ პოზიცია დაიწმინდა ანანდის სასარგებლოდ. ფინალურ პოზიციაში, როცა ტოპალოვი დანებდა, ინდოელს მეფე, მხედარი და პაიკი შერჩა, ბულგარელს — პაიკით ნაკლები, რაც სტანდარტულ სიტუაციაში ყაიმის მომასწავებელია, მაგრამ ანანდის მეფე სწორედ საჭირო ადგილას იდგა, ტოპალოვისა კი სადღაც მიუსავლეთში...

XII ტურის მცირე პრეზენტაცია თავშივე შემოგთავაზეთ და ბევრს აღარას ვიტყვით. 30 წლის წინ არსებობდა ე.წ. ფიშერის სინდრომი, ახლა კი ალბათ უპრიანი იქნება იმის თქმა, რომ კასპაროვის წლევანდელმა აწყვეტამაც ზოგიერთის ცნობიერებაში „კასპაროვის სინდრომი“ ჩასახა. ყველა შემთხვევაში, მაიკლ ადამსის თამაშს ეს აშკარად დაეტყო. კასპაროვთან შეხვედრისას მან პაიკი სუფთად მოიგო, ცენტრიდან შეტევაც ააწყო, შემდეგ კი ანერვიულდა, მონაპოვარი ორიოდ სვლაში ქარს გაატანა, წააგო და მეტოქე ფინიშამდე ორი ტურით ადრე ლინარესის XX კატეგორიის სუპერტურნირის გამარჯვებულიც გახადა. კასპაროვი ზეიმობს, ხოლო ბოლო ტურების ძირითადი ინტრიგა ალბათ ანანდის და კრამნიკის ქიშპი იქნება მეორე ადგილისთვის. პირველს 6,5 ქულა აქვს, მეორეს — 7, ხოლო დანარჩენები ერთიან, ძმურ ოჯახად შეკრულები უკანა რიგებში მოაბიჯებენ.

**დავით გულუა**

# პეტრეობა ლიგაში

ბოლო ხანს განსაკუთრებულ ყურადღებას აღმოსავლეთის დივიზიონში უაღრესად გამწვავებული საპლეი-ოფო ბრძოლა იქცევს. ბოსტონელმა „დათვებმა" მთელი თებერვლის განმავლობაში ძილს თავი ვერ წაართვეს და ახლაღა გამოფხიზლდნენ, როცა სამი მდევრის მოახლოების საფრთხე იგრძნეს. ბოსტონელებს განსაკუთრებით „ნიუ იორკ რეინჯერსი" აფიქრებთ, რომელიც თამაშიდან თამაშამდე უმატებს.

8 მარტი

**რეინჯერსი — ტორონტო 3:2**

**1:2 0:0 1:0 1:0**

**0:1 ჯონსონი 12'29 (19); 0:2 დ. კინგი 13'13 (20); 1:2 სტივენსი 14'41 (17); 2:2 ნედვედი 45'55 (16); 3:2 ნედვედი 64'46 (17)**

მატჩი მასპინძელთათვის საშინლად დაიწყო. ნიუიორკელთა კაპიტნის ბრაიან ლიჩის (3 პასი) თქმით, რომ არა მეკარე მაიკ რიხტერი, პირველ 14 წუთში ანგარიში 0:4 იქნებოდა. ასეთი დებიუტის შემდეგ ერთი თვის წინანდელი რეინჯერსი, ალბათ, ფარხმალს დაყრიდა, მაგრამ ახლა გუნდი ასე მალე როდი ნებდება. თანაც მასპინძლებს სულზე მიუსწრო პირველმა შაიბამ, რის მერეც სურათი შეიცვალა. მატჩის გმირი კი პეტრ ნედვედი გახდა. გრეცკის ტრავმის შემდეგ ნიუიორკელთა ლიდერობა სწორედ ჩეხმა ჰოკეისტმა იტვირთა და მათ ჭეშმარიტ წინამძღოლად მოევლინა. ახლა მან სიმამაცის ნამდვილი მაგალითი უჩვენა პარტნიორებს — პირველ პერიოდში მიღებული ტრავმის შემდეგ (7 ნაკერი დასჭირდა) ნედვედი არა მარტო ყინულზე დაბრუნდა, არამედ 2 გადამწყვეტი შაიბაც გაიტანა.



ფლორიდელ რობ ნიდერმაიერის მიერ დარტყმულ შაიბას მონრეალელთა მეკარე ჟეფ ჰეკეტი (31) ამაოდ გადაეღობა

**მონრეალი — ფლორიდა 2:5**

**0:1 1:3 1:1**

**0:1 ნიდერმაიერი 12'02 (16); 0:2 უიტნი 20'59 (18); 0:3 უორელი 22'28 (3); 0:4 გარპენლოვი 25'27 (5); 1:4 კორსონი 35'01 (12); 1:5 ლინდსეი 44'54 (12); 2:5 ულანოვი 56'01 (3)**

მატჩის შემდეგ ფლორიდელმა ბილ ლინდსეიმ კატეგორიულად განაცხადა: „თასზე გასასვლელად დარჩენილ ორ ადგილზე ერთბაშად ექვსი გუნდი აცხადებს პრეტენზიას, ამიტომ ჩვენთვის ყველა თამაში საპლეიოფოა". მონრეალელთა მცველი სტეფან ქინტალი კი სულ უგუნებოდ გახლდათ: „გადამწყვეტ მომენტში, როცა მერვე ადგილს სულ რაღაც ორი მოგება გვაშორებდა, შევშინდით და ველარ ვივარგეთ". ალბათ, გასაგებია, რატომაც აჯობა ფლორიდამ მონრეალს.

**კაროლინა — ბუფალო 4:1**

**2:0 2:0 0:1**

**1:0 კოვალენკო 2'49 (14); 2:0 პრიმო 12'44 (27); 3:0 რანჰეიმი 29'00 (8); 4:0 კაპანენი 32'32 (19); 4:1 შატანი 48'42 (29)**

ძნელი სათქმელია, მოაძლიერებს თუ არა კრიზისში მყოფ ფილადელფიის დაცვას ადამ ბერტი. მის ნაცვლად კაროლინაში გადასულმა ანდრეი კოვალენკომ კი, რომელმაც მანამდე „მფრინავთა" შორის სულ თვეზე ოდნავ მეტ ხანს დაჰყო და ერთობ უხეიროდ გაისარჯა, კაროლინაში მოღვაწეობა მესამე წუთზე გატანილი გოლით დაიწყო და მწვრთნელ პოლ მორისის ქებაც დაიმსახურა.

**ოტავა — ტამპა 9:3**

**0:2 5:0 4:1**

**0:1 პოუგი 6'22 (11); 0:2 სილინჯერი 7'01 (5); 1:2 მაკიჩერნი 22'58 (29); 2:2 სალო 27'26 (3); 3:2 არვედსონი 34'07 (15); 4:2 არვედსონი 38'23 (16); 5:2 პოსა 38'54 (9); 6:2 არვედსონი 44'27 (17); 7:2 იაშინი 46'48 (34); 8:2 ლაუკანინი 49'57 (1); 8:3 ზამუნერი 51'57 (4); 9:3 იაშინი 55'39 (35)**

ტამპას, ალბათ, ძალიანაც სურდა სეზონში პირველად ზედიზედ სამი მატჩის მოგება, მაგრამ პირველ პერიოდში დაწინაურებით მასპინძლები ისე გაალიზიანა, მათ 37 გამარჯვებით საკლუბო რეკორდი დაამყარებინა.

**სამველ ლარიბიანი**

*ბომბარდირები:* *იაგრი (პიტსბურგი) 95 (29+66); ლინდროსი (ფილადელფია) 87 (37+50); სელიანე (ანაჰაიმი) 82 (36+46); ლეკლერი (ფილადელფია) 81 (38+43); კარია (ანაჰაიმი) 79 (27+52); ფორსბერგი (კოლორადო) 76 (22+54); იაშინი (ოტავა) 75 (35+40); ფლერი 70 (31+39); საკიკი (ორივე კოლორადო) 69 (30+39); მოდანო (დალასი) 69 (26+43); სტრაკა (პიტსბურგი) 65 (31+34); დემიტრა (სენტ ლუისი) 64 (27+37)*

*მცველები:* *მაკინისი (სენტ ლუისი) 46 (18+28); ოლაუსონი (ანაჰაიმი) 45 (14+31); დეჟარდენი (ფილადელფია) 44 (14+30); ლიჩი (რეინჯერსი) 44 (9+35); ლიდსტრიომი 43 (10+33); მერფი (ორივე — დეტროიტი) 42 (9+33); საიდორი (დალასი) 41 (12+29); ბურკი (ბოსტონი) 41 (6+35)*

*ახალბედები:* *მუკალტი (ვანკუვერი) 35 (16+19); დრური (კოლორადო) 34 (14+20); მორისონი (ნიუ ჯერსი) 33 (9+24); ჰრდინა (პიტსბურგი) 32 (9+23); პერიში (ფლორიდა) 29 (17+12); ჰეიდუკი (კოლორადო) 29 (10+19); შარიფიანოვი (ნიუ ჯერსი) 23 (8+15); კვაშა (ფლორიდა) და ლეკავალიე (ტამპა) 21 (11+10)*

*ნაყოფიერების კოეფიციენტი:* *ლინდროსი +37; ლეკლერი +33; კარპოვცევი (ტორონტო) +27; ჯოუნსი და ტერიენი (ორივე — ფილადელფია) +26; იაშინი და არვედსონი (ოტავა) +25*

*მეკარეები:* *ტაგნატი (ოტავა) 1,64 გაშვებული შაიბა ერთ თამაშში; ჰაშეკი (ბუფალო) 1,97; ბელფორი (დალასი) 1,98; ხაბიბულინი (ფინიქსი) 2,07; ბრეტუეიტი (კალგარი) 2,13*

*საჯარიმო წუთები:* *რეი (ბუფალო) 214; ლოსი 198; უორელი (ორივე — ფლორიდა) 194; ოჯერსი (კოლორადო) 178; ოლივა (ნიუ ჯერსი) 166*

## კვირის მოთამაშე

**პეტერ ფორსბერგი (კოლორადო)**



კოლორადოელ პლეიმეიკერს სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, გასულ კვირას ფლორიდასთან შეხვედრაში მისი ბენეფისიც სრულიად საკმარისი იქნებოდა: შვედმა ჰოკეისტმა, ფაქტობრივად, მარტომ გამოსტაცა „პანტერებს" გამარჯვება და სეზონში პირველმა 6 (3+3) ქულა მიითვალა ერთ მატჩში. ამას ფორსბერგმა ედმონტონთან გაკეთებული ერთი ჩინებული პასი, ტამპასთან გატანილი კოლორადოელთა ერთადერთი გოლიც დაამატა და გაზაფხულის პირველი ლაურეატი გახდა.

**საუკეთესო ექვსეული**

*მეტიუ ბირონი (ბუფალო, 1); ბილ ჰოულდერი (სან ხოსე, 1) — ბორის მირონოვი (ედმონტონი, 2); ალექსეი იაშინი (ოტავა, 3) — პეტერ ფორსბერგი (კოლორადო, 2) — კორი სტილმანი (კალგარი, 1)*

### სატურნირო ვითარება

| აღმოსავლეთ კონფერენცია | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 63 | 37 | 8 | 18 | 191:134 | 82 |
| ნიუ ჯერსი | 64 | 35 | 8 | 21 | 191:162 | 78 |
| კაროლინა | 65 | 29 | 13 | 23 | 168:158 | 71 |
| ტორონტო | 64 | 35 | 5 | 24 | 203:187 | 75 |
| ფილადელფია | 64 | 30 | 15 | 19 | 192:150 | 75 |
| პიტსბურგი | 62 | 32 | 9 | 21 | 194:172 | 73 |
| ბუფალო | 64 | 29 | 13 | 22 | 170:143 | 71 |
| რეინჯერსი | 64 | 28 | 8 | 28 | 181:177 | 64 |
| ბოსტონი | 63 | 27 | 10 | 26 | 163:148 | 64 |
| ფლორიდა | 63 | 23 | 17 | 23 | 165:170 | 63 |
| ვაშინგტონი | 63 | 27 | 5 | 31 | 167:168 | 59 |
| მონრეალი | 65 | 25 | 9 | 31 | 155:174 | 59 |
| აილენდერსი | 65 | 19 | 8 | 38 | 152:197 | 46 |
| ტამპა | 63 | 15 | 5 | 43 | 136:230 | 35 |

| დასავლეთ კონფერენცია | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 62 | 40 | 10 | 12 | 181:125 | 90 |
| კოლორადო | 64 | 32 | 8 | 24 | 177:159 | 72 |
| დეტროიტი | 64 | 32 | 6 | 26 | 191:163 | 70 |
| ფინიქსი | 63 | 31 | 10 | 22 | 157:149 | 72 |
| ანაჰაიმი | 64 | 30 | 9 | 25 | 172:154 | 69 |
| სენტ ლუისი | 62 | 26 | 10 | 26 | 173:160 | 62 |
| ედმონტონი | 64 | 25 | 10 | 29 | 178:168 | 60 |
| სან ხოსე | 64 | 22 | 14 | 28 | 152:152 | 58 |
| კალგარი | 63 | 23 | 10 | 30 | 165:178 | 56 |
| ლოს ანჯელესი | 64 | 23 | 5 | 36 | 145:172 | 51 |
| ნეშვილი | 64 | 22 | 6 | 36 | 151:208 | 50 |
| ვანკუვერი | 64 | 19 | 10 | 35 | 154:200 | 48 |
| ჩიკაგო | 64 | 18 | 9 | 37 | 142:198 | 45 |

კონფერენციებიდან პლეი ოფში 8-8 გუნდი გადის. კონფერენციათა ცხრილებში პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან



# უცვლელი ტრიო



REUTERS სენტ მორისიდან

მიქაელა დორფმაისტერი

სამთომოთხილამურეთა მსოფლიოს თასის გათამაშება სადაცაა დასრულდება და გასულ უქმეებზე ნორვეგიულ კვიტფჯელის მთებში სპორტსმენებმა ფრიადი თხილამურობა გააჩაღეს. შვეიცარიულ სენტ მორისში კი ქალები სუპერგიგანტში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. თუ ქალთა ასპარეზობაში ავსტრიელი ალექსანდრა მაიზნიცერი ჩინებულად ჩატარებული სეზონის შედეგებს იმკის და მის საბოლოო გამარჯვებაშიც ეჭვი აღარავის ეპარება, კაცებში ჯერ კიდევ ყველაფერი ბურუსითაა მოცული. ამიტომ, ცხადია, სპეციალისტთა და მედიის მომეტებული ყურადღება სწორედ კვიტფჯელის ფერდობებისკენ იყო მიმართული, მით უფრო, კაცები ორ სახეობაში — სწრაფდაშვებასა და სუპერგიგანტში ცდიდნენ ძალას. ასპარეზობას ინტრიგას ისიც მატებდა, რომ მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში დაწინაურებული სამეულიდან ორი — ნორვეგიელები ლასე კიუსი და ანდრე ამოდტი — სწრაფდაშვების სპეციალისტებად ითვლებიან, ხოლო ავსტრიელ ჰერმან მაიერს სუპერგიგანტში ტოლ-სწორი არ მოეძებნება, თანაც საერთო ჩათვლაში მოთხილამურეებს ქულათა ისეთი მცირედი რაოდენობა აშორებდათ, რომ საკმარისი იყო, რომელიმე მათგანს ეტაპი მოეგო, ხოლო მეტოქეებს წაეფორხილებინათ, იღბლიანი უმალ ერთპიროვნული ლიდერი შეიქმნებოდა.

მაგრამ, ეტყობა, იმდენად დიდია სურვილი მსოფლიოს თასის მოპოვებისა, რომ სამივე სპორტსმენმა ხელიდან არ გაუშვა შანსი და თავიანთ ანგარიშზე ქულათა საჭირო რაოდენობა დაირიცხა.

სწრაფდაშვებაში, როგორც მოელოდნენ, კარგად ისრიალეს ლასე კიუსმა და ანდრე ამოდტმა. ლასე 1:46,96 წუთით მეორე იყო, ამოდტი (1:47.71) — მეხუთე, ჰერმან მაიერი (1:48.43) კი მეთერთმეტე ადგილს დასჯერდა. ეტაპი კი კვლავ ავსტრიელმა ანდრეას შიფერერმა (1:46.78) მოიგო. საერთო ჩათვლაში ასეთი ვითარება შეიქნა: ამოდტი 1235, კიუსი 1219, მაიერი 1142.

მეორე დღეს სპორტსმენებმა სუპერგიგანტში იასპარეზეს. „ჰერმინატორმა" ჩვეულად ისრიალა და კარიერაში მეთვრამეტე ეტაპი მოიგო, 100 ქულაც მიითვალა, მაგრამ რად გინდა, ლასე კიუსმა და ანდრე ამოდტმაც არ შეირცხვინეს თავი, შესაბამისად მეექვსე და მერვე ადგილებზე გავიდნენ და მაიერს წინ გაჭრის საშუალება არ მისცეს. ამოდტმა 1267 ქულით პირველობა შეინარჩუნა, მას 1254 ქულით კვალდაკვალ მისდევს ლასე კიუსი, ავსტრიელი კი 1242 ქულით კვლავ მესამეზე დარჩა.

სენტ მორისში, ქალთა სუპერგიგანტშიც ავსტრიელმა იმარჯვა, ოღონდ არა მაიზნიცერმა. ამჯერად წარმატებას 25 წლის მიქაელა დორფმაისტერმა (1:29.17) მიაღწია. მიქაელასთვის ეს მსოფლიოს თასზე მოგებული მეორე ეტაპია, პირველად მან 1996 წელს იმარჯვა სწრაფდაშვებაში. მეორეზეც ავსტრიელი რენატა გოეტჩლი (1:29.37) გავიდა, მესამეზე — ამერიკელი კეტლინ მონაჰანი (1:29.57). მაიზნიცერი 1:29.74 წუთით მეოთხე იყო, საერთო ჩათვლაში კი 1540 ქულა დაუგროვდა და მსოფლიოს თასამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩა.

**სოსო კოტორეიშვილი**



ვინ მოიგებს მსოფლიოს თასს: ლასე კიუსი, ანდრე ამოდტი თუ ჰერმან მაიერი?

### მსოფლიოს თასი ლახტი. ფინეთი.

**სათხილამურო კროსი**

**10 კმ ქალები**

1 ლარისა ლაზუტინა (რუსეთი) 29:15.6
2 ბენტე მარტინსენი (ნორვეგია) 29:32.4
3 კატერინა ნეიმანოვა (ჩეხეთი) 29:42.6
4 სტეფანია ბელმონდო (იტალია) 29:47.7
5 ნატალია ბარანოვა (რუსეთი) 29:50.3

**საერთო ჩათვლა**

1 ბენტე მარტინსენი 736
2 სტეფანია ბელმონდო 658
3 ნინა გავრილიუკი (რუსეთი) 636
4 კრისტინა შმიგუნი (ესტონეთი) 579
5 კატერინა ნეიმანოვა 572

**ორჭიდი (K-90, 15 კმ) — კაცები**

1 სამპა ლაჰინენი (ფინეთი) 231.5/42:52.7
2 ბიარტე-ენგენ ვიკი (ნორვეგია) 213.0/41:46.4
3 სებასტიან ჰასენი (გერმანია) 213.5/42:18.4
4 კენჯი ოგივარა (იაპონია) 216.0/42:33.9
5 იარი მანტილა (ფინეთი) 224.5/44:09.0

**საერთო ჩათვლა**

1 ბიარტე-ენგენ ვიკი 1660
2 ჰანუ მანინენი (ფინეთი) 1432
3 სამპა ლაჰინენი 966
4 ფელიქს გოტვალდი (ავსტრია) 965
5 ლადისლავ რიუდლი (ჩეხეთი) 851

**15 კმ. კროსი. კაცები**

1 ბიორნ დალი (ნორვეგია) 38:48.7
2 ვლადიმირ ვილისოვი (რუსეთი) 38:59.9
3 ფროდე ესტილი (ნორვეგია) 39:01.2
4 ერლინგ იევნე (ნორვეგია) 39:07.4
5 ანდერს ბერგსტრომი (შვედეთი) 39:11.7

**საერთო ჩათვლა**

1 ბიორნ დალი 765
2 მიხაელ ბოტვინოვი (ავსტრია) 505
3 მიკა მულულა (ფინეთი) 487
4 მათიას ფრედრიკსონი (შვედეთი) 439
5 პერ ელოფსონი (შვედეთი) 430

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

პრემიერლიგა. გადადებული მატჩი

**არსენალი 3:0 შეფილდ უენსდეი**
1:0 ბერხკამპი (82), 2:0 კანუ (86), 3:0 ბერხკამპი (88)

### პირველი დივიზიონი

XXXVI ტური

**ბოლტონი 3:3 ბარნსლი**
1:0 სელარსი (17), 2:0 ჰოლდსვორსი (27პ), 2:1 ჰინეტი (35), 2:2 ჯონსი (43), 2:3 ჰინეტი (49), 3:3 იოჰანსენი (80)

**ბრედფორდი 0:1 სანდერლენდი**
0:1 კუინი (71)

**ბრისტოლი 1:1 ბერი**
0:1 ჯაფო (17), 1:1 ს. ანდერსენი (80)

**ოქსფორდი 2:2 ჰადერსფილდი**
1:0 კუკი (7), 1:1 ტორნლი (29), 2:1 ბიშემი (82), 2:2 სტიუარტი (86პ)

**კრისტალ პალასი 3:2 იფსვიჩი**
0:1 ჯონსონი (9), 1:1 მულინსი (45), 2:1 მორისონი (46), 2:2 კლეპჰემი (62), 3:2 მორისონი (71)

**ნორვიჩი 3:4 პორტ ვეილი**
0:1 ტანკარდი (14), 1:1 ფლემინგი (30), 1:2 რასელი (35), 1:3 უოლში (50), 2:3 რობერტსი (68), 3:3 ბელამი (83), 3:4 ბოგი (86)

**პორტსმუთი 1:0 შეფილდ იუნ.**
1:0 ოუფორდი (64)

**სტოკპორტი 2:1 სვინდონი**
1:0 ეინჯელი (12), 2:0 ელისი (25პ), 2:1 უოლტერსი (60)

**ტრანმერი 0:1 ბირმინგემი**
0:1 მ. ჯონსონი (46)

**ვულვერჰემპტონი — ქრიუ**
*გადაიდო*

**გრიმსბი — ქუინზ პარკი**
*გადაიდო*

## გერმანია

თასის ნახევარფინალი

**ობერჰაუზენი 1:3 ბაიერნი**
0:1 იანკერი (24), 0:2 ეფენბერგი (42), 0:3 ლინკე (79), 1:3 შაინჰარდტი (85პ)

## იტალია

თასის ნახევარფინალი.
საპასუხო მატჩი

**პარმა 2:1 ინტერი**
1:0 კიეზა (3), 1:1 სამორანო (10), 2:1 ვერონი (36)

## საფრანგეთი

XXVI ტური

**ნანსი 2:3 ბორდო**
0:1 ვილტორდი (18), 0:2 ალიკარტე (32), 0:3 ვილტორდი (61), 1:3 მენირი (67), 2:3 კასკარინო (70)

**სოშო 0:0 მარსელი**

## ავსტრია

გამოტოვებული მატჩი

**ლუსტენაუ 0:0 რიდი**




REUTERS ლონდონიდან

არსენალი — შეფილდ უენსდეი 3:0. სტუმარი პეტერ აზერტონის (მარჯვნივ) მცდელობის მიუხედავად დენის ბერხკამპმა შეფილდელებს ორჯერ გაუტანა

# ანჟელიკა და ოლეგი

როგორც ფიგურული სრიალის მცოდნე ხალხი ამბობს, ანჟელიკა კრილოვასა და ოლეგ ოვსიანიკოვის დარად ყინულზე ცეკვა-თამაში არცერთ წყვილს არ უნდა ეხერხებოდეს. სანკტ-პეტერბურგში ეს ესაა გასრულებულმა „საგრანპრიო" ფინალმა ეს ამბავი თითქოს კიდევ ერთხელ დაადასტურა. ანჟელიკამ და ოლეგმა თავიანთი საქმე სულ ექვსიანებზე შეასრულეს და შემაჯამებელი ოქროც უეჭველად შეირგეს.



REUTERS სანკტ პეტერბურგიდან



REUTERS სან ფრანცისკოდან

# ჯოს მშობლიურ ქალაქში

დაბერებულა დანტე ბენედეტიც, არცთუ ცნობილი კეტბურთელი, მაგრამ აწ გარდაცვლილი ლეგენდის, ჯო დი მაჯიოს უერთგულესი მეგობარი. ისინი ერთად იზრდებოდნენ სან ფრანცისკოს იტალიურ უბანში, ერთად ჰყიდდნენ გაზეთებს და კეტბურთის თამაშიც ერთდროულად დაიწყეს.

როიტერის ფოტოკორესპონდენტმა სან ფრანცისკოში, თავის პატარა რესტორანში მიაკითხა დანტეს. ამ რესტორანში საუცხოო პიცას აცხობენ და ჯოც, სანამ სიარული და მოგზაურობა შეეძლო, ხშირად ჩამოდიოდა მშობლიურ ქალაქში. აქ ყველა კარი ღია იყო მისთვის, მაგრამ, ჩვეულებრივ, დანტესთან შეივლიდა ხოლმე. აქ სითბო და ძველებური სურნელი სუფევდა და მეგობრებიც ხშირად მიუსხდებოდნენ ხოლმე მაგიდას. სწორედ იმ მაგიდას, რომელსაც ახლა მარტო უზის დანტე ბენედეტი. მისგან მხარმარცხნივ კი, კედელზე ჯოს დიდი სპორტული კარიერის ამსახველი ფოტოები ჰკიდია.

# ქალო, შენი ცერა თითი...

ამერიკელი სუპერმოდელის, სარა ოჰეირის ეგ ცერა თითი, ისევე როგორც მისი სხეულის დანარჩენი ასოები, იქნებ მართლაც უნაკლო რამ იყოს, მაგრამ 7 მარტს მელბურნის „ალბერტ პარკზე" ჩასვრილ „ბენეტონელს", ალექსანდრ ვურცს მაინც ვერაფერში რომ ვერ წაადგა, ეგ კი უცილობელი ფაქტია. ამიტომაც ისე სარას აღარ აუდგეს ეგ ცერა თითი, სანამ ალექსანდრმა აწი თავის ბლუილა ბოლიდზე არ შემოისკუპოს.




REUTERS მელბურნიდან

# რონალდო წმინდანთა გუნდში



REUTERS რომიდან

*წმინდანთა ზეციურ გუნდს გასულ უქმეებზე კიდევ ათი წამებული შეემატა. რომის მხცოვანმა პაპმა, იოანე პავლე II-მ ესპანეთის 1936-39 წლების სამოქალაქო ომში მოკლული რვა ესპანელი მოძღვარი, მე-17 საუკუნის მავანი ფრანგი ბერი და ერთიც გერმანელი ღვთისმოსავი ქალი წმინდანებად შერაცხა. კანონიზაციის დიდებულ ცერემონიალს, სხვა მეტნაკლებად საპატიო სტუმართა შორის, ბრაზილიელი რონალდინიო და მისი ცუგრუმელა მეგობარი, სუზანა ვერნერიც დაესწრნენ...*

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორაშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე ინფორმაციის განყოფილება ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29